ანტილიბერალური პოპულიზმი და რუსული გავლენის საფრთხესაქართველოს რეგიონებში

ლიბერალური აკადემია თბილისი

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი

2019

ავტორები:
ლაშა ტუღუში, კობა თურმანიძე, მალხაზ გაგუა,ცისანა
ხუნდაძე, გურამ ანანეიშვილი,
თინათინ ზურაბიშვილი

რეცენზენტი: დავით აფრასიძე
ადმინისტრაციული ორგანიზატორი: ანა ციხელაშვილი
ასისტენტი: ელენა გოლოშვილი

თარგმანი: თამარ რურუა
დიზაინერი: ნათია შარაბიძე

გამოცემულია საქართველოს ღია საზოგადოების ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არარის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

© ევროპული ინიციატივა - ლიბერალური აკადემია თბილისი, 2019

სარჩევი

შესავალი 6

ძირითადი მიგნებები 8

I. კონსერვატიული შეხედულებებისგავლენა საგარეო
პოლიტიკური პრიორიტეტების აღქმაზე კახეთისადა შიდა
ქართლის ქართულენოვან
მოსახლეობაში 10

კონსერვატიზმის შეფასება კახეთისა და
შიდა ქართლის მოსახლეობაში 11

კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის საგარეო პოლიტიკური
პრიორიტეტები 28

პროდასავლური ადამიანის პორტრეტი 37

II. როგორ მუშაობს რუსული ნარატივი 48

პოლიტიკური მითი, როგორც
პოპულიზმის იარაღი 58

როგორ მუშაობს მითი 62

კატეხონის მითი 64

ანტილიბერალური პოპულიზმი საქართველოს
პოლიტიკურ სპექტრში, მარგინალურ ჯგუფებსა
და მედიაში 73

ანტილიბერალური ჯგუფები 79

ოპერატიული მითები საქართველოში 83

მითი 1: ლიბერალური დასავლეთი ებრძვისქართულ
მართლმადიდებლურ რწმენას და
ტრადიციებს 84

მითი 2: რუსეთშია საქართველოს ეკონომიკური
განვითარებისა და მოსახლეობის
კეთილდღეობის გასაღები 86

მითი 3: რუსეთი არის ისტორიული მტრისგან,
ისლამური სამყაროსგან დაცვის ერთადერთი
საშუალება 86

მითი 4: რუსეთის/მისი მმართველობის
უძლეველობის მითი 88

დასკვნა 92

<u>დანართი 1</u> 95

შიდა ქართლსა და კახეთში მოსახლეობის
გამოკითხვის მეთოდოლოგია

<u>დანართი 2</u> 98

ფოკუს- ჯგუფების შერჩევა

ბიბლიოგრაფია 101

შესავალი

ამ ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს საქართველოს ორი რეგიო- ნის - კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის პოლიტიკურ გან- წყობაში არსებული პოპულისტური და ანტილიბერალური ელე- მენტები. შესაძლოა, ეს ელემენტები რუსული პოლიტიკური დღის წესრიგის დამკვიდრებისთვის ქმნიდეს ნოყიერი ნიადაგს, რადგან, როგორც ცნობილია, პოპულიზმი და მასთან შესისხლხორცებული ანტილიბერალიზმი დღესდღეობით რუსული საგარეო პოლიტიკის მთავარი და ყველაზე მძლავრი იდეოლოგიური ინსტრუმენტია, რო- მელმაც კომუნიზმის „წითელი" იდეები ჩაანაცვლა.

პოპულისტური ძალების პოლიტიკური პერსპექტივის აღსაქმელად პროცესის სამ განზომილებაში გაანალიზებაა საჭირო: ა)„მოთხოვნის განზომილება" - რამდენად არის საზოგადოებრივი დაკვეთა ასეთ ძალებზე; ბ)„მიწოდების განზომილება" - რამდენად პასუხობს პო- ლიტიკური სპექტრი არსებულ მოთხოვნას; გ) „თამაშის წესების განზომილება" - რამდენად იძლევა არსებული კონსტიტუციური მოდელი პოპულისტურ ი პარტიების გაძლიერების ნორმატიულ ნიადაგს.[1]

კვლევის ძირითადი ნაწილი პირველ - „მოთხოვნის განზომილებაზეა" ფოკუსირებული. იმის გასაგებად, რამდენად ძლიერია საზოგადოებრივი დაკვეთა ანტილიბერალურ პოპულისტურ პოლიტიკურ ძალაზე, ყურადღება გამახვილდა მოსახლეობაში კონსერვატიული[2] განწყობის კვლევაზე, რაც ამ ძალებისთვის ბუნებრივი ნიადაგია. კვლევისთვის რეგიონული პრინციპი ავირჩიეთ, მისი გეოგრაფიული არეალი კი შიდა ქართლისა და კახეთის ქართულენოვანი მოსახლეობით შემოვსაზღვრეთ. ამ მიდგომამ საშუალება მოგვცა, მოვლენები რეგიონულ ჭრილში დაგვენახა და როგორც მოსალოდნელი იყო, ამ ორრეგიონს შორის განსხვავებული სურათი გვაჩვენა. აქამდე ანალოგიური კვლევები მხოლოდ ეროვნულ დონეზე ტარდებოდა. კვლევისთვის ამ ორი რეგიონის არჩევა იმ გარემოებამ განაპირობა, რომ შიდა ქართლში რამდენიმე წლის წინათ სრულმასშტაბიანი საბრძოლო

[1]Inglehart, F. Ronald, Norris, Pippa. Trump, Brexit, and the Rise of Populism: Economic Have-Nots and Cultural Backlash and Cultural Backlash. Harvard Kennedy School. 2016.

[2]აქ და ქვემოთ იგულისხმება არა კონსერვატიზმი, როგორც დამკვიდრებული პოლიტიკურიიდეოლოგია,არამედრადიკალური,გამოკვეთილადანტილიბერალური მემარჯვენე პოპულიზმი.

მოქმედებები მიმდინარეობდა და ის ახლაც რჩება კონფლიქტის და მისგან გამოწვეული დაძაბულობის, დესტაბილიზაციის კერად. კახეთი კი იმიტომ მოექცა ჩვენი ყურადღების ცენტრში, მისი მოსახლეობის მნიშვნელოვანი სეგმენტი ეკონომიკურად მჭიდროდ რომ არის დაკავშირებული რუსეთთან.

„მიწოდების განზომილება“ მოცემულია კვლევის მეორე ნაწილში საქართველოში მოქმედი მეინსტრიმული, ასევე, მემარჯვენე რადიკალური პოლიტიკური ძალების პროგრამული, ელექტორალური მოქმედების მოკლე ანალიზის ფორმით.

„ნორმატიული ასპექტების“ შესწავლა კვლევის ძირითადი ამოცანა არ იყო, თუმცა მას გარკვეულწილად შევეხეთ დემოკრატიის, არჩევითი ორგანოების, რელიგიური ინსტიტუტების მიმართ დამოკიდებულების ხარისხის კვლევისას და იგი დოკუმენტის პირველ ნაწილშია მოცემული.

ნაშრომი მომზადდა ორი კვლევითი ორგანიზაციის ერთობლივი ძალისხმევით. „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა“ შეაგროვა და გაანალიზა რაოდენობრივი მონაცემები, „ლიბერალური აკადემია თბილისი“ კი თვისობრივი მონაცემების შეგროვებაზე მუშაობდა. ორივე ორგანიზაცია მუდმივად თანამშრომლობდა როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის პროცესში. კვლევის ფარგლებში, ჩატარდა ფოკუს-ჯგუფების შეხვედრები, ასევე, გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან და ექსპერტებთან პირისპირ შედ- გა სიღრმისეული ინტერვიუები. კვლევა გამიზნულია როგორც სა- ჯარო სექტორის, ისე არასამთავრობო და საერთაშორისო ორგა_ ნიზაციებისათვის, მედიისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.

ნაშრომი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი მოიცავს შიდა ქართლსა და კახეთში ჩატარებული წარმომადგენლობითი გამოკითხვის, ასევე, გორსა და თელავში გამართული ფოკუს-ჯგუფების ანგარიშს, მეორე ნაწილი კი - თეორიულ მსჯელობას იმ იდეოლოგიურ ჩარჩოსა და მექანიზმებზე, რაზეც კრემლის პროპაგანდა იგება. ამავე ნაწილის ბოლოს საუბარია რამდენიმე პოლიტიკურ მითზე, რაც, ჩვენი თვალსაზრისით, აქტიურია საქართველოსთან მიმართებით და დესტრუქციული ზემოქმედების დიდი პოტენციალი აქვს.

ძირითადი მიგნებები

შიდა ქართლსა და კახეთში ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ:

◆ პროდასავლური შეხედულებები უარყოფით კავშირშია რადიკალურ კონსერვატიულ შეხედულებებთან.

◆ ძირითადი პოლიტიკური პარტიების პროგრამები არ პასუხობს კონსერვატიული მიდგომის იმ მოთხოვნებს, რაც აქვს შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონების მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს.

◆ პოლიტიკური ელიტის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულებაა, დაბალია ნდობა არჩეული ინსტიტუტების მიმართ.

◆ კონსერვატიული განწყობა ფართოდ არის ფეხმოკიდებული როგორც სოციალური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. ამასთან, შიდა ქართლის მოსახლეობა უფრო კონსერვატიულია, ვიდრე კახეთის. კონსერვატიზმი უკუკავშირშია ასაკთან - ახალგაზრდების შეხედულებები უფრო ნაკლებად კონსერ-ვატიულია ხანდაზმულ მოსახლეობასთან შედარებით.

◆ მართალია, პროდასავლური ორიენტაცია დომინირებს და დასავლური ორგანიზაციების მიმართ მხარდაჭერა მაღალია, თუმცა ამის მიუხედავად, სამიზნე აუდიტორიის დიდი ნაწილი ისევე როგორც რუსეთიდან, დასავლეთიდანაც ხედავს მომავალ საფრთხეს.

◆ ზოგადად, პროდასავლური ორიენტაცია ოდნავ მეტად არის გავრცელებული კახეთში, ვიდრე შიდა ქართლში. ახალგაზრდა, უმაღლესი განათლების მქონე და უცხოეთთან მეტი კავშირის მქონე ადამიანები უფრო პროდასავლური ორიენტაციისანი არიან.

◆ დემოკრატიული სისტემის მიმართ გაცხადებული მხარდაჭე- რა მაღალია, თუმცა მოსახლეობის დიდი ნაწილის მოსაზრება პოლიტიკურ სისტემასა თუ სხვა ინსტიტუტებს შორის ურთი-

ერთობისა და ამ სისტემაში საკუთარი როლის შესახებ დემოკ-
რატიულ პოლიტიკურ კულტურასთან ნაკლებად თავსებადია.

◆ პოპულარულია მკვეთრი ანტიიმიგრაციული შეხედულებები.

◆ ძლიერი პოპულისტი ლიდერის პირობებში ორივე მიზნობრივ
რეგიონში - შიდა ქართლსა და კახეთში - შესაძლებელია
მნიშვნელოვანი ელექტორალური წარმატების მიღწევა.

საკუთარი პოლიტიკური დღის გასატარებლად კრემლი აქტიურად
იყენებს ფუნდამენტურ და ოპერატიულ პოლიტიკურ მითებს, რომ-
ლებიც ირაციონალურ, ხშირად ქვეცნობიერ შიშებს ემყარება,
ადამიანური ემოციებით მანიპულირებს და ანტილიბერალური
პოპულიზმის მსოფლაღქმაზე იგება.

I. კონსერვატიული შეხედულებების გავლენა საგარეოპოლიტიკური პრიორიტეტების აღქმაზე კახეთისა და შიდა ქართლის ქართულენოვან მოსახლეობაში

კვლევის პირველი ნაწილი მოიცავს კახეთსა და შიდა ქართლში ქარ- თულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლობითი კვლევის შედე- გების ანგარიშს საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციასთან და ულტრა- კონსერვატიულ შეხედულებებთან დაკავშირებით. კვლევის მიზანი იყო ორ რეგიონში ამ შეხედულებების შესწავლა და იმის შეფასება, თუ რამდენად უკავშირდება ისინი პრო და არაპროდასავლურ სენტიმენტებს.

კახეთი და შიდა ქართლი შევარჩიეთ იმ მოსაზრებით, რომ აღმო- სავლეთ საქართველოს ეს ორი რეგიონი ერთმანეთს ჰგავს როგორც მოსახლეობის რაოდენობისა და სამუშაო ძალის, ასევე მრეწველობაში ბრუნვის დონისა და გასაღების ბაზრის თვალსაზრისით.[3] ამასთანავე, ბოლო 30 წლის განმავლობაში შიდა ქართლში ორჯერ იყო საომარი მოქმედებები, რამაც დიდი გავლენა იქონია არა მარტო სოციალურ, არამედ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზეც და რაც რეგიონებს შორის განსხვავებისა და მსგავსების შესწავლას დამატებით ღირებულებას სძენს.

კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ მოსახლეობის დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხის მიმართ, მათი შორის უცხოელებთან, საგარეო და საშინაო პოლიტიკასთან, ტრადიციებთან, რელიგიასთან და, ზო- გადად, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით.

კვლევა ფოკუსირებული იყო კონსერვატიულ განწყობასა და სა- გარეო ორიენტაციას შორის კავშირის შესწავლაზე. კონსერვატიულ განწყობაში იგულისხმება ტრადიციული ღირებულებებისა და ინს- ტიტუტების (როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური) პრიორი- ტეტულობა და ახალი/უცხო გამოცდილების მიუღებლობა. ამ შემ- თხვევაში საგარეო ორიენტაციაში მოიაზრება დამოკიდებულება

[3] საქსტატი, რეგიონული სტატისტიკა (2018).

სხვადასხვა ქვეყნისა და გაერთიანების მიმართ, ასევე, მათგან მომავალი საფრთხის აღქმა.

მონაცემები შევაგროვეთ მოსახლეობის გამოკითხვის მეთოდით. კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში 2018 წლის 26 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე პირისპირ ინტერვიუ შედგა ქართულ ენაზე 1318 ადამიანთან. შედეგები ამ ორი რეგიონის სრულწლოვანი ქართულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობის წარმომადგენლობითია.[4] ამის პარა- ლელურად, გორსა და თელავში, შესაბამისად, 2018 წლის 8 და 9 დეკემბერს, ჩატარდა ფოკუს-ჯგუფების[5] შეხვედრები.

ანგარიშის პირველი ნაწილი სამი ქვეთავისგან შედგება. პირ- ველში წარმოდგენილია კონსერვატიული შეხედულებების მო- ცემულობა კახეთსა და შიდა ქართლში, მეორეში განხილულია მოსახლეობის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები, ხოლო მესამეში გაანალიზებულია საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის ფაქტორები და მათი კავშირი კონსერვატიულ შეხედულებებთან. პირველ და მეორე ქვენაწილში წარმოდგენილი ანალიზი ძირითადად აღწერითია და ეყრდნობა სხვადასხვა კითხვაზე პასუხების სიხშირის გადანაწილებას როგორც მთლიანად კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობაში, ასევე, ცალკეულ დემოგრაფიულ ჯგუფებში. მესამე ქვენაწილში კი, გარდა სიხშირის გადანაწილებისა, წარმოდგენილია რეგრესიული ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემებიც.

კონსერვატიზმის შეფასება კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობაში

კახეთის და შიდა ქართლის მოსახლეობაში კონსერვატიული შეხედუ- ლებების შესაფასებლად გამოკითხვის ფარგლებში დავსვით კითხვები კონსერვატიზმის სხვადასხვა კომპონენტის შესახებ. კერძოდ, კითხვები

[4]დეტალური მეთოდოლოგია წარმოდგენილია დანართში 1.

[5]ფოკუს-ჯგუფების მეთოდოლოგიაზე ინფორმაცია მოცემულია დანართში 2.

შეეხო „ქართველობისათვის“ აუცილებელ პირობებს, ქონების განკარგვას, სახელმწიფოს მართვის გზებს, ეკლესიის როლს და დამოკიდებულებას სხვა ეროვნების წარმომადგენლების მიმართ. ამ კითხვებმა საშუალება მოგვცა მოსახლეობის დამოკიდებულება შეგვეფასებინა რამდენიმე კუთ- ხით - როგორც გლობალურ, ასევე ყოველდღიურ დონეზე და როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური თვალსაზრისით.

როგორც ირკვევა, კახეთის და შიდა ქართლის მოსახლეობაში საკ- მაოდ გავრცელებულია კონსერვატიზმის სხვადასხვა ფორმა.

„ქართველობის“, როგორც სოციალური იდენტობის, აუცილებელი პირობების შესახებ კითხვა გვიჩვენებს, თუ რამდენად მკაცრი/ხისტი ან მოქნილია მოსახლეობის კონსერვატიულ ღირებულებებთან დაკავშირებული შეხედულებები. კახეთის და შიდა ქართლის მო- სახლეობის დიდი ნაწილის აზრით, ადამიანს თავად უნდა მიაჩნდეს თავი ქართველად ან ერთი მშობელი მაინც უნდა ჰყავდეს ქართველი, ქართველად რომ ჩაითვალოს. შედარებით მცირე ნაწილი კი ფიქრობს, რომ ქართველობისთვის ქართული გვარი და მართლმადიდებლობაა აუცილებელი (იხ. ცხრილი 1.1). გამოკითხულთა დაახლოებით მესამედი გამოხატავს მეტ-ნაკლებად ლიბერალურ დამოკიდებულებას, როდესაც ამბობს, რომ მთავარია, თავად მიიჩნევდეს თავს ქართველად, ვინაიდან ეთნიკურ იდენტობას აღიქვამს როგორც სოციალურ ფენომენს, რო- მელიც მოქნილია და არჩევანის თავისუფლებას გულისხმობს. უფრო დიდი ნაწილი იხრება კონსერვატიული მოსაზრებისკენ, რომელიც ისეთ მახასიათებლებს (ქართველი მშობელი, ქართული გვარი) გულისხმობს, რაზეც ადამიანს ნაკლები კონტროლი აქვს და მას მშობლებისგან გადაეცემა. მსგავსი კონსერვატიული შეხედულებები მძაფრდება მაშინ, როდესაც საქმე მომავალი თაობისთვის ქონების გადაცემას ეხება.

ცხრილი 1.1

თქვენი აზრით, ამ ბარათის კითხვებიდან რა არის ყველაზე აუცილებელი იმისთვის, რომ ადამიანი ქართველად მივიჩნიოთ? (%)

	კახეთი	შიდა ქართლი
ერთი მშობელი მაინც ჰყავდეს ქართველი	28	30
იცოდეს ქართული ენა	7	4
ცხოვრობდეს საქართველოში	5	2
იყოს მართლმადიდებელი	11	8
თავად თვლიდეს თავს ქართველად	31	41
ჰქონდეს ქართული გვარი	13	13
სხვა	3	1
არ ვიცი / უარი პასუხზე	4	2

ქონების ვაჟისთვის გადაცემის ტრადიცია საკმაოდ გავრცელებული იყო და არის საქართველოში, რასაც ადასტურებს ოფიციალური სტატისტიკაც, რომლის მიხედვით, ქალებთანშედარებით კაცების უფრო დიდი ნაწილი არის საცხოვრებელი სახლის, სასოფლო-სამეურნეო მიწისა თუ სხვა უძრავი ქონების მფლობელი როგორც დოკუმენტურად, ასევე თვითგაცხადებული მფლობელობის თვალსაზრისით.[7] ქონების შვილებისთვის დატოვებასთან დაკავშირებით მოსახლეობის მოსაზ-რებამ საშუალება მოგვცა ნათლად აღგვექვა, თუ რამდენადაა გავრ- ცელებული ეს ტრადიცია საქართველოში იმ ფონზე, როცა კანონი შვილებს, როგორც

მემკვიდრეებს, ერთმანეთისგან სქესის მიხედვით არ განასხვავებს.

[6]პროცენტების ჯამი შეიძლება არ ემთხვეოდეს 100-ს, რადგან დამრგვალებულია მეათედებში.

[7]საქსტატი, პილოტური კვლევა გენდერულად დიფერენცირებული მონაცემების შეგროვებაზე აქტივების ფლობასა და მეწარმეობაზე (2018) 54.

კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის მოსაზრება მსგავსია, როცა საქმე შვილებს შორის ქონების განაწილებას ეხება. ამ ორი რეგიონის მოსახლეობის 52%-ის აზრით, ბინა ვაჟის საკუთრებაში უნდა გადავიდეს, თუ ოჯახში გოგო და ბიჭი იზრდება და ოჯახს მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ბინა აქვს. 45%-ის აზრით, ბინა თანაბრად უნდა გაიყოს გოგოსა და ვაჟს შორის და მხოლოდ 1% ამბობს, რომ ბინა გოგოს საკუთრებაში უნდა დარჩეს. როგორც ვხედავთ, ორივე რეგიონში მოსახლეობის ნახევარის შეხედულება ქონების გადაცემასთან დაკავშირებით კონსერვატიულია, ვინაიდან მიჰყვება ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ქალისა და ვაჟის სოციალური სტატუსი არაა თანასწორი - კაცს უფრო მეტი უფლება ენიჭება ქონების მიღების თვალსაზრისით მიუხედავად იმისა, რომ კანონით შვილებს, სქესის მიუხედავად, თანაბარი უფლებები აქვთ მინიჭებული.

კონსერვატიული შეხედულებები დომინირებს პოლიტიკურ განწყობაშიც. პოლიტიკური კონსერვატიზმის საზომად ჩვენ მოსახლეობას კით- ხვები დავუსვით მთავრობის, ლიდერის, ეკლესიის როლის და პოლიტიკური რეჟიმის შესახებ. ერთ-ერთი კითხვის შესაბამისად, მოსახლეობას არჩევანი უნდა გაეკეთებინა ორ მოსაზრებას შორის (იხ. დიაგრამა 1.1). ერთში მთავრობა წარმოჩენილია როგორც მშობელი, რომელმაც ხალხზე ისე უნდა იზრუნოს, როგორც შვილებზე, ხოლო მეორეში - როგორც დაქირავებული, რომელსაც ადამიანები უნდა აკონტროლებდნენ, უფროსების რანგში. პირველი მოსაზრება ასახავს პასიურ მოქალაქეს და ეს უფრო თავსებადია კონსერვატიულ საზოგადოებასთან, ე.წ. დახურულ პოლიტიკურ სისტემასთან. მეო- რე მოსაზრება მოქალაქეს უფრო აქტიურ როლს ანიჭებს, რაც დემო- კრატიული საზოგადოების, ღია პოლიტიკური სისტემის ატრიბუტია. მონაცემების მიხედვით, კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი პასიურ როლს ანიჭებს უპირატესობას, თუმცა 39% მეორე მოსაზრებას ეთანხმება. აღსანიშნავია, რომ კახეთის მოსახლეობასთან შედარებით შიდა ქართლელთა გაცილებით მცირე ნაწილი ირჩევს მეორე მოსაზრებას და უფრო ხშირად ამბობს, რომ არც ერთს არ ეთანხმება[8] ან არ იცის.

[8]წარმოდგენილია „სრულად ვეთანხმები“ და „ვეთანხმები“ პასუხების ჯამი.

ცხრილი 1.1

გთხოვთ, გვიპასუხოთ, ამ ორი მოსაზრებიდან რომელს ეთანხმებით?(%)



ამასთანავე, უმრავლესობა (54%) მაინც ფიქრობს, რომ უკეთესი იქნება, თუ არჩევნებში გამარჯვებული ძალა ყველა გადაწყვეტილებას საზოგადოებასთან კონსულტაციის შედეგად მიიღებს. დაახლოებით მესამედი კი მიუთითებს, რომ უკეთესია, თუ ქვეყანას ძლიერი ლიდერი ეყოლება, რომელიც თავად მიიღებს საზოგადოებისთვის საჭირო გადაწყვეტილებებს. კვლავ, კახეთის მოსახლეობასთან შედარებით (60%), შიდა ქართლის მოსახლეობა უფრო იშვიათად (45%) ირჩევს პოზიციას, რომელიც კონსულტაციის სახით მოსახლეობისგან მეტ ჩართულობას მოითხოვს.

ძლიერ ლიდერზე (პატრონზე) მოთხოვნა გამოიკვეთა ფოკუს-ჯგუფებშიც. ამ თემაზე საუბრისას რესპონდენტების ნაწილი აღი-არებდა, რომ „თუ (მმართველი) კეთილშობილი და კარგი მამუ-

ლიშვილი იქნება და კარგად მოუვლის ქვეყანას“[9], მაშინ არსებითი მნიშვნელობა არ ექნებოდა სახელმწიფოს მართვის ფორმას. პო- ლიტიკურ მდგომარეობაზე მსჯელობისას რესპონდენტები მუდმივად გამოთქვამენ წუხილს ცუდი კადრების შესახებ, რომლებიც ამა თუიმ თანამდებობას იკავებენ. ამავდროულად, არც ერთ ჯგუფში არ გამოთქმულა სურვილი, არ გამოხატულა აზრი მმართველობითი სისტემის ოპტიმიზაციის შესახებ. ყველა პრობლემის მომგვარებლად მიაჩნიათ კონკრეტული ინდივიდი ან ინდივიდთა ჯგუფი, რომელიც სიტუაციის გამოსწორებაზე პასუხისმგებლობას აიღებს.

ძლიერი, ქარიზმატული ლიდერის მოთხოვნა იკვეთება რეს- პონდენტების დამოკიდებულებაში რუსეთის ფედერაციის პრეზი- დენტ ვლადიმირ პუტინის მიმართაც. საჯაროდ მის მიმართ და- მოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია, მაგრამ როცა ვთხოვეთ, შეეფასებინათ რუსეთის პრეზიდენტი როგორც პოლიტიკოსი, მათმა უმრავლესობამ ის დაახასიათა, როგორც ძლიერი ადამიანი და თავის ხალხისთვის კარგი პრეზიდენტი. რაც შეეხება საქართველოში ამ ტიპის მმართველის არსებობას, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა თითქმის ნახევარს მიიჩნია, რომ პუტინის მსგავსი პრემიერ-მინისტრი საქართველოს წაადგებოდა.

„როგორიც უნდა იყოს, თავისი ხალხისთვის მაინც კარგია დათავისი ქვეყნისთვის ცდილობს.““[10]

„ეგ ჩვენთვის არის დამპყრობელი, თორე თავისი ქვეყნისთვისძაან კარგია“.[11]

„პუტინი რო ჩვენი იყოს და მიწებს იპყრობდეს, ჩვენ რუსებზემეტად გაგვიხარდებოდა“.[12]

„ესეა თუ ისეა, ქვეყანა ამოწია მეტნაკლებად, მონა აღარ არიჩვენსავით.“[13]

---

[9]ფოკუს-ჯგუფები. ქალები 45-60 წელი. თელავი. 09.12.2018

[10]ფოკუს-ჯგუფები. მამაკაცები 45-60 წელი. თელავი. 09.12.2018

[11]ფოკუს-ჯგუფები. ქალები 45-60 წელი. თელავი. 09.12.2018

[12]ფოკუს-ჯგუფები. ქალები 25-40 წელი. თელავი. 09.12.2018

[13]ფოკუს-ჯგუფები. მამაკაცები 45-60 წელი. თელავი. 09.12.2018

ამავე დროს, კითხვაზე, დაესახელებინათ რომელიმე კონკრეტული პიროვნება, პოლიტიკოსი ან თუნდაც არაპოლიტიკოსი, ოღონდ საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანი, რომელიც მათი აზრით ქვეყნისთვის კარგი ლიდერი იქნებოდა, ფოკუს-ჯგუფების ვერც ერთმა მონაწილემ ასეთი ინდივიდი ვერ დაასახელა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ყველაზე რეიტინ- გული პოლიტიკური ლიდერები, კულტურის თვალსაზრისით, ლი- ბერალური და მემარჯვენე-ცენტრისტული შეხედულებებით გა- მოირჩევიან, აღწერილი ნიჰილისტური განწყობა დიდწილად მათ უკავშირდება. ქარიზმატული ლიდერის გამოჩენა უფრო მეტად მოსალოდნელია რომელიმე რადიკალურ ფრთაზე, ან არსებული ლიდერების პოლიტიკური მრწამსის რადიკალური შეხედულებებისკენ ტრანსფორმაციის პირობებში.

*თუ მოქალაქეთა მონაწილეობის თვალსაზრისით კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი კონსერვატიული შეხედულებებისკენ იხრება და ამასთანავე, შიდა ქართლი უფრო კონსერვატიულია, ვიდრე კახეთი, სურათი იცვლება, როდესაც საქმე მთავრობისა და ეკლესიის ურთიერთობას ეხება. ამ შემთხვევაში ორივე რეგიონის მოსახლეობის მოსაზრება მსგავსად კონსერვატიულია - 67% ფიქრობს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას პოლიტიკოსები უნდა ითვალისწინებდნენ ეკლესიის პოზიციას და მხოლოდ 27% მიუთითებს, რომ ეკლესია არასდროს არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში.

ეს თავისთავად კონსერვატიული შეხედულებების ამსახველია, რადგან გადაწყვეტილებების უმეტესობა, რომელშიც ეკლესია ერევა, ქართულ რეალობაში დაკავშირებულია ტრადიციული და კონსერვატიული პოზიციების შენარჩუნება/გამყარებასთან და არ არის დემოკრატიულ პრინციპებთან დაახლოება. კერძოდ, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ღიად დააფიქსირა უკმაყოფილება ნარკოლიბერალიზაციის პროცესთან დაკავშირებით[14] და სასულიერო პირები აქტიურად ხვდებოდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებს,

[14]Reginfo.ge, მარიხუანას ლეგალიზაცია ქვეყანას უმძიმეს შედეგებს მოუტანს - საპატრიარქო. (2018)

როდესაც პარლამენტში მარიხუანას ლეგალიზაციის საკითხი განიხილებოდა.[15] საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ასევე აქტიურად გამოხატავდა პოზიციას ანტიდისკრიმინაციული კანონპროექტის შემუშავების პროცესში და ეწინააღმდეგებოდა ერთსქესიანი წყვილების ქორწინების დაკანონებას.[16]

მოსახლეობის შეხედულებები ეკლესიის პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობასთან დაკავშირებით უფრო გასაგები გახდება, თუ რელიგიასა და ღმერთთან დაკავშირებულ მოსაზრებებს გადავხედავთ. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სხვა ინსტიტუტებთან შედარებით (პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტი, ჯარი, სასამართლოები, ჟურნალისტები), ეკლესიის მიმართ ნდობა ძალიან მაღალია (85%).[17] ამასთანავე, კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის 84% პროცენტი ფიქრობს, რომ ღმერთი უშუალოდ არის ჩართული რიგითი ადამიანების ცხოვრებაში, ხოლო 67% ამბობს, რომ ღმერთი სჯის ცოდვილებს. მეორე მხრივ, მოსახლეობის უმრავლესობა (76%) მხოლოდ განსაკუთრებულ ღონისძიებებზე, ან უფრო იშვიათად ესწრება რელიგიურ მსახურებას, 69% კი არასდროს მარხულობს. ასევე, მოსახლეობის მესამედზე მეტს ბიბლია არც წაუკითხავს და არც მოუსმენია. მიუხედავად ამისა, კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის 81%-ის აზრით, ქართველები კარგი მართლმადიდებლები არიან. როგორც ვხედავთ, მოსახლეობის უმრავლესობის დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ დადებითია, მაგრამ რელიგიურ აქტივობაში ნაკლებადაა ჩართული. ასევეა პოლიტიკური სისტემის თვალსაზრისითაც - მოსახლეობა პასიურ, მიმღებლურ როლს ასრულებს,

---

თუმცა ეკლესიის ინსტიტუტის მიმართ მაღალი ნდობა მიგვანიშნებს, თუ რატომ მიიჩნევს სასურველად მოსახლეობის დიდი ნაწილი ეკლესიის მონაწილეობას პოლიტიკურიგადაწყვეტილების მიღების პროცესში.

[15]პირველი არხი, ირაკლი კობახიძე - მარიხუანას კულტივაციასთან დაკავშირებით ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს არავითარ შემთხვევაში არ მივიღებთ (2018) [16]netgazeti.ge,

წულუკიანი: ჩვენი ხელისუფლება არ ემხრობა გეი ქორწინებას (2014)

[17]წარმოდგენილია „ნაწილობრივ ვენდობი“ და „სრულიად ვენდობი“ პასუხების ჯამი.

ზოგადად დემოკრატიის მიმართ დამოკიდებულებას რაც შეეხება, ორივე რეგიონის უმეტესი ნაწილის აზრით, დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია. დაახლოებით მეხუთედი ამბობს, რომ უბრალო ადამიანისთვის არა აქვს მნიშვნელობა, როგორი მთავრობა ეყოლება, ხოლო მცირე ნაწილი მიუთითებს, რომ ზოგ შემთხვევაში არადემოკრატიული მთავრობა უფრო კარგია, ვიდრე დემოკრატიული(იხ. ცხრილი 1.2). აღსანიშნავია, რომ კახეთის მოსახლეობის უფრო მეტი ნაწილი მიიჩნევს, რომ დემოკრატია ყველა წყობაზე უკეთესია, ვიდრე შიდა ქართლის მოსახლეობა. რაც შეეხება შიდა ქართლს, აქ უფრო ხშირად უჭირთ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ვიდრე კახეთში.

ცხრილი 1.2

გთხოვთ, გვითხრათ, ამ მოსაზრებებიდან რომელს ეთანხმებით? (%)

	კახეთი	შიდა ქართლი
დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია	64	50
ზოგ შემთხვევაში არადემოკრატიული მთავრობა უფრო კარგია, ვიდრე დემოკრატიული	11	13
ჩემნაირი ადამიანისთვის არა აქვს მნიშვნელობა, როგორი მთავრობა გვეყოლება	20	22
არ ვიცი / უარი პასუხზე	4	16

მოსახლეობის დამოკიდებულება პოლიტიკური წყობის მიმართ გვიჩვენებს, რომ უმეტესობა უპირატესობას დემოკრატიას ანიჭებს. მიუხედავად ამისა, მათი პასუხი პოლიტიკურ პროცესებთან და მონაწილე სუბიექტებთან თუ ინსტიტუტებთან დაკავშირებით, ხშირად დემოკრატიული პოლიტიკური კულტურისგან განსხვავებულია და ანტისისტემურ ხასიათს ატარებს. ეს, შესაძლოა, იმაზე მიანიშნებდეს, რომ დემოკრატიის მხარდაჭერა მოსახლეობის ნაწილში ჯერ კიდევ არ

ემყარება პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა კომპონენტების

ცოდნას და ამ სისტემაში მოქალაქის როლის გააზრებას. ეს და-კვირვება უფრო გასაგები გახდება იმის გათვალისწინებით, რომ დამოკიდებულების შეცვლის პროცესში შეხედულებები, ემოციური თუ ქცევითი დამოკიდებულება ხშირად ერთდროულად არ ყალიბდება[18].

ამრიგად, დემოკრატიული წყობის მიმართ მოსახლეობის დიდი ნაწილის დამოკიდებულება ჯერ მხოლოდ კოგნიტური დონით შემო- იფარგლება და სამოქალაქო პროცესებში მონაწილეობასთან დაკავ- შირებულ უფრო კონსერვატიულ მიდგომასთან ერთად თანაარსებობს. ამ ვარაუდს ის დაკვირვებაც ამყარებს, რომ კონსერვატიული შეხე- დულებების გამყარების პარალელურად, დემოკრატიულ სისტემას ქართლში უფრო ნაკლებად უჭერენ მხარს, ვიდრე კახეთში. შესაბამისად, შიდა ქართლში დემოკრატიული სისტემის მიმართ დამოკიდებულება ნაკლებადაა ჩამოყალიბებული და წარსული, უფრო კონსერვატიულიშეხედულებების გავლენას განიცდის.

კონსერვატიული შეხედულებების დომინირება განსაკუთრებით კარ-გად ჩანს სოციალურ საკითხებთან მიმართებაში. მოსახლეობის სოციალური განწყობის გარკვევის მიზნით, ჩვენ დავსვით კითხვები სხვადასხვა ჯგუფთან თანაცხოვრების, უცხოელებთან ოჯახის შექმ- ნისა და უცხოელების მიერ მოქალაქეობის მიღებისა და ქონების შეძენის შესახებ. ეს კითხვები უცხო, განსხვავებული ჯგუფების მი- მართ დამოკიდებულების შესახებ სოციალური კონსერვატიზმის მნიშვნელოვანი ინდიკატორებია, ვინაიდან მოსახლეობის ღიაობა-ჩაკეტილობას უკეთ წარმოაჩენს.

სოციალურ-კონსერვატიულ განწყობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის კითხვა ადამიანთა იმ ჯგუფების შესახებ, ვისთან დაახლოება და თანაცხოვრება მოსახლეობას ყველაზე ნაკლებად სურს. ერთობ არასასურველი მეზობლების სიაში პირველ ადგილს ნარკომანები, კრიმინალები და ჰომოსექსუალები იყოფენ. შიდა ქართლის მოსახ-ლეობის უფრო მეტმა ნაწილმა არასასურველ მეზობლად ნარკო- მანები მიიჩნია, ვიდრე კახეთის მოსახლეობამ, რომელმაც უფრო არასასურველად კრიმინალები და ჰომოსექსუალები დაასახელა.

[18]Steven Breckler, Empirical validation of affect, behavior, and cognition as distinct components of attitude (1984) 1199-1200.

თუმცა, ცდომილების გათვალისწინებით, ეს განსხვავება კახეთსა დაშიდა ქართლს შორის მცირეა (იხ. დიაგრამა 1.2). თუ პირველ სამეულში კრიმინალების და ნარკომანების არასასურველთა სიაში მოხვედრა მეტ-ნაკლებად გასაგებია და, შესაძლოა, მათთან მეზობლობა დანაშაულთან და საფრთხესთან ასოცირდებოდეს, ჰომოსექსუალების ამ კონტექსტში დასახელება მხოლოდ და მხოლოდ მოსახლეობის კონსერვატიზმზე მიგვანიშნებს.

<u>დიაგრამა 1.2</u>

ამ ბარათზე ჩამოთვლილი ადამიანებიდან ყველაზე მეტად ვის <u>არ</u> ისურვებდით თქვენს მეზობლად? (%)



მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებული ეროვნების წარმომა- დგენლებს არასასურველი მეზობლების სიაში მოსახლეობის უმნიშვნელო ნაწილი ასახელებს, მათ მიმართ კონსერვატიულ დამოკიდებულებას სხვა კითხვებში ვხედავთ. თუ მოსახლეობას პირდაპირ ვკითხავთ ცალკეული ეროვნების წარმომადგენლებთან არა უბრალოდ მეზობლობის, არამედ მათთან ოჯახის შექმნის შესახებ, უკეთ დავინახავთ, რამდენად მიმღებია საზოგადოება განსხვავებული ჯგუფების მიმართ, ამასთანავე, შესაძლებელია სხვადასხვა წარმომავლობის ხალხის მიმართ დამოკიდებულების შედარება, რაც თავისთავად მეტს გვეუბნება კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის დამოკიდებულებაზე მოქმედი ფაქტორებისშესახებ. როდესაც საქმე შვილის მიერ გერმანელთან ან უკრაინელთან ოჯახის შექმნას შეეხო, დაახლოებით 40%-მა მიუთითა, რომ შეეცდება, შვილს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს. მოსახლეობის ცოტა უფრო დიდმა წილმა (43%) თქვა, რომ შეეცდება შვილს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს, თუ ის რუსთან ერთად ოჯახის შექმნას გადაწყვეტს. თუმცა, ცდომილების გათვალისწინებით, კახეთია და შიდა ქართლის მოსახლეობის დამოკიდებულება გერმანელებთან, უკრაინელებთან და რუსებთან ერთად ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით მსგავსია.

საინტერესოა, რომ რუსთან ოჯახის შექმნის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულება უფრო დადებითია, ვიდრე სომეხთან, ოსთან, თურქთან და ჩინელთან ქორწინების მიმართ. ორივე რეგიონის მოსახლეობის დამოკიდებულება შუაზე იყოფა სომეხთან და ოსთან ოჯახის შექმნასთან დაკავშირებით. დაახლოებით ნახევარი მიუ- თითებს, რომ შეეცდება შვილს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს. მიუხედავად იმისა, რომ კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის პასუხი ოჯახის შექმნასთან დაკავშირებულ კითხვებზე მსგავსია, მხოლოდ ოსებთან მიმართებით კახეთში უფრო ხშირად (53%) ამბობენ, რომ შეეცდებიან გადაწყვეტილება შეაცვლევინონ შვილებს, ვიდრე შიდა ქართლში (44%).[19]

[19]ეს განსხვავება არ არის დაკავშირებული გამოკითხულთა ეთნიკურ წარმომავლო- ბასთან, რადგან ოსი აღმოჩნდა კახეთში გამოკითხულთა 1% და შიდა ქართლში გამოკითხულთა - 2%.

უფრო მეტ წინააღმდეგობას ვხვდებით, როდესაც საქმე თურქებს და ჩინელებს ეხება. კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობას ყველა- ზე ნაკლებად შვილის თურქთან და ჩინელთან ქორწინება ხიბლავს. ორივე რეგიონში მოსახლეობის დაახლოებით 70% მიუთითებს, რომ შეეცდება შვილს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს, თუ იგი თურქთან და ჩინელთან ოჯახის შექმნას გადაწყვეტს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კახეთში, ასევე შიდა ქართლში სხვა ეროვნების წარმომადგენლების მიმართ წინააღმდეგობრივი და- მოკიდებულებით შუახნის ადამიანები უფრო გამოირჩევიან, ვიდრე 18-დან 35 წლამდე ახალგაზრდები და 55 წლის და უფროსი მოსახლეობა.

სხვადასხვა წარმომავლობის უცხოელების მიმართ მოსახლეობის წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება კარგად გამოჩნდა მაშინაც, როდესაც შევეცადეთ მიგვეღო პასუხი შეკითხვაზე - რამდენად იყო კონკრეტული ეროვნების წარმომადგენელთა უმრავლესობა „კარგი ადამიანი“. კითხვის ასეთმა ფორმულირებამ საშუალება მოგვცა დაგვენახა, რომელი ჯგუფის მიმართ რა დამოკიდებულება აქვს მოსახლეობას, თანაც ისე, რომ მათთვის საკუთარი გრძნობების შესახებ პირდაპირ არ გვეკითხა და, შესაბამისად, სოციალურისასურველობის ფაქტორი თავიდან აგვეცილებინა. ამრიგად, მოსახლეობის მიერ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელთა უმრავლესობის შეფასება არსებითად მათი დამოკიდებულების ანარეკლია და არა ჯგუფების ობიექტური შეფასება.

ორივე რეგიონში გამოკითხულთა ნახევარზე მეტმა კვლავ მიუ- თითა, რომ რუსების უმრავლესობა კარგი ადამიანია,[20] თუმცა ასე- ვე ნახევარი არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ რუსების უმრავ- ლესობას საქართველოსთვის კარგი სურს. მეოთხედის აზრით, რუსების უმრავლესობას საქართველოსთვის კარგი სურს, ხოლო მეოთხედს უჭირს პასუხის გაცემა. რაც შეეხება ჩინელებს და თურქებს,

[20]წარმოდგენილია ორი პასუხის ვარიანტის ჯამი, „სრულად ვეთანხმები“ და „ძირითადად ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“.

დამოკიდებულება მათ მიმართ შერეულია. ორივე რეგიონში მოსახლეობის უფრო დიდი წილი არ დაეთანხმა,[21] ვიდრე დაეთანხმა მოსაზრებას, რომ თურქების და ჩინელების უმრავლესობა კარგი ადამიანია, დიდ ნაწილს კი გაუჭირდა პასუხის გაცემა - თურქების შემთხვევაში 33%-მა აღნიშნა, რომ არ იცის, ხოლო ჩინელების მიმართებით - 43%-მა. მოსახლეობის უმრავლესობა არ ეთანხმება შეკითხვას, რომ ჩინელების ან თურქების უმრავლესობას, ისევ, როგორც რუსებს, საქართველოსთვის კარგი უნდა, ანაც უჭირს კითხვაზე პასუხის გაცემა (იხ. დიაგრამა 1.3).

სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან შედარებით ჩინელებისა და თურქების მიმართ ნაკლებად პოზიტიური დამოკიდებულება ემთხვევა სხვა გამოკითხვების მონაცემებს.[22] მოსახლეობა უფრო ხშირად ამბობს, რომ ჩინელები და თურქები, რომლებიც საქართველოში საცხოვრებლად ჩამოდიან, ზოგადად უცხოელებზე (ევროპელები თუ ამერიკელები, თუნდაც რუსები) მეტად ვერ შეუწყობენ ხელს საქართველოს ეკონომიკის განვითარებას.

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი იშვიათად აღიქვამს უცხოელებს, როგორც კეთილმოსურნეებს და ძირითადად, უცხოელთან ერთად ოჯახის შექმნის წინააღმდეგია, რაც თავისთავად კონსერვატიზმზე და მტკიცე ანტიიმიგრაციულ კლიშეებზე მიგვანიშნებს. ეს კიდევ უფროკარგად იკვეთება, როდესაც საქმე უცხოელებთან ყოველდღიურ ურთიერთობას ან რესურსების განაწილებას ეხება. კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის 90%-ზე მეტი მიესალმება საქართველოში ტურისტების სტუმრობას, მაგრამ, როდესაც საქმე საქართველოში 3 თვეზე მეტი დროით ჩამოსულ უცხოელებს შეეხო, მხოლოდ მესამედმა გამოხატა დადებითი დამოკიდებულება მათ მიმართ. მესამედმა თქვა, რომ ნეიტრალურად არის

განწყობილი, ხოლო დარჩენილმა მესამედმა უარყოფითი დამოკიდებულება გამოავლინა. უფრო მეტიც, კახეთისა

[21]წარმოდგენილია ორი პასუხის ვარიანტის ჯამი, „სრულად ვეთანხმები“ და

„ძირითადად ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები“.

[22]CRRC-Georgia, Georgians have more negative attitudes towards the Chinese than other foreigners in Georgia (2019)

და შიდა ქართლის მოსახლეობის ორმა მესამედმა აღნიშნა, რომ უცხოელებს, ვისაც საქართველოში ცხოვრება უნდა, არ უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება ამისთვის საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაშიც კი. ასევე, კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის 81%-მა მიუთითა, რომ იმ უცხოელებს, ვისაც საქართველოში ცხოვრება უნდა, არ უნდა ჰქონდეთ უძრავი ქონების აქ შეძენის უფლება (იხ. დიაგრამა 1.4).

ერთი შეხედვით, ამ კითხვებზე პასუხი წინააღმდეგობრივია არასასურველი მეზობლების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებასთან. რო- გორც ვნახეთ, მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი ასახელებს განსხვავებული ეროვნების წამომადგენლებს არასასურველ მეზობლებლად, თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ კითხვაზე რესპონდენტებს მხოლოდ ერთი პასუხის არჩევა შეეძლოთ და ჩამონათვალში იყვნენ ისეთი ჯგუფები, როგორიცაა ნარკომანები, კრიმინალები და ჰომოსექსუალები, გასაკვირი არ არის, რომ უცხოელები ბევრს არ დაუსახელებია. როდესაც უცხოელების შესახებ კითხვას ცალკე ვსვამთ, სხვა სოციალური ფაქტორების გავლენისგან იზოლირებულად, ვხედავთ, რომ მხოლოდ უცხოელობაც საკმარისია,რომ ადამიანის ქვეყანაში ყოფნა და სხვადასხვა უფლების ქონა არასასურველად აღიქმებოდეს.

აღსანიშნავია, რომ ორივე რეგიონში 55 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობა უფრო უარყოფით განწყობას ამჟღავნებს 3 თვეზე მეტი ხნით ჩამოსული უცხოელების მიმართ. ამასთან, მხოლოდ კახეთში, 18-დან 35 წლამდე ასაკისანი, 35 წლისა და უფრო ხანდაზმულებთან შედარებით, გაცილებით ხშირად ამბობენ, რომ უცხოელს, ვისაც საქართველოს მოქალაქეობის მიღება სურს, უნდა ჰქონდეს ამის საშუალება. კახეთში მსგავს განსხვავებას სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შორის მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით არ ვხვდებით.

<u>დიაგრამა 1.4</u>

თქვენი აზრით, უცხოელებს, ვისაც საქართველოში ცხოვრება სურთ, უნდა ჰქონდეთ თუ არა საქართველოს მოქალაქეობის მიღებისუფლება შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში/
უძრავი ქონების შეძენის უფლება? (%)



კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის პასუხი მოქალაქეობის მინიჭებასა და უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებით სავსებით მოსალოდნელი იყო. სხვა არაერთი გამოკითხვის მონაცემებით,[23] საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ერთმნიშვნელოვნად წინააღმდეგია, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქე ფლობდეს მიწას საქართველოში მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მომგებიანად გამოიყენებს ის ამ მიწას და ურჩევნია, რომ მიწას მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ფლობდეს. ეს კი კონსერვატიზმის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულებაა.

უცხოელების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ფოკუს-ჯგუფებშიც მკაფიოდ გამოვლინდა. გორსა და თელავში გამართულ შეხვედრებზე გამოჩნდა, რომ მისი მონაწილეები საფრთხედ აღი- ქვამენ

აზიის ქვეყნებიდან ჩამოსულ პირებს, მაგრამ დასავლეთის

[23]კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში (2017).

ქვეყნების წარმომადგენლებისგან განსხვავებით, მათი მხრიდან უფ- რო დემოგრაფიულ საფრთხეს გრძნობენ, რაც დასავლეთთან მი- მართებით არ გამოთქმულა.

„ჩამოვლენ, გამრავლდებიან და გადაგვაჯიშებენ".[24]

„ოღონდ მუსულმანი ნუ იქნება და არაბი".[25]

„უმჯობესია, ქართველი იყოს, თუნდაც ევროპელი მისაღებია, ოღონდ, აი, მუსულმანი ნამდვილად არა". [26]

როგორც ვხედავთ, კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობა ხშირ შემთხვევაში კონსერვატიული შეხედულებების მატარებელია როგორც პოლიტიკური, ასევე სოციალური თვალსაზრისით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე უცხოელებთან ურთიერთობას და მათთან მატერიალური თუ არამატერიალური რესურსის გაყოფას ეხება. ამასთანავე, მოსახლეობა გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთა ზოგადი შეფასებისას და ხშირად უჭირს მსგავსკითხვებზეპასუხისგაცემა.ასევე,კონსერვატიულიამოსახლეობის შეხედულება ქონების შვილებისთვის გადაცემასთან დაკავშირებით და როდესაც საქმე ქართველობისთვის აუცილებელ პირობებს ეხება. ამ კითხვების ანალიზმა ცხადყო, რომ ერთი და იმავე ადამიანის პასუხი სხვადასხვა კითხვებზე ხშირად წინააღმდეგობრივია, რაც შერეულ, არამდგრად განწყობაზე მიუთითებს. მაგალითად, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევს, რომ დემოკრატია პოლიტიკური წყობის საუკეთესო ფორმაა და ისინი, ვინც ამბობს, რომ მთავრობის წყობას მნიშვნელობა არ აქვს ან ზოგჯერ არადემოკრატიული წყობა სჯობს, თანაბარი სიხშირით აღნიშნავენ, რომ უცხოელებს არ უნდა ჰქონდეთ მოქალაქეობის მიღების ან უძრავი ქონების შეძენის უფლება. ლოგიკურად კი მოსალოდნელი იყო, რომ ვინც დემოკრატიულ წყობას ანიჭებს უპირატესობას, ნაკლებად კონსერვატიულ შეხედულებას გამოამჟღავნებდა სოციალურ საკითხთან დაკავშირებით.

[24] ფოკუს-ჯგუფი. თელავი, მამაკაცები, 25-40 წელი. 9 დეკემბერი, 2018.

[25]ფოკუს-ჯგუფი. გორი, მამაკაცები, 25-40 წელი. 8 დეკემბერი, 2018.

[26]ფოკუს-ჯგუფი. თელავი, ქალები, 25-40 წელი. 9 დეკემბერი, 2018.

მსგავსი შეუსაბამობა, შესაძლოა, გარდამავალ კულტურულ ნორმაზე მიუთითებდეს, რაც კონსერვატიული დამოკიდებულების აღსაქმელად საერთო საზომის შემუშავების პროცესს ართულებს. მიუხედავად ამისა, მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბევრ საკითხში მოსახლეობის დიდი ნაწილი კონსერვატიულია. ამასთან, შიდა ქართლი უფრო კონსერვატიულია, ვიდრე კახეთი და ხნიერი მოსახლეობა ახალ-გაზრდებზე უფრო მეტად გამოხატავს კონსერვატიულ განწყობას.

კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები

მოსახლეობის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე გავლენას ახდენს კონკრეტული ქვეყნების მიმართ დამოკიდებულება ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხით. შესაბამისად, შიდა ქართლისა და კახეთის მოსახლეობას ვთხოვეთ, გამოეხატათ მოსაზრება საქართველოს მეგობარი და მტერი ქვეყნების, ასევე, პოლიტიკურად და ეკონომიკურად მოწინავე სახელმწიფოების და ქართული პროდუქტის სხვადასხვა ბაზარზე გატანის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობის და ამ ორგანიზაციებიდან, ასევე კონკრეტული ქვეყნებიდან მომავალი საფრთხეების აღქმის შესახებ. ამ საკითხების შესახებ მოსახლეობის მოსაზრებამ საშუალება მოგვცა, გაგვეგო, თუ რა წარმოდგენა აქვს კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობას მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების შესახებ და სად ხე- დავს საქართველოს ადგილს გლობალურ კონტექსტში.

კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობამ დაახლოებით ერთნაირად უპასუხა კითხვებს იმაზე, თუ რომელი ქვეყანაა, მათი აზრით, საქართველოს მთავარი მეგობარი და საქართველოს მთავარი მტერი. საქართველოს მთავარ მეგობრად ყველაზე ხშირად დასახელდა აშშ (25% კახეთში და 23% შიდა ქართლში), თუმცა თვალშისაცემია, რომ მოსახლეობის ყველაზე დიდმა წილმა ორივე რეგიონში ან ვერ უპასუხა ამ კითხვას, ან უპასუხა, რომ არც ერთი ქვეყანა არ არის საქართველოს

„მთავარი მეგობარი“ (ცხრილი 2.1). უნდა აღვნიშნოთ,

რომ ამ გამოკითხვის ფარგლებში დასახელებული მეგობარი ქვეყნები არ განსხვავდება საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენლობითი გამოკითხვის დროს მიღებული შედეგებისგან. 2017 წლის „კავკასიის ბარომეტრის“ შედეგების თანახმადაც ანალოგიური სურათი მივიღეთ.[27] ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ როგორც მთელი ქვეყნის, ასევე მხოლოდ კახეთისა და შიდა ქართლის რეგიონების მოსახლეობის მცირე, მაგრამ საკმაოდ სტაბილური ნაწილი (დაახლოებით 6%) საქართველოს მთავარ მეგობრად რუსეთს ასახელებს. განსაკუთრებით მოულოდნელია ასეთი შედეგი შიდა ქართლში, რომლის ტერიტორიის დაახლოებით 40%-იც რუსეთის მიერ არის ოკუპირებული.

ნიშანდობლივია, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ან არ იცის, რო-მელი ქვეყანაა მეგობარი, ან ვერც ერთ ქვეყანაში ვერ ხედავს მეგობარს. ეს მიუთითებს, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ქვეყნის საგარეო ურთიერთობაში კარგად ვერ ერკვევა და საერთაშორისო არენაზე საქართველოს საიმედო პარტნიორებს ნაკლებად ამჩნევს.

<u>ცხრილი 2.1</u>

თქვენი აზრით, რომელი ქვეყანაა ამჟამად საქართველოს მთავარი მეგობარი? (%)

	კახეთი	შიდა ქართლი
აშშ	25	23
უკრაინა	14	11
რუსეთი	7	6
აზერბაიჯანი	2	4
თურქეთი	1	2
გერმანია	3	1
სხვა ქვეყნები	5	3
არც ერთი ქვეყანა	25	23
არ ვიცი / უარი პასუხზე	18	27

[27] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, კავკასიის ბარომეტრი (2017).

რაც შეეხება ქვეყნებს, რომლებიც დასახელებული იქნა, როგორც საქართველოს მთავარი მტერი, დიდი მოულოდნელობა არც ამ შედეგშია. კახეთის მოსახლეობის 48%-მა და შიდა ქართლის მოსახლეობის 44%-მა დაასახელა რუსეთი. თურქეთი სიხშირით მეორე ადგილზეა, თუმცა რუსეთთან შედარებით, ის გაცილებით ნაკლებმა დაასახელა - 8% კახეთში და 6% შიდა ქართლში); საინტერესოა, რომ მტრებში ასევე დაასახელეს აშშ (3% და 4%), რომელსაც მოსახლეობის დიდი ნაწილი მთავარ მეგობრად აღიქვამს. წინა კითხვასთან შედარებით ოდნავ მაღალია მოსახლეობის წილი, ვისაც გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ან უარი თქვა პასუხზე - 27% კახეთში და 32% შიდა ქართლში. კახეთის მოსახლეობის 11%-ს მიაჩნია, რომ საქართველოს არ ჰყავს ამჟამად „მთავარი მტერი“ ქვეყანა და ამასვე აცხადებს შიდა ქართლის მოსახლეობის 8%.

როგორც ვხედავთ, ისევე, როგორც „მთავარი მეგობარი“ ქვეყნის შემთხვევაში, კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის დიდი ნაწილი ერთ ქვეყანას ასახელებს და ასევე დიდ ნაწილს უჭირს გარკვეული აზრის გამჟღავნება. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოსახლეობა მსოფლიოპოლიტიკურ არენაზე მცირე რაოდენობის მთავარ აქტორს ხედავს.

ამ საკითხთან კონტექსტში გორსა და თელავში გამართულ ფოკუს-ჯგუფებში კითხვა ასეთი ფორმულირებით დავსვით: ,,საქართველოს სამხედრო განადგურება ან უკიდურესად მძიმე ჰუმანიტარული კატასტროფა, შიმშილი რომ დაემუქროს, ვინ დაგვეხმარება ყველაზე მეტად, ვისგან ელოდებით თანადგომას ჯარით და საკვებით?» - რესპონდენტთა პასუხი შერეული იყო. ბევრს კონკრეტული პასუხის გაცემა გაუჭირდა. დაახლოებით თანაბრად დასახელდა დასავლეთი («ნატო», «ამერიკა», «საერთაშორისო საზოგადოება»), თუმცა რამდენიმე მონაწილემ რუსეთიც ახსენა.

„ნატო ალბათ და ამერიკა, მარა მაგათი იმედიც არ მაქ“. [28]

„საერთაშორისო საზოგადოება ალბათ...“[29]

[28]ფოკუს-ჯგუფი. თელავი, ქალები, 45-60 წელი. 9 დეკემბერი, 2018.

[29]ფოკუს-ჯგუფი. გორი, კაცები, 25-40 წელი. 7 დეკემბერი, 2018.

„ამ ეტაპზე მხოლოდ ღმერთის იმედი თუ გვექნება. სხვა არავისი.“[30]

„ვისი იმედი უნდა გვქონდეს და საკუთარი თავის!“ [31]

„მაინც რუსეთი დაგვეხმარება, იმათ (დასავლეთს) შეილება ვერცმივაწვდინოთ ხმა“.[32]

საინტერესოა, ასევე, როგორ აფასებს მოსახლეობა ასეთი ქვეყნებსსიძლიერეს ეკომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით.[33]

<u>დიაგრამა 2.1</u>

თქვენი აზრით, რომელი ქვეყანა ან გაერთიანებაა ამჟამად ყველაზეუფრო ძლიერი ეკონომიკური / სამხედრო თვალსაზრისით? (%)



აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის წარმოდგენა, რომელი ქვეყანა ან გაერთიანებაა ამჟამად ყველაზე ძლიერი ეკონომიკურად, ძალიან განსხვავდება წარმოდგენისგან, რომელი ქვეყანა ან გაერთიანებაა ამჟამად ყველაზე ძლიერი სამხედრო თვალსაზრისით. კითხვები ფოკუსირებული იყო ევროკავშირის, ამერიკის, რუსეთისა და ჩინეთის

[30] ფოკუს-ჯგუფი. თელავი, ქალები, 25-40 წელი. 9 დეკემბერი, 2018.

[31] ფოკუს-ჯგუფი. თელავი, ქალები, 25-40 წელი. 9 დეკემბერი, 2018.

[32] ფოკუს-ჯგუფი. თელავი, ქალები, 45-60 წელი. 9 დეკემბერი, 2018

[33] რესპონდენტებმა ერთობ იშვიათად ისარგებლეს ამ შესაძლებლობით ორივე კითხვისშემთხვევაში, 1%-ზე

ნაკლებმა დაასახელა რომელიმე სხვა ქვეყანა ან გაერთიანება

შედარებაზე, თუმცა ხალხს ნებისმიერი სხვა ქვეყნის ან გაერთიანების დასახელება შეეძლო. ორივე კითხვის შემთხვევაში შიდა ქართლის მოსახლეობას ბევრად უფრო გაუჭირდა პასუხის გაცემა, ვიდრე კახეთის მოსახლეობას (დიაგრამა 2.1).

ეკონომიკური სიძლიერით ამერიკა, უდავოდ, ლიდერობს, ევ-როკავშირი კი, რაოდენ მოულოდნელიც უნდა იყოს, იშვიათად დაასახელეს. მეტიც, შიდა ქართლის მოსახლეობამ ეკონომიკური სიძლიერით რუსეთი ევროკავშირზე წინ დააყენა (შესაბამისად, 16% და 12%).

კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის თვალთახედვით, მსოფლიოში ამჟამად ორი დაახლოებით თანაბარი ძალის სამხედრო ლიდერია, ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი და ვერც ერთი სხვა ქვეყანა თუ გაერთიანება ვერ შეედრება მათ. მიუხედავად იმისა, რომ აშშ მოწინავე პოზიციას ინარჩუნებს, როდესაც კითხვა სამხედრო სიძლიერეს ეხება, ამ შემთხვევაში ის ლიდერობას რუსეთთან იყოფს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ მოსახლეობის აზრით, სწორედ რუსეთი და აშშ „ეცილებიან" ერთმანეთს ჩვენი ქვეყნის მთა- ვარი მეგობრისა და მთავარი მტრის სახელს.

რადგან მოსახლეობა რუსეთს, ერთი მხრივ, ხედავს, როგორც ლიდერს სამხედრო თვალსაზრისით, აშშ-სთან ერთად, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც მთავარ მტერს, ბუნებრივია, რომ კითხვა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმთან დაკავშირებითაც დავსვით. კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი ეთანხმება მოსაზრებას, რომ მხოლოდ ნატოს წევრობა დაეხმარება საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. შიდა ქართლში კი კვლავ უფრო მეტად გაუჭირდათ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

როგორც მეგობარი ქვეყნების შესახებ კითხვიდან გახდა ნათელი, უმეტესობისთვის მეგობრად აშშ უფრო აღიქმება, ვიდრე რუსეთი. ამასთანავე, მიუხედავად ლიდერ ქვეყნებზე შეხედულებისა, სხვა-

დასხვა პოლიტიკურ და ეკონომიკურ გაერთიანებაში წევრო- ბასთან დაკავშირებით გაცემული პასუხები ცხადყოფს, რომ ამ ორი

რეგიონის მოსახლეობა დასავლური კავშირისკენ მიისწრაფვის. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის მოსახლეობა მეტად უჭერს მხარსსაქართველოს შესვლას ევროკავშირში, ვიდრე შიდა ქართლის მოსახლეობა (74% და 63%) მაშინ, როდესაც შიდა ქართლის მოსახლეობას უფრო ხშირად უჭირს პასუხის გაცემა ამ კითხვაზე (დიაგრამა 2.2). ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრებას კი ორივე რეგიონში მოსახლეობის დაახლოებით მეოთხედი ემხრობა.

ევროკავშირში გაწევრების დიდი მხარდაჭერის მიუხედავად, მნიშვ-ნელოვანია აღვნიშნოთ, რომ გამოკითხული მოსახლეობის ნა-წილისთვის ეს არ გამორიცხავს ამავდროულად ევრაზიულ კავ- შირში გაწევრებას. დაახლოებით მეხუთედი ემხრობა როგორც ევროკავშირში, ასევე ევრაზიულ კავშირში შესვლას, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის მოწინააღმდეგეთა ნახევარი (52%) ევრაზიულ კავშირში შესვლის მოსურნეა (იხ. დიაგრამა 2.3.

<u>დიაგრამა 2.2</u>

<u>უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს</u> გაწევრებას ევროკავშირში / ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში? (%)



<u>დიაგრამა 2.3</u>

უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრებას ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში ევროკავშირში გაწევრების მხარდაჭერის პარალელურად (%)



როგორც ვხედავთ, ევროკავშირში გაწევრებას უფრო მეტი უჭერს მხარს, ვიდრე - ევრაზიულ კავშირში, თუმცა, ეკონომიკური სიძლიერის თვალსაზრისით, ევროკავშირი და რუსეთი მოსახლეობამ თანაბრად მიიჩნია. ამ პასუხების ფონზე საინტერესოა, რომ ორივე რეგიონის მოსახლეობა ეკონომიკური კავშირის პერსპექტივას ყველაზე მე-ტად რუსეთთან ხედავს. რესპონდენტებს შეეძლოთ აერჩიათ ქარ- თული პროდუქციის ექსპორტისათვის ყველაზე რეალური ბაზარი ევროკავშირის ქვეყნებს, რუსეთსა და თურქეთს შორის, თუმცა ასევე ჰქონდათ სხვა ბაზრების დასახელების საშუალება.[34] კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის 40%-ს ყველაზე რეალურად რუსეთის ბაზარი მიაჩნია, 22%-ს - ევროკავშირის ქვეყნების და მხოლოდ 5%-ს - თურქეთის ბაზარი. აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა მეხუთედისაზრით, ქართული პროდუქციის გატანა ყველა ბაზარზე ერთნაირადაა შესაძლებელი. კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობა ოდნავ განსხვავებული შეხედულებისაა საექსპორტო ბაზრებზე: კახეთში უფრო მეტმა დაასახელა როგორც ევროკავშირის ქვეყნების, ასევე რუსეთის ბაზარი, ვიდრე შიდა ქართლში, სადაც უმეტესობას გაუჭირდა ამ კითხვაზე პასუხის

გაცემა (იხ. ცხრილი 2.2).

[34]მხოლოდ 1%-მა გამოიყენა ეს შესაძლებლობა.

ცხრილი 2.2

როგორ ფიქრობთ, რომელი ქვეყნის ბაზარზეა ამჟამად ყველაზე რეალური ქართული პროდუქციის ექსპორტი: ევროკავშირის ქვეყნების, რუსეთის თუ თურქეთის? (%)

	კახეთი	შიდა ქართლი
ევროკავშირის ქვეყნების	26	18
რუსეთის	44	34
თურქეთის	6	4
სხვა	1	1
ყველა / არა აქვს მნიშვნელობა / სადაც გაიყიდება	16	25
არ ვიცი / უარი პასუხზე	6	17

დამოკიდებულება საგარეო ეკონომიკური კავშირების მიმართ საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოთ, რითია განპირობებული მოსახლეობის არჩევანი ყველაზე დიდ მეგობარ და მტერ ქვეყნებზე და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში გაწევრებაზე საუბრისას. როგორც სხვა გამოკითხვების მონაცემები გვაჩვენებს, ევროკავშირში შესვლის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზია მოლოდინი, რომ ევროკავშირის წევრობა საქართველოს ეკონომიკას გააძლიერებს.[35] ევრაზიულიეკონომიკურიკავშირისმხარდამჭერთაუმეტესობაცმიზეზად ქვეყნის ეკონომიკის გაუმჯობესების მოლოდინს ასახელებს.[36] აქედან გამომდინარე, გასაკვირი არაა, რომ მოსახლეობას რუსეთის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვს: უმეტესობა რუსეთს მთავარ მტერ ქვეყნად მიიჩნევს და არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ

[35]კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, NDI: საზოგადოების განწყობა საქარ-თველოში (2017)

[36]კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, NDI: საზოგადოების განწყობა საქარ-

თველოში (2015)[32]ფოკუს-ჯგუფი. თელავი, ქალები, 45-60 წელი. 9 დეკემბერი, 2018

რუსების უმეტესობას საქართველოსთვის კარგი სურს. ამავე დროს, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის ექსპორტი ყველაზე რეალურია. ისიც საგულისხმოა, რომ გამოკითხულთა დიდი ნაწილი რუსეთს სამხედრო თვალსაზრისით ყველაზე ძლიერ ქვეყნად აღიქვამს.

მიუხედავად იმისა, რომ მოწინავე სახელმწიფოებიდან ერთ-ერთს მოსახლეობა საქართველოს მთავარ მეგობრად მოიაზრებს, ხოლო მეორეს - მთავარ მტრად, საინტერესოა, გავიგოთ, რამდენად თანამიმდევრულიამსოფლიოსლიდერიქვეყნებისადაგაერთიანებების აღქმა. აღმოჩნდა, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მტრისგან და მეგობრისგან საფრთხეს დაახლოებით, ერთდნაირად მოელის. როდესაც ვიკითხეთ, რამდენად უქმნიდნენ საფრთხეს ქართულ ტრადიციებს ევროკავშირი, აშშ და რუსეთი, აღმოჩნდა, რომ შეფასებები დიდად არ განსხვავდება. კახეთში 46% დაეთანხმა, რომ აშშ საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს, ევროკავშირთან დაკავშირებით ასე ფიქრობს 42%, ხოლო რუსეთთან დაკავშირებით
- 39%.[37] შიდა ქართლში 42% დაეთანხმა, რომ ამერიკა საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს, თანაბარი წილი კი - 33-33% - ასევე ფიქრობს ევროკავშირსა და რუსეთთან მიმართებით.

კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის საგარეო პოლიტიკური შეხედულებების წარმოდგენილი აღწერითი ანალიზი მიგვანიშნებს, რომ საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები მოსახლეობაში მეტ- ნაკლებად გამოკვეთილია, თუმცა ზოგჯერ წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, აშკარაა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის ძლიერი მხარდაჭერა, მაგრამ შესაბამისი ქვეყნები მოსახლეობის უმრავლესობის მიერ არ აღიქმება საქართველოს მეგობარ ქვეყნად ან წარმოდგენილია როგორც ქართული ტრადიციებისთვის საფრთხის შემცველი. მოსახლეობის

თვალთახედვით, რუსეთისა და აშშ-

[37] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, NDI: საზოგადოების განწყობა საქართველოში (2015)

ის სამხედრო ძალა თანაბრად ძლიერია, ხოლო ეკონომიკური ურთიერთობის კუთხით, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უპირატესობას რუსეთს ანიჭებს.

მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობრივი მოსაზრებებისა, კახეთსა და შიდა ქართლში მოსახლეობის პრიორიტეტების უკეთ გაანალიზების მიზნით, ჩვენ შევიმუშავეთ საგარეო ორიენტაციის ინდექსი. ასევე, შევქმენით რამდენიმე რეგრესიული მოდელი, რაც საგარეო პრიორიტეტებთან დაკავშირებული ფაქტორების გამოყოფაში დაგვეხმარა. შემდეგ ნაწილში გადმოცემულია ამ ანალიზის შედეგები.

პროდასავლური ადამიანის პორტრეტი

განხილულ კითხვებზე პასუხების საფუძველზე „პროდასავლურობის ინდექსის“ შემუშავებას თუ შევეცდებით, ვნახავთ, რომ მოსახლეობის დამოკიდებულება საგარეო ორიენტაციასთან დაკავშირებით მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებულია. პროდასავლურობის ინდექსი საშუალებას იძლევა, მოსახლეობის მოსაზრება სხვადასხვა კითხვებზე განვიხილოთ არა სათითაოდ, არამედ შეჯამებული, ინტეგრირებული ფორმით. ამ შემთხვევაში ინდივიდის ორიენტაციის გასაგებად საჭირო იქნება არა რამდენიმე კითხვაზე პასუხის, არამედ მხოლოდ ერთი მაჩვენებლის ნახვა. ეს ასევე გააადვილებს საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების სხვა მოსაზრებებთან კავშირის დადგენას.

პროდასავლურობის ინდექსის შესადგენად შევარჩიეთ 5 კითხვა, რომლებიც, როგორც მონაცემების ანალიზით დადასტურდა, მოსახლეობის საგარეო ორიენტაციას განსაზღვრავს. ყველა პასუხს, რომელიც პროდასავლურ ორიენტაციას ასახავდა, მივანიჭეთ 1 ქულა, ხოლო პრორუსულს ან არაპროდასავლურს - 0 ქულა (იხ. ცხრილი 3.1).

სხვა სიტყვებით, თითოეულ შერჩეულ კითხვაზე ინდივიდს დავუწერეთ 1

ან 0 ქულა პასუხის შინაარსიდან გამომდინარე. შემდეგ ამ ხუთ კითხვაზე პასუხები შევკრიბეთ ყველა ინდივიდისთვის ცალ-ცალკე და მივიღეთ ინდექსი, რომლის მნიშვნელობაც იცვლება 0-დან 5-მდე: 5 ნიშნავს, რომ ადამიანი მკვეთრად პროდასავლურია, 0 - საერთოდ არ არის პროდასავლური. დანარჩენი ქულები მოქცეულია ამ ორ უკიდურეს მნიშვნელობას შორის. მაგალითად, თუ ადამიანმა მთავარ მტრად დაასახელა რუსეთი (1 ქულა), დაეთანხმა, რომ ნატოში გაწევრება დაეხმარება საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში (1 ქულა), არ დაუჭირა მხარი ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში გაწევრებას (1 ქულა), არ დაეთანხმა, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს (1 ქულა) და არ დაეთანხმა, რომ ამერიკა საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს (1 ქულა), მკვეთრად პროდასავლურია, რადგან ჯამში 5 ქულა „დააგროვა“.

თუ ამ ხუთიდან, რომელიმე კითხვას სხვანაირად უპასუხებდა, მაშინ 4 ქულას მიიღებდა, თუ ხუთიდან 2-ზე დაასახელებდა სხვა პასუხს,
3 ქულას მიიღებდა და ა.შ. შესაბამისად, მისი პროდასავლურობის მაჩვენებელი შემცირდებოდა.

ხუთი კითხვისაგან შედგენილი ახალი ცვლადი (ინდექსი) რაო_დე_ ნობრივად აღწერს თითოეული გამოკითხულის პროდასავლური ორიენტაციის სიძლიერეს. ამ ცვლადით მიღებული შედეგი ისეთივე განზოგადებადია მოსახლეობაზე, როგორც ნებისმიერი სხვა კითხვის შედეგი ამ გამოკითხვიდან. ამასთანავე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ თუ ადამიანმა ინდექსით 4 ქულა დააგროვა, ეს არ ნიშნავს, რომის ორჯერ უფრო პროდასავლურია, ვიდრე ის, ვინც 2 ქულა დააგროვა.

ცხრილი 3.1

პროდასავლურობის ინდექსის კომპონენტები

კითხვა	პასუხები	ქულა
თქვენი აზრით, რომელი ქვეყანაა ამჟამად საქართველოს მთავარი მტერი?	რუსეთი	1 - დასავ-ლური
	ყველა სხვა ქვეყანა / არც ერთი /არ ვიცი / უარი პასუხზე	0 - პრო-დასავ-ლური
რამდენად ეთანხმებითან არ ეთანხმებით, რომ მხოლოდ ნატოში გაწევრება დაეხმარება საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფაში?	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები / სრულად ვეთანხმები	1 - დასავ-ლური
	საერთოდ არ ვეთანხმები / უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები / არ ვიცი / უარი პასუხზე	0 - პრო-დასავ-ლური
უჭერთ თუ არა მხარს საქართველოს გაწევრებას ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირში, რომელიც დაარსებულია რუსეთის ფედერაციის მიერ?	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები / სრულად ვეთანხმები	1 - დასავ-ლური
	საერთოდ არ ვეთანხმები / უფრო არ ვეთანხმები, ვიდრე ვეთანხმები / არ ვიცი / უარი პასუხზე	0 - პრო-დასავ-ლური
რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ ევროკავშირი საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს?	არ ვუჭერ მხარს	1 - დასავ-ლური
	მხარს ვუჭერ / არ ვიცი / უარი პასუხზე	0 - პრო-დასავ-ლური
რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით, რომ ამერიკა საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს?	საერთოდ არ ვეთანხმები / უფროარ ვეთანხმები	1 - დასავ-ლური
	უფრო ვეთანხმები, ვიდრე არ ვეთანხმები / სრულად ვეთანხმები / არ ვიცი / უარი პასუხზე	0 - პრო-დასავ-ლური

პროდასავლურობის ინდექსი გვიჩვენებს, რომ კახეთის მოსა-ხლეობის 14%-მა და შიდა ქართლის მოსახლეობის 12%-მა ინდექსის მაქსიმალური (5) ქულა დააგროვა და შესაბამისად, ერთმნიშვნელოვნად პროდასავლური ორიენტაციისაა. აღსანიშ- ნავია, შიდა ქართლის მოსახლეობა მცირედით უფრო ნაკლებ პროდასავლურია, ვიდრე კახეთის მოსახლეობა: ინდექსის მაქსი- მალური ქულა (5) ცოტა მეტს აქვს კახეთში, ვიდრე შიდა ქართლში, ხოლო ინდექსის მინიმალური ქულა (0) გაცილებით ნაკლებს აქვს კახეთში (15%), ვიდრე შიდა ქართლში (26%).

<u>დიაგრამა 2.3</u>

<u>პროდასავლურობის ინდექსი კახეთსა და შიდა ქართლში (ერთად და თითოეულში ცალ-ცალკე)</u>



აღსანიშნავია, რომ პროდასავლური დამოკიდებულების თვალ-საზრისით ქალები და კაცები ერთმანეთისგან არ განსხვავდებიან ისევე, როგორც დასაქმებული და დაუსაქმებელი ადამიანები. თუმცა ასაკის მატებასთან ერთად, პროდასავლური განწყობა მცირდება. თუ პროდასავლურობის ინდექსის ქულებს შევხედავთ, 18-დან 35 წლამდე ასაკის მოსახლეობის 18% მკვეთრად პროდასავლურია. მომდევნო ასაკობრივ

ჯგუფში (36-დან 55 წლამდე) მკვეთრად პროდასავლური

ორიენტაციისაა 9%, ხოლო 55 წელზე უფროსი ასაკის შემთხვევაში -13%. ამის მსგავსად, ახალგაზრდებში პროდასავლურობის ინდექსზე 0 ქულას მხოლოდ 11% აგროვებს, მაშინ როცა შუა ასაკობრივ ჯგუფშიეს მაჩვენებელია 24%, და 55 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობაში - 22%.

პროდასავლური განწყობა ნაწილობრივ უკავშირდება ინფორმაციის წყაროს გამოყენებას. კერძოდ, სოციალური ქსელის ყოველდღიური მომხმარებელი მეტად პროდასავლურია, ვიდრე ის, ვინც სოციალურ ქსელს უფრო იშვიათად ან საერთოდ არ იყენებს: სოცქსელების ყოველდღიური მომხმარებლების მხოლოდ 14% აგროვებს 0 ქულას პროდასავლურობის ინდექსზე, მაშინ როცა 0 ქულა სოცქსელის უფრო იშვიათი მომხმარებლების 23%-ს აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური ქსელის მოხმარების სიხშირე და ასაკი ერთმანეთთან კავშირშია და ახალგაზრდები უფრო ხშირად იყენებენ მას, მათი კავშირი პროდასავლურობასთან ასაკით არ განისაზღვრება. ანალიზმა აჩვენა, რომ 35 წლის და უფროს ადამიანებში სოციალური ქსელის მოხმარების სიხშირე არ განსაზღვრავს საგარეო ორიენტაციას, თუმცა 18-დან 35 წლამდე ახალგაზრდებში სოციალური ქსელის ყოველდღიური მომხმარებელი უფრო პროდასავლურია (43%), ვიდრე ის ახალგაზრდები, რომლებიც სოციალურ ქსელს უფრო იშვიათად იყენებენ (30%).[38]

ასევე, საინტერესო კავშირი გამოვლინდა რუსული ენის ცოდნასა და პროდასავლურ ორიენტაციას შორის. მოსახლეობის ნაწილი, რომელიც ამბობს, რომ რუსული ენა კარგად იცის, უფრო დაბალ ქულას აჩვენებს პროდასავლურობის ინდექსზე, ვიდრე ისინი, ვინც ამბობს, რომ რუსული ენა კარგად არ იცის.

როგორც სოციალური ქსელის მოხმარებელთა, ასევე, რუსული ენის მცოდნეთა საგარეო ორიენტაცია არ უკავშირდება ასაკობრივ სხვაობას: 55 წლამდე ასაკის მოსახლეობაში რუსული ენის თვითშეფასებული

ცოდნის დონე პროდასავლურ ინდექსზე არანაირ

[38]4 და 5 ქულას პროდასავლურობის ინდექსზე

განსხვავებას არ იძლევა მაშინ, როცა 55 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობაში, საკუთარი შეფასებით რუსულის კარგად მცოდნეები უფრო ნაკლებად პროდასავლურები არიან, ვიდრე ისინი, ვინც ამბობს, რომ რუსული კარგად არ იცის (30% 43%-ის წინააღმდეგ).[39]

როგორც ვხედავთ, კახეთსა და შიდა ქართლს შორის მცირედი განსხვავებაა. შიდა ქართლის მოსახლეობა ოდნავ უფრო ანტიდასავლურადაა განწყობილი. ასევე, უფრო პროდასავლურები არიან კახეთისა და შიდა ქართლის ახალგაზრდები, ვიდრე საშუალო ასაკის და ხნიერი მოსახლეობა. რუსული ენის ცოდნა ნაკლებ პროდასავლურობასთან ასოცირდება მაშინაც კი, როცა ასაკის ფაქტორს ვითვალისწინებთ. აღსანიშნავია, რომ განათლების დონე, ეკონომიკური მდგომარეობა და სქესი პროდასავლურობის ინდექსის თვალსაზრისით მნიშვნელოვან განსხვავებას არ აჩვენებს. თუმცა, როგორც ქვემოთ განვიხილავთ, პროდასავლური დამოკიდებულება უკავშირდება მოსახლეობის კონსერვატიულ შეხედულებებს.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის კონსერვატიული შეხედულებების ერთ ინდექსში მოქცევა ვერ მოხერხდა, შესაძლებელია კონსერვატიულობის სხვადასხვა საზომის პროდასავლურობასთან კავშირის გაანალიზება. მონაცემები გვიჩვენებს, რომ პროდასავლური ორიენტაციის მოსახლეობა უფრო იშვიათად გამოხატავს კონსერვატიულ შეხედულებებს, ვიდრე არაპროდასავლური. კერძოდ, პროდასავლურ ორიენტაციას უკავშირდება დამოკიდებულება ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა უცხოელებთან ოჯახის შექმნა, მოქალაქეობის მინიჭება თუ მათ მიერ უძრავი ქონების შეძენის უფლება.

მიუხედავად კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობის საკმაოდ კონსერვატიული დამოკიდებულებისა საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებასა და უცხოელების მიერ უძრავი ქონების შეძენის უფ- ლებასთან დაკავშირებით, პროდასავლური მოსახლეობა უფრო ხშირად აღნიშნავს, რომ უცხოელს, რომელსაც საქართველოში ცხოვრება უნდა და

შესაბამის პირობებს აკმაყოფილებს, უნდა

[39] 4 და 5 ქულას პროდასავლურობის ინდექსზე

ჰქონდეს ამის უფლება (44%), ვიდრე არაპროდასავლური მოსახლეობა (17%). მეტად პრინციპულია მოსახლეობის დამოკიდებულება უცხოელის მიერ უძრავი ქონების შეძენასთან დაკავშირებით, მიუხედავად საგარეო ორიენტაციისა, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი პროდასავლური მოსახლეობა უფრო ხშირად ამბობს (23%), რომ უცხოელებს ამის უფლება უნდა ჰქონდეთ, ვიდრე - არაპროდასავლური მოსახლეობა (9%).

პროდასავლურობა ასევე კავშირშია მოსახლეობის დამოკიდებულებასთან უცხოელების მიმართ. ორივე რეგიონში პროდასავლურმა მოსახლეობამ უფრო იშვიათად თქვა, რომ შეეცდება შვილს გადაწყვეტილება შეაცვლევინოს, თუ ის ოჯახის შექმნას გერმანელთან გადაწყვეტს (28% 40%-ის წინააღმდეგ), თუმცა მსგავსი განსხვავება არ გამოიკვეთა სხვა უცხოელთა მიმართ. ამასთანავე, მოსახლეობა, რომელმაც მკვეთრი პროდასავლური ორიენტაცია გამოხატა, უფრო ხშირად არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ რუსების უმრავლესობას საქართველოსთვის კარგი უნდა, ვიდრე მოსახლეობა, რომელიც არ გამოირჩევა პროდასავლური ორიენტაციით (76% 27%-ის წინააღმდეგ).[40]

აქამდე წარმოდგენილი ანალიზი ძირითადად საგარეო ორი- ენტაციის ინდექსის სხვადასხვა ჯგუფში სიხშირეთა გადანაწილებას ეყრდნობოდა. პროდასავლურ ორიენტაციასთან მჭიდროდ დაკავ- შირებული ფაქტორების გამოსაყოფად საჭიროა დამატებითი ანა- ლიზი, რაც საშუალებას მოგვცემს დავინახოთ, როგორია ტიპური პროდასავლური და არაპროდასავლური მოქალაქე კახეთსა და შიდა ქართლში, რაც შესაბამისი სენტიმენტების წარმომავლობის უკეთ გაგებაში დაგვეხმარება.

ამ მიზნით ჩვენ შევიმუშავეთ რეგრესიული მოდელი. ამ სტატის-ტიკურმა ინსტრუმენტმა საშუალება მოგვცა ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით[41] პროდასავლურ ორიენტაციასთან დაკავშირებული

[40]ერთმანეთთან შედარებულია იმ მოსახლეობის მოსაზრებები, რომლებმაც პროდასავლურობის ინდექსზე 0 ქულა დააგროვეს და მათი, ვინც 5 ქულა დააგროვა.

[41]მოდელების ცხრილი შეგიძლიათ იხილოთ დანართში.

ფაქტორები გამოგვეყო მათი ღირებულებისა და სიძლიერის მიხედ-ვით. ქვემოთ წარმოდგენილია ანალიზი ორ მოდელზე დაყრდნობით, რომელთაგან ერთი ძირითადი დემოგრაფიული მახასიათებლების საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციასთან კავშირს ადგენს, ხოლო მეორე დემოგრაფიულ ცვლადთან ერთად სხვადასხვა საკითხის მიმართ დამოკიდებულებასაც ითვალისწინებს.

პირველმა რეგრესიულმა მოდელმა გვაჩვენა, რომ გარკვეული დემოგრაფიული მახასიათებლები, როგორიცაა რეგიონი, ასაკი, განათლების დონე, სოციალური ქსელის მოხმარების სიხშირე, რუ- სული ენის ცოდნა, მოძღვრისა და საზღვარგარეთ მცხოვრები მე-გობრის ყოლა, მნიშვნელოვანია საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით, თუმცა უმნიშვნელოა ისეთი მახასიათებლები, რო- გორიცაა დედის განათლება, აღქმული ეკონომიკური მდგომარეობა, რელიგიურ მსახურებაზე დასწრების სიხშირე, ინგლისური ენის ცოდნა და ა.შ. პროდასავლურობის თვალსაზრისით მნიშვნელოვან მახასიათებლებს წარმოგიდგენთ ღირებულებისა და კავშირის სიძლიერის მიხედვით.

პირველ რიგში, პროდასავლურმა ადამიანმა უფრო ცუდად იცის რუსული ენა, ვიდრე კარგად. ის უფრო ხშირად არის 35 წლამდე ახალგაზრდა, ვიდრე შუახნის (35-54), სოციალურ ქსელს მოიხმარს ყოველდღიურად, აქვს უმაღლესი განათლება და ჰყავს უცხოეთში მცხოვრები ახლო მეგობარი.

რაც შეეხება სხვადასხვა შეხედულებასთან პროდასავლურობის კავშირს, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ დემოკრატია ყველა სხვა პოლიტიკურ წყობაზე უკეთესია, უფრო მეტად არის პროდასავლური, ვიდრე ის, ვინც ფიქრობს, რომ ზოგ შემთხვევაში არადემოკრატიული მთავრობა უფრო კარგია ან ის, ვინც მიიჩნევს, რომ უბრალო ადამიანისთვის არააქვს მნიშვნელობა, როგორია მთავრობა. ასევე, საინტერესოა, რომ ის, ვინც ფიქრობს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას პოლიტიკოსები უნდა

ითვალისწინებდნენ ეკლესიის პოზიციას, უფრო

პროდასავლურები არიან, ვიდრე ის, ვინც ფიქრობს, რომ ეკლესია არ უნდა ჩაერიოს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში. როგორც დემოკრატიული წყობის მიმართ დამოკიდებულებისა და სხვადასხვა ინსტიტუტების როლის შესახებ მოსაზრებების განხილვისას გა- მოჩნდა, მოსახლეობის დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ არაა დემოკრატიულ პრინციპებთან თანამიმდევრული. ასევე, ისინი, ვისი აზრითაც უცხოელს საქართველოს მოქალაქეობის მიღების უფლება უნდა ჰქონდეს, უფრო პროდასავლურები არიან, ვიდრე ისინი, ვინც ფიქრობს, რომ უცხოელს ამის უფლება არ უნდა ჰქონდეს. აღსანიშნავია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი პროდასავლურობასა და ადამიანის მიერ მთავრობის როლის - როგორც მშობლის ან როგორც დაქირავებულის აღქმას შორის.

როგორც ვხედავთ, პროდასავლურობა კავშირშია ადამიანის ასაკ- თან, განათლების დონესთან, რუსული ენის ცოდნასა თუ სოციალური ქსელის ხშირ გამოყენებასთან, ასევე, საცხოვრებელ ადგილსა თუ საქართველოს საზღვრებს გარეთ მეგობრის ყოლასთან. ამასთანავე, პროდასავლურობა კავშირშია დემოკრატიის, ეკლესიის როლის აღქმასთან და უცხოელების მიმართ დამოკიდებულებასთან. აღნიშნული კავშირები მიგვანიშნებს, რომ რაც უფრო ახალგაზრდა და განათლებულია ადამიანი, ასევე, რაც უფრო ხშირად იყენებს სოციალურ ქსელს, მეტი კავშირი აქვს უცხოეთთან და რაც უფრო ნაკლებ კონსერვატიულია, მით უფრო პროდასავლურია.

* * *

კახეთისა და შიდა ქართლის ქართულენოვანი მოსახლეობის წარმომადგენლობითმაგამოკითხვამგამოავლინა, რომმოსახლეობის დიდ ნაწილს კონსერვატიული შეხედულებები აქვს როგორც სოციალურ, ასევე პოლიტიკურ სფეროში. უმეტესობა ეთანხმება ტრადიციულ სოციალურ ნორმას ქონების განაწილებასა და ეთნიკურ იდენტობასთან დაკავშირებით, უარყოფით დამოკიდებულებას ამჟ- ღავნებს სხვა -

საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ეთნიკური

ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ და ეწინააღმდეგება მათთან რესურსების განაწილებას. გარდა ამისა, მოსახლეობის მოსაზრება სხვადასხვა ინსტიტუტის ურთიერთმიმართებაზე ყოველთვის არ შეესაბამება დემოკრატიული განწყობის მახასიათებლებს, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მიუხედავად დემოკრატიის მიმართ მხარდაჭერისა, შესაბამისი ღირებულებები საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არის გასიგრძეგანებული.

ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ კონსერვატიული შეხედულებებები უფრო მეტად არის გავრცელებული შიდა ქართლის მოსახლეობაში, ვიდრე - კახეთში. ასევე, უფრო ხშირად ვხვდებით ტრადიციული ღირებულებების მიმართ მხარდაჭერას და განსხვავებული ჯგუფების მიმღებლობის ნაკლებობას ხანშიშესულ ადამიანებში, ვიდრე - ახალგაზრდებში.

კონსერვატიული დამოკიდებულების დომინირების მიუხედავად, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი პროდასავლური ორიენტაციის მატარებელია, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სწრაფვა დასავლეთისაკენ ყოველთვის ერთგვაროვანი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა მთავარ მეგობრად აშშ-ს ხედავს და უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვან გარანტად ნატოში გაწევრებას მიიჩნევს, ქართული ტრადიციებისათვის საფრთხეს ისევე მოელის აშშ- ისა და ევროკავშირისაგან, როგორც რუსეთისაგან. ამასთანავე,საერთაშორისო ურთიერთობის აღქმა კახეთისა და შიდა ქართლის მოსახლეობაში ერთგვაროვანი არ არის. თუ პოლიტიკური თვალ- საზრისით მოსახლეობის უმეტესი ნაწილი პროდასავლური ორიენ- ტაციისაა, ეკონომიკური კუთხით ხშირად რუსეთი უფრო რეალურ პარტნიორად აღიქმება.

ზოგადად, პროდასავლური სენტიმენტები უფრო ხშირად გვხვდება კახეთში, ვიდრე - შიდა ქართლში. ამასთანავე, ახალგაზრდები - უმაღლესი განათლების მქონე, რუსული ენის ნაკლებად მცოდნე, სოციალური ქსელის ხშირი მომხმარებელი ან უცხოეთთან მეტი კავშირის მქონე,

უფრო მეტად ამჟღავნებს პროდასავლურ განწყობას,

ვიდრე - ხანშიშესული, უფრო დაბალი დონის განათლების, რუსული ენის უფრო უკეთ მცოდნე, სოციალური ქსელის უფრო იშვიათად მომხმარებელი ან უცხოეთთან ნაკლები კავშირის მქონე ადამიანები.

კონსერვატიული შეხედულებების ათანამიმდევრულობისა და ზოგ შემთხვევაში საგარეო ორიენტაციის არაერთგვაროვნების მიუხედავად, ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზოგადად, რაც უფრო კონსერვატიულ შეხედულებას ავლენს ადამიანი, მით უფრო ნაკლებადაა პროდასავლურად განწყობილი და - პირიქით. ეს ნიშნავს, რომ დასავლეთის მიმართ დადებითი განწყობა ხშირ შემთხვევაში დაკავშირებულია მოსახლეობის სოციალურ და პოლიტიკურ შეხედულებებთან. ამ კავშირის საქართველოს სხვა რეგიონების მაგალითზე შემდგომი შესწავლა მოსახლეობის საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის უკეთ გააზრების საშუალებას მოგვცემს და პოლიტიკის უკეთ დაგეგმვაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

II. როგორ მუშაობს რუსული ნარატივი

კვლევის ეს სეგმენტი მიმოიხილავს იმ იდეოლოგიურ კონტექსტს, რომელშიც, ჩვენი მოსაზრებით, რუსეთი საერთაშორისო არენაზე საკუთარი დღის წესრიგის დამკვიდრებას ცდილობს.

ჩვენი თვალთახედვით, ეს არის პოპულიზმი, როგორც ერთგვა-რი „ვიწრო“ იდეოლოგიური ჩარჩო, რომელიც კრემლის პროპა-განდისტულ მანქანას წარმატებული საქმიანობისთვის ნოყიერ ნი- ადაგს უქმნის, ხოლო მექანიზმი, რომლითაც ის ,,ოპერირებს”, არის პოლიტიკური მითოლოგია, რომელიც ასიმეტრიულ გეოპოლიტიკურ ჭიდილში ეფექტურ ინსტრუმენტად გამოიყენება.

ამ ნაწილის პირველი თავი პოპულიზმს ეძღვნება; მეორეში საუბარია პოლიტიკური მითის ბუნებაზე და იმ ფუნდამენტურ მითოლოგიურ მსოფლაღქმაზე, რომელზეც კრემლის პროპაგანდა იგება; მესამე - საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში, მარგინალურ ჯგუფებსა და მედიაში გავრცელებულ ანტილიბერალურ დისკურსს განიხილავს; მეოთხე კი - საქართველოში გავრცელებულ რამდენიმე კონკრეტულ მითოლოგიურ სტრუქტურას აღწერს.

რუსეთის რბილი ძალის modus operandi ისაა, რომ ინსტრუმენტულად იყენებს უკვე არსებულ რეალობას, გარკვეულწილად ამუშავებს, ხვეწს მას, ამასთან, შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს იმ საზოგადოებრივი და პოლიტიკური ძალების გაძლიერებას, რომელშიც საკუთარი იმპერიული ინტერესების გატარების პოტენციალს ხედავს, ასევე, არ გამორიცხავს ფინანსების შესაძლებლობისამებრ გამოყენებასაც. ეს კი, საბოლოო ჯამში, სხვადასხვა ქვეყანაში კრემლის პოლიტიკური დღის წესრიგის დამკვიდრების მცდელობას ხელსაყრელ ნიადაგს უმზადებს.

სადღეისო რეალობა კი არის ის, რაც სხვადასხვა სახელით მოიხსენიება პრესასა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში - ულტრამემარჯვენე რა-დიკალიზმი, რადიკალური კონსერვატიზმი, ანტილიბერალიზმი,

მემარჯვენე (ანაც მემარცხენე) პოპულიზმი და ა.შ. ამ დეფინიციებს შორის საქართველოსთან კონტექსტში ჩვენ ყველაზე შესაფერისად

ანტილიბერალური პოპულიზმი გვესახება, რადგან ის ქვეყანაში აქტიური რადიკალური ძალების ძირითად ენერგეტიკულ წყაროს - მკვეთრად გამოხატულ ანტილიბერალურ რიტორიკას ამძაფრებს და მიმართულია პოლიტიკური ცენტრის - როგორც მემარჯვენეს, ასევე მემარცხენეს - წინააღმდეგ.

ეს ნაშრომი სწორედ იმ დათქმას ეფუძნება, რომ ანტილი-ბერალური პოპულიზმი არის ის იდეოლოგიური ჩარჩო, რომელმაც გარკვეულწილად ჩაანაცვლა კომუნისტური იდეოლოგია, როგორც რუსეთის მიერ გლობალურ არენაზე დომინირებისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი იარაღი. მისი მიმზიდველობა კი ისაა, რომ ამ ,,ინსტრუმენტით ოპერირება" არ მოითხოვს დიდ მატერიალურ დანახარჯს, რისი შესაძლებლობაც რუსეთის ეკონომიკას არა აქვს. ეს არის ის „ნაციონალური იდეა", ე.წ. „სულიერი ბალთები",[42] რასაც კრემლი საბჭოთა კავშირის ნგრევიდან დაწყებული, ორი ათწლეულის განმავლობაში გამალებით ეძებდა. ამასთანავე, ანტილიბერალური პოპულიზმი იმითაცაა ფასდაუდებელი, რომ არა მარტო საგარეო პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოდგება, არამედ პუტინის რეჟიმს ქვეყნის შიგნით ძალაუფლების განმტკიცებისა და დემოკრატიული პროცესების ჩახშობის შესაძლებლობასაც აძლევს.

ჩვენ ახლა სწორედ ამ დოქტრინის საბოლოოდ ფორმირების პროცესის თვითმხილველნი ვართ, რომელიც რამდენიმე იდეოლოგიურ მოცემულობასა და ფუნდამენტურ მითს ემყარება. კრემლის პრო-პაგანდისტული მანქანა ამ იდეებს სხვადასხვა ინტენსივობით იყენებს - გეოგრაფიული თუ დროებითი ტაქტიკური საჭიროებიდან გამომდინარე. საბჭოთა პერიოდის უნივერსალური იდეოლოგიისგან განსხვავებით, ამჟამად ოფიციალური მოსკოვის განკარგულებაში რამდენიმე კონსტრუქტია, რაც მას მარჯვედ მოქმედებისა და მეტ- ნაკლები წარმატების მიღწევის შანსს აძლევს იმ ფონზე, როცა მისი რესურსი მნიშვნელოვნად, არაპროპორციულად ჩამორჩება

[42]ტერმინი Духовные Скрепы ამ კონტექსტში პირველად პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 2012 წლის დეკემბერში ფედერალური კრების წინაშე გამოსვლისას ახსენა. https://dni.ru/culture/2012/12/12/245110.html

არა მარტო დასავლეთის ქვეყნების ჯამურ რესურსს, არამედ ხშირ შემთხვევაში მის ცალკეულ წევრთა რესურსსაც კი ისეთ ასპექტებში, როგორიცაა, მაგალითად, ეკონომიკა თუ ადამიანური კაპიტალი.

ყურადსაღებია, რომ აქ საუბარია რესურსზე არა მხოლოდ წმინდა რა- ოდენობრივი კუთხით, არამედ თვისობრივადაც. გარდა იმისა, რომ რუსეთის ეკონომიკა დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკას ჯამურად 24-ჯერ ჩამორჩება, ის საგრძნობლად ჩამორჩება[43] ტექნოლოგიურადაც, მათ შორის ინფორმაციული ტექნოლოგიითაც. დაახლოებით ანა- ლოგიური ჩამორჩენაა სხვა მაჩვენებლებშიც, კერძოდ, ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI), ჯინის ინდექსი (Gini), კორუფციის მა- ჩვენებლები, განათლების დონე და ა.შ. გარდა ამისა, რუსეთის ფე- დერაციის მოსახლეობა (147 მლნ.) ამერიკის, ევროკავშირისა და კანადის მოსახლეობაზე (838 მლნ.) 5,7-ჯერ ნაკლებია. რაც შეეხება სამხედრო სფეროს, რუსეთის სამხედრო ბიუჯეტი 2017 წელს მხოლოდ აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტზე, არც მეტი, არც ნაკლები, 9,2-ჯერ ნაკლებიიყო,[44] რომ არაფერი ვთქვათ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სახელმწიფოების ჯამურ სამხედრო ბიუჯეტზე (ერთადერთი სფერო, სადაც გარკვეული პარიტეტი არსებობს, ეს არის ბირთვული იარაღი და მისი გამოყენების საშუალება).[45]

ამ სიტუაციაში, ცხადია, არ შეიძლება იყოს საუბარი თანაბარზომიერ გეოსტრატეგიულ პაექრობაზე ან კონკურენციაზე. მიუხედავად ამისა, დასავლეთის ცალკეული ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის აშშ, ნატო და ევროკავშირი, ბოლო წლების განმავლობაში გამუდმებით საუბრობენ რუსეთის აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე,რაც არა მარტო ერთგვარ ,,თავის ტკივილად" მიიჩნევა, არამედ

ფუნდამენტურ საფრთხედაც. მეტიც, საუბარია მოსკოვის უშუალო

[43]ტერმინი Духовные Скрепы ამ კონტექსტში პირველად პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა 2012 წლის დეკემბერში ფედერალური კრების წინაშე გამოსვლისას ახსენა. https://dni.ru/culture/2012/12/12/245110.html

[44]Stockhom International Peace Research Institute, Trends in World Military Expenditure

2017, https://www.sipri.org/sites/default/files/2018-04/sipri_fs_1805_milex_2017.pdf

[45]Federation of American Scientists, Status of World Nuclear Forces, 2018, https://fas.org/issues/nuclear-weapons/status-world-nuclear-forces/

ჩარევაზე დასავლეთის ქვეყნების შიდა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ის ძალები, რომლებიც ღიად გამოხატავენ საკუთარ სიმპათიას პუტინის რეჟიმის მიმართ, სულ უფრო ძლიერდებიან, მაგალითად, ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, ავსტრია და საფრანგეთი, იტალიაშიკი ამ ძალებმა კოალიციური მთავრობის ფორმირებაც შეძლეს.

გარდა ამისა, საგანგაშო სიმპტომები ვლინდება იმ ქვეყნებშიც კი, სადაც მსგავსი ტენდენცია მანამდე თითქმის არ შეიმჩნეოდა (ქრონოლოგიურად ამის ერთ-ერთი ბოლო მაგალითია ესპანეთის 2018 წლის 2 დეკემბრის რეგიონული არჩევნები, სადაც პირველად ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ულტრამემარჯვენე პოპუ- ლისტურმა პარტიამ - Vox ანდალუზიის რეგიონულ პარლამენტში სადეპუტატო მანდატები მოიპოვა,[46] მანამდე კი 2014 წლის ევროპის პარლამენტის არჩევნებზე მისმა კანდიდატმა მხოლოდ მიზერული სხვაობით წააგო კონკურენტთან[47]).

რუსეთი ამერიკაშიც კი ცდილობს საკუთარი გავლენის გაფარ-თოებას, რისთვისაც ისეთ ტაქტიკას იყენებს, როგორიცაა ეთნიკური და რასობრივი შუღლის, ანტიიმიგრაციული განწყობის გაღვივება და საზოგადოების პოლარიზაცია. როგორც „ნიუ იორკ ტაიმსი“ წერს, რუსული „ტროლების ფაბრიკის“[48] ტაქტიკა ათწლეულების წინანდელი საბჭოთა პროპაგანდის ერთგვარი გამოძახილია, რომელიც ხშირად ამახვილებდა ყურადღებას ამერიკაში რასიზმსა და რასობრივი კონ-ფლიქტზე, ეს კი „ძალიან წააგავს რუსეთის ანალოგიურ ქმედებას სხვა ქვეყნებში, სადაც ის ეთნიკური შუღლის გაღვივებას ცდილობს.“[49]

---

[46]Vox shocks Spain, Politico.eu, 2018, https://www.politico.eu/article/vox-spain-far-right-shakes-up/

[47]Tristeza y decepción en Vox tras los resultados de las Elecciones Europeas, Libertaddigital.com, 2014, http://bit.ly/2MwFmp3

[48]საუბარია სანკტ-პეტერბურგის ოლგინოს უბანში ბაზირებულ ,,ინტერნეტის კვლევის სააგენტოზე" (იგივე გლავსეტი ან ,,ოლგინოს ტროლები"), რომელსაც ათასზე მეტი ინტერნეტ-ტროლი ჰყავს დაქირავებული და დასავლეთის ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ში, გავლენის მთავარი ინსტრუმენტია.

[49]Russian 2016 Influence Operation Targeted African-Americans on Social Media, New York Times, 2018, https://nyti.ms/2G1ztyQ

ამ მხრივ ძალიან საყურადღებოა,მაგალითად, ტეხასის შტატის დედაქალაქ ოსტინში ბაზირებული კიბერუსაფრთხოების კომპანია „ნიუ ნოლიჯის“ (New Knowledge) 2018 წლის კვლევა, რომლის თანახმად, „ტროლებისფაბრიკა“ აქტიურად უტევდა ამერიკის 2016 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის ჩარევაზე გამოძიების საკვანძო ფიგურებს, რობერტ მიულერსა და ჯეიმს კომის, მათ კორუმპირებულობასა და სხვა გადაცდომებს აბრალებდა, გამოძიებას კი „მტირალა ლიბერალების“ ('liberal crybabies') მიერ ორგანიზებულ „ფანტასტიკურ შეთქმულების თეორიად“ წარმოაჩენდა.[50]

ამავე დროს, ოქსფორდის უნივერსიტეტის მიერ 2018 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, რუსული პროპაგანდა ამერიკაში გამიზნული იყო ყველაზე კონსერვატიულად განწყობილ აუდიტორიაზე, რომელიც „განსაკუთრებით მგრძნობიარეა რასობრივი და იმიგრაციასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ.“[51]

ორივე ზემოაღნიშნული კვლევა ასკვნის, რომ რუსული „ტრო- ლების ფაბრიკა“ იყენებდა მრავალ ფეიკ-გვერდს იმისთვის, რათა შეჭრილიყო შიდაამერიკულ საზოგადოებრივ დისკურსში და საკუთარი აზრი მოეხვია სხვადასხვა შეხედულების მქონე ინდივიდებისთვის, განსაკუთრებით კი - შავკანიანი აქტივისტებისთვის. ეს ყველაფერი ხდებოდა მიზანმიმართულად, „რათა გაეღრმავებინათ სოციალური პოლარიზაცია და გავლენა მოეხდინათ საზოგადოებრივ დღის წესრიგზე“ (New Knowledge-ის

კვლევით, ერთ-ერთ ასეთ ფეიკ-გვერდს ინსტაგრამზე [@blackstagram] 300 000-ზე მეტი ხელმომწერი ჰყავდა).[52]

[49]Russian 2016 Influence Operation Targeted African-Americans on Social Media, New York Times, 2018, https://nyti.ms/2G1ztyQ

[50]The Tactics & Tropes of the Internet Research Agency, New Knowledge, 2018, გვ.73 http://bit.ly/2MxmfLA

[51]Howard, P.N. et al. The IRA, Social Media and Political Polarization in the United States, 2012-2018, University of Oxford, გვ. 39. http://bit.ly/2DArDe5 საუბარია სანკტ-პეტერბურგის ოლგინოს უბანში ბაზირებულ ,,ინტერნეტის კვლევის სააგენტოზე" (იგივე გლავსეტი ან ,,ოლგინოს ტროლები"), რომელსაც ათასზე მეტი ინტერნეტ-ტროლი ჰყავს დაქირავებული და

დასავლეთის ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ში, გავლენის მთავარი ინსტრუმენტია.

[52]Russian 2016 Influence Operation Targeted African-Americans on Social Media, New York Times, 2018, https://nyti.ms/2G1ztyQ

კრემლის პროპაგანდისტული მანქანის ძირითადი თუ მეორეხარისხოვანი მედია როგორც წმინდა თვისებრივი კუთხით, ასევე რაოდენობრივადაც (მაგალითად, აუდიტორიაზე წვდომის მაჩვენებლით), მრავალგზის ჩამოუვარდება სხვა, ასე ვთქვათ, კონვენციურ მედიებს.[53] ამ ფონზე ცხადია, რომ საქმე გვაქვს გარკვეულ ასიმეტრიულ პროპაგანდისტულ დაპირისპირებასთან, როცა ერთი მხარე შედარებით მწირი რესურსითა და დანახარჯით მეტ-ნაკლებად ახერხებს მასზე მრავალგზის აღმატებულ ძალასთან ოპონირებას.

ვფიქრობთ, აქ ფუნდამენტური მექანიზმები მუშაობს, რაც პროპაგანდას ეხმარება და მასთან ერთად ერთგვარ სინერგიულ ეფექტს ქმნის. სწორედ ასეთი მექანიზმის ანალიზია, ჩვენი ღრმა რწმენით, კონტრზომის მიმართულებით ნაყოფიერი ნაბიჯის გადადგმის წინაპირობა.

აშკარაა, რომ რუსეთის ჩარევა სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო მზარდ და სახიფათო ხასიათს იძენს. ეს საკუთარ თავზე იწვნიეს არა მარტო ე.წ. „ახლო სამეზობლოს“ სახელმწიფოებმა, არამედ, როგორც ზემოთ უკვე ვახსენეთ, დასავლეთის განვითარებულმა დემოკრატიებმაც, რომელთა მთავრობებმა ამ საშიშროებასთან ბრძოლა, ცოტა არ იყოს, დაგვიანებით, მაგრამ ენერგიულად დაიწყეს[54]. ამ მხრივ ბოლო დროს არაერთი კვლევითი ორგანიზაციაგააქტიურდა, მათშორისსაქართველოშიდააღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც, რაც, უდავოდ, მისასალმებელია.

---

[53]მაგალითად, საერთაშორისო არენაზე რუსული პროპაგანდის მთავარ ინსტრუმენტს, ტელეარხ RT-ს Twitter-ზე 2,7 მილიონი გამომწერი ჰყავს, მაშინ როდესაც CNN-ის გამომწერთა რიცხვი 41,1 მილიონია, BBC World-ის 24,3 მილიონი, FOX News-ის 18,6 მილიონი, ყატარის ტელეარხ Al-Jazeera-სი კი თითქმის 5 მილიონი.

[54]ამის ერთ-ერთი ბოლო მაგალითია 2018 წლის 5 დეკემბერს ევროკავშირის მიერ

დეზინფორმაციის წინააღმდეგ სამოქმედო გეგემის შემუშავება. http://europa.eu/rapid/ press-release_IP-18-6647_en.htm

1. პოპულიზმი, როგორც ლიბერალური დემოკრატიის გამო- წვევა

25 წლის წინათ ლიბერალური დემოკრატია ტრიუმფს ზეიმობდა, ისე ჩანდა, თითქოს, ეს პოლიტიკური მმართველობის ერთადერთი ლეგიტიმური ფორმა იყო და მას ალტერნატივა არ გააჩნდა.[55] თუმცა ბოლო წლებია, დასავლეთის (და არ ამარტო) დემოკრატიების პოლიტიკური სტაბილურობა გარკვეული ამბოხის საფრთხის ქვეშაა. ამ მხრივ 2016 წელი ერთგვარი წყალგამყოფი იყო და მის აპოგეას ბრექსიტი წარმოადგენდა, რასაც მოჰყვა საფრანგეთის მემარჯვენე პოპულისტური პარტია „ეროვნული ფრონტის“ (2018 წლიდან „ეროვ- ნული კრება“) მხარდამჭერთა რიცხვის გაორმაგება, იტალიაში ანტისისტემური „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობის“ აღზევება, გერ- მანიაში ულტრამემარჯვენე პარტია AfD-ის დემარგინალიზაცია და ბუნდესტაგში ადგილებ ის მოპოვება, ტრადიციული, ზომიერად მემარჯვენე პარტიების პოლიტიკური კურსის გადახრა ულტრამ- ემარჯვენე მიმართულებით 2017 წლის ნიდერლანდებისა და ავს- ტრიის საპარლამენტო არჩევნებზე,[56] პოპულისტი პარტია ANO 2011- ის დამაჯერებელი გამარჯვება ამავე წლის ჩეხეთის საპარლამენტო არჩევნებზე და „არალიბერალური დემოკრატიის“[57] ერთგვარი ბურ- ჯის, უნგრეთის პრემიერ ვიქტორ ორბანის პოზიციების გამყარება.

პოლიტიკური მიმომხილველები და აკადემიური წრეების წარმო- მადგენლები ამ მხრივ განსაკუთრებით 2016 წელს გამოყოფენ და მიზეზად ბრექსიტის რეფერენდუმსა და ამერიკის საპრეზიდენტო არ- ჩევნებს ასახელებენ.

> „დასავლურ ლიბერალურ დემოკრატიას, რომელიც ცივი ომის დას- რულებიდან უკონკურენტოდ მიიჩნეოდა, ახლა ყველა მხრიდან უტევენ[...] (2016 წელი) განსაკუთრებით შავბნელი იყო ევროპული

> დემოკრატიისთვის.” [58]

[55]Fukuyama, 2006; Galston, 2018.

[56]Galston, 2018.

[57]ეს ტერმინი პირველად გამოიყენა ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკურმა მი- მომხილველმა ფარიდ ზაკარიამ ჟურნალ Foreign Affairs-ში 1997 წელს დაბეჭდილ სტატიაში “არალიბერალური დემოკრატიის აღზევება” (https://www.foreignaffairs.com/arti-

cles/1997-11-01/rise-illiberal-democracy).

[58]Kelemen, 2016.

ოპონენტად, რომელიც ლიბერალურ დემოკრატიას „ყველა მხრიდან უტევს“, ულტრამემარჯვენე პოპულიზმი მიიჩნევა. 2007 წელს დაწყებულ „დიდ [ეკონომიკურ] რეცესიასთან“ ერთად, ულტრამემარჯვენე პოპულიზმის აღზევებას ხელს უწყობს, ასევე, მზარდი იმიგრაცია, რაც არა მხოლოდ დასაქმებისა და სოციალური სერვისების სფეროში ზრდის კონკურენციას, არამედ კულტურული ნორმებისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მოწყვლადობის განცდასაც ამძაფრებს. ეს კი, შესაბამისად, ნოყიერ ნიადაგს ქმნის ავტოკრატიული მმართველობის დასაბრუნებლად, რაც მანამდე ბევრს წარსულის უპერსპექტივო გადმონაშთად მიაჩნდა.[59]

ლიბერალიზმის ფუნდამენტური იდეა იმის აღიარებაა, რომ სახელმწიფოს რეგულირების მიღმა არსებობს ადამიანების დამოუკიდებლობისა და პრივატულობის სფერო და მისი დაცვა. ლიბერალური დემოკრატია არის მმართველობის ფორმა, რომელიც ემყარება წარმომადგენლობით პრინციპებს, გააჩნია კონსტიტუციური ფორმა, აღიარებს დემოკრატიულობის (თანასწორობა და გადაწყვეტილებების უმრავლესობის მიერ მიღება) პრინციპებს, თუმცა სამართლებრივად ზღუდავს საზოგადოებრივ ინტერესს ინდივიდუალურის სასარგებლოდ. ამ დროს უმრავლესობის ნების შეზღუდვისათვის გამოიყენება სხვადასხვა მექანიზმი, რომელთა შორის, როგორც წესი, საკვანძო ფუნქციას საკონსტიტუციო სასამართლო ასრულებს - რომელიც „აწესებს იმ პერიმეტრს, რომლის გადაკვეთაც საზოგადოების დიდი უმრავლესობის ნებასაც არ შეუძლია“.[60]

პოლიტიკურ დისკურსში ლიბერალური დემოკრატიის ფუნდამენტურ

საპირწონედ სულ უფრო ხშირად გვევლინება პოპულიზმი. მართალია,

[59]Galston, 2018

[60]არ არის გასაკვირი, რომ სხვადასხვა ქვეყნის საკონსტიტუციო სასამართლოები ხში- რად ანტილიბერალური ძალების დარტყმის სამიზნეა, მათ შორის საქართველოში. გავიხსენოთ თუნდაც 2015 წლის საკონსტიტუციო სასამართლოს კრიზისი პოლონეთში, ამერიკელი ულტრაკონსერვატორების მუდმივი თავდასხმა აშშ-ის უზენაეს სასამართლოზე ან აქ, ჩვენთან საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმების პერმანენტული მოთხოვნები კონსერვატიული ძალების მხრიდან. ამის ერთ-ერთი ბოლო შემთხვევა იყო 2019 წლის 11 დეკემბერს, როცა

“პატრიოტთა ალიანსმა” ბათუმში საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმების მოთხოვნით აქცია გამართა, რასაც წინ უძღოდა მათ მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწების უცხოეთის მოქალაქეებზე გასხვისებაზე მორატორიუმის არაკონსტიტუციურად ცნობა. (https://1tv.ge/news/patriotta-aliansma-sakonstitucio-sasamartlos-gauqmebis-motkhov- nit-batumshi-aqcia-gamarta/).

ეს მოვლენა პოლიტიკის თანმდევი იყო მთელი მისი არსებობის განმავლობაში, მაგრამ ბოლო წლებში მან უკვე იმდენად მასშტაბურად მოიკიდა ფეხი და ეს პროცესი ამჟამადაც ისე შეუჩერებლად მუშაობს, რომ ლიბერალიზმის ერთგვარ ეგზისტენციური საფრთხის კონტურებს იძენს.

დღეს ბევრ პოლიტიკოსსა და პოლიტიკურ ძალას პოპულისტურს უწოდებენ. ამის მიზეზი შეიძლება ის გარემოებაც იყოს, რომ ამ ტერმინს სამეცნიერო ლიტერატურასა და პოლიტიკურ დისკურსში განსხვავებულად განმარტავენ. აკადემიურ წრეებში ამჟამადაც არ არის კონსენსუსი თუნდაც იმ ფუნდამენტურ საკითხზე, რას წარმოადგენს პოპულიზმი - ეს არის იდეოლოგია,[61] პოლიტიკური მოძრაობა[62] თუ საზოგადოებრივი დისკურსის ფორმა.[63] მიუხედავად ამისა, არსებობს მეტ-ნაკლები თანხმობა პოპულიზმის ძირითად მახასიათებლებზე. ესაა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ავანსცენის დაყოფა ორ ანტაგონისტურ და ჰომოგენურ ბანაკად - „ხალხად“ და „ელიტად“, თანაც ეს უკანასკნელი აუცილებლად კორუმპირებულია (ამ ცნების ფართო გაგებით).

> „(პოპულიზმი არის) „ვიწრო“ იდეოლოგია, რომლის თანახმადაც, საზოგადოება ორ ჰომოგენურ და ანტაგონისტურ ჯგუფად - „ხალ- ხად“ და „კორუმპირებულ ელიტად“ არის დაყოფილი, პოლიტიკა კი, ამ იდეოლოგიის თანახმად, ხალხის ნებას უნდა ასახავდეს.[64]

როცა პოპულიზმზეა საუბარი, აუცილებელია, მისი თანმდევი ორი კომპონენტის ხაზგასმა. პირველი არის ის, რომ პოპულისტი მოღვაწეები ხშირად მიმართავენ ხალხს და აპელირებენ ხალხის სახელით,[65] მეორე კი ქარიზმატული ლიდერის არსებობას უკავშირდება.[66] [67]

---

[61]Mudde, Rovira Kaltwasser, 2012.

[62]Germani, 1978

[63]Laclau, 2005.

[64]Mudde

[65]MMair, 2002; Taguieff, 1995

[66]GGermani, 1978

[67]რაც შეეხება ამ უკანასკნელს, ჩვენი მოსაზრებით, ეს შეიძლება საქართველოსთან კონ-ტექსტში ყველაზე აქტუალური და სახიფათო მახასიათებელი იყოს, რადგან ის ბარიერი, რაც

ქვეყანას პოპულისტური პოლიტიკის დომინირებისგან ჰყოფს, შეიძლება მოცემულ ეტაპზე სწორედ ასეთი მკვეთრად გამოკვეთილი ლიდერის არარსებობა

პოპულიზმი ემუქრება არა ზოგადად დემოკრატიას, არამედ სწო- რედაც რომ ლიბერალურ დემოკრატიას, რადგან ეწინააღმდეგება იმ ბარიერებს, რომელთაც ლიბერალური დემოკრატია უმრავლესობის ჩარევისაგან ინდივიდისა და უმცირესობების უფლებების დასაცავად აგებს. გასაკვირიც არ არის, რომ უმცირესობები პოპულისტი მოღვაწეების თავდასხმის მთავარი ობიექტია. ხშირად ეს თემა მათი დღის წესრიგის ძირითადი საკითხია, რომელზედაც პოლიტიკური კაპიტალი იგება.

ისტორიულად, მემარჯვენე პოპულისტები ხაზს უსვამდნენ საერთო წარმოშობისა (მათ შორის წმინდა გენეტიკური თვალსაზრისით) და ეთნი-კურობის ასპექტებს, მემარცხენე პოპულისტები კი „ხალხის“ დეფინიციას კლასობრივი ტერმინებით აგებდნენ, გამოხშირავდნენ რა იქიდან მდიდრებსა და ძალაუფლების მქონეთ („ექსპლუატატორები“). ბოლო პერიოდში, უფრო გავრცელდა ახალი დეფინიცია, ეს არის „ნამდვილი ხალხი“, რომელიც კულტურულ ელიტებს უპირისპირდება.[68]

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ პოპულისტურ დისკურსში ორივე დაპირისპირებული ჯგუფი - „ხალხი“ და „ელიტა“ ჰომოგენურია. ეს ჯგუფები არა მხოლოდ განსხვავებულია, არამედ ურთიერთგამომრიცხავი დღის წესრიგი და ინტერესები აქვთ. დაპირისპირების საფუძველში ზნეობრივი კრიტერიუმები დევს. ელიტა „კორუმპირებულია“ (ამ სიტყვის ფართო გაგებით), ხალხი „პატიოსანია“; პოპულისტი ლიდერები კი ერთადერთნი არიან, რომლებიც ამ პატიოსანი ხალხის ინტერესს იცავენ და, აქედან გამომდინარე, პოლიტიკურ ავანსცენაზე ერთადერთ ლეგიტიმურ ძალას წარმოადგენენ. ისინი ოპონენტებს „ხალხის მტრებად“ მიიჩნევენ, რომლებიც მუდმივად შეთქმულებებს აწყობენ. იმის ასახსნელად კი, რას ემყარება „ერთი მუჭა“ ელიტის ძალაუფლება, საჭიროა წონადი არგუმენტი. ვინაიდან ლოგიკურად ძნელია ამ ძალაუფლების წყაროს მოძიება ქვეყნის შიგნით, მისი მოძიება ქვეყნის გარედან ხდება. ანუ, „მტრები“

უცხოეთიდან უნდა იმართებოდნენ ან, სულ მცირე, მათგან დახმარებას იღებდნენ.

[68]Galston, 2018.

პოპულიზმმა დასავლეთში, განსაკუთრებით ევროპაში, ერთგვარი ეგზისტენციური საფრთხის ხასიათი შეიძინა. ამაზე მეტყველებს თუნდაც 25 იანვარს 30 ევროპელი ინტელექტუალის მიერ სხვადასხვა გაზეთში გამოქვეყნებული მანიფესტი სახელწოდებით „იბრძოლეთ ევროპისთვის, თუ არადა მას მავნებლები დაღუპავენ“.[69]

„ჩვენ არჩევანი არა გვაქვს - ან ახლავე ვიწყებთ ბრძოლას ევროპის იდეისთვის ან თვალს ვადევნებთ, პოპულიზმის ტალღები მას როგორ წალეკავს,“- ნათქვამია წერილში, რომელსაც ხელს აწერენ ცნობილი მწერლები, ფილოსოფოსები და ნობელის პრემიის ლაურეატები.
„ევროპული ცნობიერების ეს ახალი კრიზისი [...] გვიქადის იმ ყველაფრის განადგურებას, რამაც ჩვენს ხალხებს დიდება, ღირსება და კეთილდღეობა მოუტანა. ეს საფრთხე, რომელიც ლიბერალურ დემოკრატიასა და მის ფასეულობებს ემუქრება, ყველაზე დიდი გამოწვევაა 1930-იანი წლების შემდეგ.“[70] [71]

პოლიტიკური მითი, როგორც პოპულიზმის იარაღი

პოლიტიკური მითი, რომელიც პოლიტიკურ დისკურსში (მათ შორის განსაკუთრებით საქართველოში) თითქმის ყოველთვის ერთგვარი მეტაფორის სახით იხმარება, სინამდვილეში სოციალური მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიერ მეტ-ნაკლებად კარგად შესწავლილი ფენომენია და რომელიც, ჩვენი თვალსაზრისით, უაღრესად დიდ როლს თამაშობს ზოგადად იდეოლოგიურ და პოლიტიკურ ბრძოლაში, კრემლისთვის კი

დომინირების ყველაზე მძლავრ ინსტრუმენტს წარმოადგენს.

[69]https://www.theguardian.com/commentisfree/2019/jan/25/fight-europe-wreckers-patriots-nationalist

[70]იქვე.

[71]ცხადია, აქ არ იგულისხმება ის პრიმიტიული, მოტყუებაზე დაფუძნებული პოლიტიკური დისკურსი, რომელიც საქართველოში პოლიტიკის განუყოფელ ატრიბუტს წარმოადგენს და რომლის მიმართაც საზოგადოებამ, ან მისმა ნაწილმა, ერთგვარი იმუნიტეტი გამოიმუშავა. ამ შემთხვევაში უფრო სიღრმისეულ და მძლავრ ფენომენთან გვაქვს საქმე, რომლის

ტალღები აუცილებლად მოსწვდება საქართველოსაც და შეიძლება ,,წალეკვითაც" დაემუქროს.

პოლიტიკური მანიპულაციის კუთხით ის ფასდაუდებელი იარა- ღია, რადგან, ერთი მხრივ, უმძლავრეს ემოციურ მუხტს ატარებს, მეორე მხრივ კი, უაღრესად ძნელად ექვემდებარება რაციონალურ არგუმენტაციას. სწორედ ეს ორი მახასიათებელი - მძლავრი ემოციების გამოწვევის პოტენციალი და ირაციონალური შინაარსი განაპირობებს მის სიმტკიცესა და რეზისტენტობას (მათ შორის რაციონალური არგუმენტაციისადმი), საზოგადოების ფართო მასების მიერ იოლად აღქმა-გათავისებას და კონკრეტულ სოციალურ ფენაში პოლიტიკური აქტიურობის უზრუნველყოფას.

> „მითი სულაც არ ეწინააღმდეგება ფაქტების რეალობას. ის ხალხი, ვინც ამას ამტკიცებს, ივიწყებს იმ გარემოებას, რომ ზოგადად მითის, კონკრეტულად კი პოლიტიკური მითის, სიმტკიცე სწორედ ისაა, რომ[...] ის თავადვე ქმნის თვითრეალიზაციის წინაპირობებს.“ [72] [73]

> „მეცნიერული ცოდნა და ტექნოლოგიურ ასპექტში ბუნების დაუფ- ლება ყოველდღიურად ახალ და უპრეცედენტო გამარჯვებას მოი- პოვებს, მაგრამ ადამიანების ყოფით და სოციალურ ცხოვრებაში რაციონალური აზროვნების მარცხი, როგორც ჩანს, სრულია და შეუქცევადი. ამ სფეროში თანამედროვე ადამიანი ივიწყებს მთავარს, რაც საკუთარი ინტელექტუალური განვითარების პრო- ცესში უსწავლია.” [74]

> „თავისი არსით [პოლიტიკური მითი] ერთგვარი მრწამსია, და სწორედესაა მისი სიძლიერე. რადგან არაფერს კონკრეტულს არ გვთავაზობს და არც საკუთარ მოსაზრებებს ამყარებს მტკიცებულებებით, ის ადვილად უძვრება ხელიდან „ინტელექტუალისტ ფილოსოფოსებს“. პროგრამისგან ან პროგნოზისგან განსხვავებით, მითის გაცამტვერებაშეუძლებელია.“ [75]

ჩვენი თვალსაზრისით, სწორედ პოლიტიკური მითოლოგია, რო-

[72] Bottici, 2010.

[73] აქ და ქვემოთ, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული, თარგმანი ეკუთვნის ავტორს.

[74] Cassirer, 1946.

[75]Sorel, 1908.

გორც სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა - ანთროპოლოგიის, იდეოლოგიისა და ისტორიის შესწავლის საგანი იძლევა იმ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, რომელიც თვალნათლივ გვიჩვენებს ზოგიერთი სხვაგვარად აუხსნელი ფენომენის არსს[76] და, სათანადოდ გამოყენების შემთხვევაში, მის მართვაშიც გვეხმარება.

მითი ქმნის თვითკმარ რეალობას, რომელიც არის ერთგვარი ლინზა, სათვალე, რისი მეშვეობითაც ადეპტი უყურებს და აღიქვამს სამყაროს და მასში მიმდინარე მოვლენებს. ყველა მოვლენა - პოლიტიკური დებატი, ტელევიზიით გახმოვანებული თუ სოციალური ქსელით გავრცელებული სიახლე, ფასების აწევა თუ დაწევა, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები სწორედ ამ ფილტრში ტარდება და შემდეგ უბიძგებს ადამიანებს კონკრეტული ქმედებისაკენ - საარჩევნო უბანზე გამოცხადებიდან დაწყებული, მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლით დამთავრებული. მითი გარკვეულწილად არის კოგნიტური სქემა[77], რომლის მეშვეობითაც ადამიანები „სამყაროს პრაქტიკულ გამოსახულებას“ ქმნიან.[78]

პოლიტიკური მითის მოქმედების პრინციპების გასაგებად საჭიროა ორი მნიშვნელოვანი საკითხის დაზუსტება. პირველი იმ გარემოებას უკავშირდება, პოლიტიკური მითი იდეოლოგიის განუყოფელი ნაწილი რომ არის, მეტიც, თუ ამ სფეროს შემსწავლელ ერთ-ერთ ყველაზე ხშირად ციტირებულ თანამედროვე ავტორს, კრისტოფერ ფლადს დავესესხებით, პოლიტიკური მითი არის იდეოლოგიურად მარკირებული ამბავი, მსოფლაღქმა, რომელიც წარსულის, აწმყოსა

[76]მაგალითად, სხვადასხვა სიღრმისა და ფორმატის ნაკლებად დამაჯერებელი ტექსტების მთელი წყებაა შექმნილი სტალინის ფიგურის პოპულარობის ფენომენის ასახსნელად, სადაც ანალიზის ობიექტი ისტორიული პერსონაა - იოსებ ჯუღაშვილი. თუ ანალიზის ობიექტად არა კონკრეტულ ინდივიდს, არამედ მითოლოგიურ სტალინს ავიღებთ, სურათი იცვლება. „[მითოლოგიური სტალინი] არავის კლავდა, [ქვეყანას] სისხლში არ ახრჩობდა, ის არ იყო გოლოდომორის შემოქმედი, მან ფეხზე დააყენა ქვეყანა, ააგო ქარხნები, მოიგო ომი, რუსეთი სუპერსახელმწიფოდ გადააქცია და ყველას მისი პატივისცემა აიძულა [...]” (მიხაილ ველერი, “ეხო მოსკვი”, 2015; ამავე თემაზე იხ. ილიაუნის პროფესორ გიორგი მაისურაძის საჯარო ლექცია “სტალინის ორი სხეული”.(2014)

[77]მაგ., Edelman, 1967, 1975; Bennet, 1980.

[78]Bottici, 2010.

და სავარაუდო სამომავლო მოვლენების შესახებ რომ მოგვითხრობს და მას კონკრეტული სოციალური ჯგუფი უპირობო ჭეშმარიტებადაც აღიარებს.[79] მეორე საკითხი კი ის არის, პოლიტიკური მითი ერთგვარი სტატიკური სტრუქტურა რომ არ არის - ერთხელ და სამუდამოდ მოცემულ-დაკანონებული, არამედ ერთგვარი ფლუიდური აღქმაა, უფრო სწორად მთელი კომპლექსი, რომელიც არსებული რეალობის ცვლილების შესაბამისად მუდმივ ტრანსფორმაციას განიცდის.[80] ისევე, რო- გორც ზოგიერთი ავტორი ზოგადად იდეოლოგიას ფუნდამენტურ და ოპერატიულ იდეოლოგიებად ახარისხებს,[81] როგორც მის „სისხლსა და ხორცს“, შესაბამისად, ეს კლასიფიკაცია პოლიტიკურ მითოლოგიასაც შეეხამება. ფუნდამენტური მითი სამყაროს მთლიანობაში ასახავს, კათი-ლისა და ბოროტის „გლობალური“, „ესქატოლოგიური“ ბრძოლის სურათს იძლევა და სტრატეგიულ მიზნებს ემსახურება. ამის პარალელურად, ოპერატიული მითები[82] უფრო მცირე მასშტაბისაა და, ფუნდამენტური მითის ფარგლებში, ტაქტიკური ამოცანების გადაწყვეტაზეა ორიენ- ტირებული, თუმცა ეს სულაც არ გამორიცხავს დრამატიზმსა და ძლიერ ემოციურ მუხტს, რაც ოპერატიულ მითებსაც მოეთხოვება.

ამ თავშივე, ქვემოთ, გვექნება საუბარი ერთ ფუნდამენტურ მითზე, რომელსაც პირობითად „კატეხონის მითი“ დავარქვით და ის გლო_ ბალურ ავანსცენაზე რუსეთის (უფრო სწორად პუტინის რუსეთის) პოზიციონირებას შთამბეჭდავად ახერხებს.[83] მეორე ნაწილის ბოლო თავში კი განვიხილავთ რამდენიმე ოპერატიულ მითს,[84] რომელიც შესაბამისობაშია საქართველოსთან კონტექსტშიც.[85]

[79]Flood, 1996.

[80]Blumenberg, 1985

[81]მაგ., Scarbrough, 1984; Seliger, 1976.

[82]ავთანდილ წულაძე (2003) პოლიტიკურ მითებს “მარადიულ” და “ტექნოლოგიურ” მითებად ჰყოფს. პირველი, პრინციპში, ფუნდამენტური მითის ანალოგად შეიძლება მივიღოთ, მეორე კი - ოპერატიულის.

[83]არცთუ შორეულ წარსულში სწორედ ასეთი იყო „პროლეტარული რევოლუციისა“ და „არიული რასის“ ფუნდამენტური მითები, რომლებმაც ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს ბრძოლის ველზე, ნაცისტურ სიკვდილის ბანაკებსა თუ საბჭოთა გულაგში.

[83]მაგალითად, მცირე ოპერატიულმა მითმა, რომლის თანახმადაც „ლიბერალები ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდას/დანერგვას ეწევიან“ , ათასობით ადამიანს 2013 წლის 17 მაისს

ქუჩაში გამოსვლისკენ და ერთ მუჭა სამოქალაქო აქტივისტებზე თავდასხმისკენ უბიძგა. [85]რამდენიმე პოლიტიკური მითი შესაშური ოსტატობითაა აღწერილი ამერიკელი მკვლევარის, ჰენრი ტიუდორის ქრესტომატიულ წიგნში „პოლიტიკური მითი“, 1973.

როგორ მუშაობს მითი

საინტერესოა, როგორ ახერხებს კრემლის ინფორმაციული მანქანა, ერთი შეხედვით შთამბეჭდავი, მაგრამ მსოფლიოს კონვენციურ ინფორმაციულ წყაროებთან შედარებით არაპროპორციულად მწირი და სუსტი, სხვა ქვეყნებში საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის გარკვეულწილად ეფექტურად გატარებას?! გასაგებია, რომ აქ ასიმეტრიული, ჰიბრიდული ტაქტიკა მუშაობს, მაგრამ როგორია მისი მექანიზმი?[86] მიგვაჩნია, რომ ეს უმნიშვნელოვანესი საკითხია და, ვფიქრობთ, მასზე პასუხი აუცილებელია აკადემიურ ლიტერატურაში, კერძოდ, პოლიტიკური მითოლოგიის აკადემიურ დისკურსში ვეძებოთ.

ჩვენი მოსაზრებით, ამ კუთხით ფრიად საყურადღებოა პოლი- ტიკური მითოლოგიის თანამედროვე მკვლევარის, კიარა ბოტი- ჩის მოდელი (2010), რომელიც, თავის მხრივ, გერმანელი ფილო- სოფოსის, ჰანს ბლუმენბერგისეული მითის მოდელს ემყარება.ამ მოდელის თანახმად, მითი არ არის სტატიკური ერთეული, იგი ერთგვარი ფლუიდური ფენომენია, რომელიც მუდმივად დინამიკურ მდგომარეობაშია, ანუ, მითი, იდეოლოგიისგან განსხვავებით, არ ემყარება რომელიმე ინდივიდის (მაგ. მარქსიზმი) ან ინდივიდების ჯგუფის (მაგ. ლიბერალიზმი) ნააზრევს, ის ერთ თარგზე გამოჭრილი სხვადასხვა ფორმატის, სიღმისა და ხასიათის მსოფლაღქმათა ერ- თობლიობაა, რაც სოციალური ფენის ქვეცნობიერში ღრმადაა ჩა- ბეჭდილი და მის, ასე ვთქვათ, გაცოცხლებას სულაც არ სჭირდება ამ აღქმათა ხელახლა წარმოჩენა. პრინციპში, შეიძლება ადამიანმა საერთოდაც არაფერი იცოდეს ამის შესახებ, მაგრამ საკმარისია მხოლოდ მცირე ბიძგი, ერთგვარი ელექტრული მუხტი, რომელიც მითს „გამოღვიძებს“ და, როგორც უკვე ვისაუბრეთ, კონკრეტულ სო- ციალურ სტრატას პოლიტიკური აქტივობისკენ უბიძგებს.

ამას ავტორი პოლიტიკური მითის „კონდენსატორულ“ თვისებას უწოდებს, მცირე ბიძგების მეშვეობით მისი „გამოღვიძების“ თვი-

[86]უნდა აღინიშნოს, რომ ამ კითხვას ყველაზე ხშირად გვისვამდნენ ჩვენი კოლეგები და

მეგობრები, რომლებთანაც ამ კვლევაზე მუშაობის პროცესში ვმსჯელობდით.

სებას კი „სინეკდოხას ეფექტს“. ეს არის „მძლავრი ემოციური რეაქ- ცია, რომელიც ილექება მცირე გამოსახულებებში, ერთგვარ ხატებში, რომელთაც შეუძლიათ ,,სინეკდოხას ეფექტის” წყალობით (ადამიანების გონებაში) მითის სრულად გაცოცხლება“.[87] ანუ, იმ ემოციური მუხტის გამოწვევისათვის, რაც მითს ახასიათებს, სავსებით საკმარისია როგორც თვისობრივად, ასევე რაოდენობრივად შეზღუდული ბიძგი. ამ ბიძგის გამოწვევა, ანუ ელექტრული მუხტის ფუნქციის განხორციელება შეიძლება ე.წ. ვიზუალური „ხატებითაც“, რომლებიც „შიშის რეგისტრით“, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფობიებით, ოპერირებენ.

ანუ, აღნიშნული მექანიზმი ფუნქციურია ნებისმიერ, მათ შორის მკვეთრად ასიმეტრიულ რეჟიმში, ოღონდ მხოლოდ მაშინ, თუ წარმატებით ახერხებს ფობიებით ოპერირებას. ხაზგასმით რომ ვთქვათ, ისეთ მედიაგარემოში, სადაც კონვენციური მედია ერთ- მნიშვნელოვნად პრევალირებს, თითო-ოროლა ფეიკ-ნიუსის, მცირე დოზის დეზინფორმაციისა და ცოტაოდენი პროპაგანდის ეფექტი პოტენციურად შეიძლება ისეთივე მძლავრი იყოს, როგორც, ვთქვათ, მასობრივი მედიური დამუშავება. მაგალითად, თუ კონკრეტული ინდივიდი დროის მონაკვეთში, ვთქვათ დღე-ღამეში, გაეცნო 10 განსხვავებულ ახალ ამბავს, მათ შორის ცხრა კონვენციურს და ერთ ფეიკს, რომელიც მისი ქვეცნობიერი ფობიებით ოპერირებს, შეიძლება ამ უკანასკნელმა ერთმა გადაფაროს წინა ცხრა ნანახი/გაგონილი/ წაკითხული ამბის ეფექტი.

ამასთანავე, ეს მექანიზმი იმასაც ხსნის, რატომ არის ანტილი- ბერალური პოპულიზმი აგებული ძირითადად ფობიების აქცენტი- რებით და იმის გაგების საშუალებას გვაძლევს, რატომ არის შე- საძლებელი ადამიანებისა და ზოგჯერ მთელი სოციალური ჯგუფების მანიპულირება ზღვა კონვენციური ინფორმაციის პირობებში სათა- ნადო ინფორმაციის თუნდაც მცირე დოზის მიწოდებითაც კი.

ეს კარგად ჩანს ქართულ რეალობაში, სადაც, ნაკლებად პო-

პულარული ობსკურანტული მედიასაშუალებებით გავრცელებული

[87]Bottici, 2010

ახალი ამბები არაპროპორციულად დიდ ზეგავლენას ახდენს აუ-დიტორიაზე, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევაში, როდესაც ისინი ირა-ციონალური შიშით, ფობიებით ოპერირებენ.[88]

გამომდინარე იქიდან, რომ ,,სინეკდოხას ეფექტის" გამოწვევა ძალიან მოკლე ახალ ამბავს, სოციალური ქსელით გავრცელებულ ფო-ტოსურათსა თუ ვიდეოს შეუძლია, ვფიქრობთ, ამ მხრივ სამომავლოდ, სოცქსელების განვითარებასთან ერთად, სიტუაცია შეიძლება კიდევ უფრო დამძიმდეს.

ჯერჯერობით ობსკურანტული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალები, სწორედ მათი რეტროგრადული ხასიათიდან გამომდინარე, სოციალურ მედიაში სათანადო კონკურენციას ვერ უწევენ კონვენციურ მედიებს და ბლოგერებს ვერც წმინდა რაოდენობრივი მონაცემებით და მით უფრო - ხარისხობრივად. თუმცა ამ მხრივ ვითარება იცვლება, სულ უფრო მეტი ადამიანი ეუფლება სოციალური ქსელით ოპერირების უნარ-ჩვევას, რამაც უახლოეს მომავალში დემოკრატიული საზო- გადოება შეიძლება მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენოს.

კატეხონის მითი

ეს არის ფუნდამენტური მითი, რომელიც პუტინის რეჟიმს საერ თა-შორისო არენაზე დომინირების კონტექსტში სხვა ქვეყნების შიდა პროცესებით მანიპულირების, არსებულ გამოწვევებზე მავნებლობის შესაძლებლობას აძლევს. ის კრემლს გლობალურ ლიბერალიზმთან ბრძოლის ფლაგმანად აქცევს და ისეთი ძალაუფლებით აიარაღებს, რაც, შესაძლოა, მნიშვნელოვან ინსტრუმენტად იქცეს გლობალური დომინაციისთვის ბრძოლაში თუ არა, საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის გატარებაში მაინც. ამ მიზნისთვის კი საჭიროა ისეთი რეა-

[88]ამის მაგალითია რამდენიმე მედიაში ატეხილი ხელოვნური აჟიოტაჟი, თითქოს ღო- რის გრიპის შემთხვევები საქართველოში ლუგარის ლაბორატორიას უკავშირდება. ეს კრემლის მიერ მითებით მანიპულირების ერთგვარი კლასიკური შემთხვევაა. ერთი მხრივ,

მოქმედებს ირაციონალური შიში, მეორე მხრივ, საქმე გვაქვს მძლავს ემოციურ მუხტთან, და მესამე - ხდება ამერიკის, როგორც დემოკრატიული სამყაროს ლიდერის, დისკრედიტაცია.

ლობის (მითის) შემუშავება, რომლითაც შესაძლებელი იქნება „ახლო“ და შორეული სამეზობლოს ქვეყნებში იდეოლოგიური ბაზის შექმნა.

რაც შეეხება დრამატიზმს, პოლიტიკური მითი შორს არ წასულა საკრალური მითებისგან, რომელიც „გმირისა“ და „ფუნდამენტური ბოროტების“ ბრძოლას ასახავს, ამიტომ პოლიტიკურმა მითმა რომ იმუშაოს, აუცილებელია ორი ძირითადი ფუნქციის განხორციელება - „ფუნდამენტური ბოროტებისა“ და მასთან მებრძოლი „გმირის“ ორი მითოსური ხატის დადგენა.[89] „მტერს“ ერთგვარი მონუმენტალიზმი მოეთხოვება, ის საზოგადოების ფუნდამენტურ ასპექტებს უნდა ემუქრებოდეს - მაგალითად, ქრისტიანობას ზოგადად, ქრისტიანულ ევროპას, არსებულ წესრიგს ან თუნდაც კაცობრიობის მომავალსა და არსებობას. რაც უფრო „მონუმენტურია“ „მტერი“, მით უფრო მეტია ემოციური მუხტი (რომელიც ადამიანებს პოლიტიკური აქტივობისკენ უბიძგებს) და, შესაბამისად, მეტი „რეზონია“ „გმირის“ არსებობაში.[90]

აღსანიშნავია, რომ ეს რუსეთის იმპერიას მის წინა ინკარნაციაში, საბჭოთა კავშირის სახით, უკვე კარგად აქვს აპრობირებული ათ- წლეულების განმავლობაში „პროლეტარული რევოლუციის“, მანამდე კი „მესამე რომის“ მითის უტილიზაციის კუთხით.

სწორედ ამ გამოცდილებიდან გამომდინარე, რაც რუსეთის მე- ზობლებსა და გეოგრაფიულად მისგან დაშორებულ ქვეყნებს მი- ლიონობით ადამიანის სიცოცხლედ დაუჯდა, ახალი პოლიტიკური მი- თოლოგია, რომელიც კრემლის წიაღში სწორედ ამ მოცემულ მომენტში იდგამს ფეხს, შეიძლება უაღრესად სახიფათო იყოს, პირველ რიგში ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა საქართველო და უკრაინა.

> „რუსეთი იყო, არის და იქნება ალტერნატიული დასავლეთი, ეს არის დასავლური ჯავშანმატარებელი სათადარიგო რელსებზე [...] და რადგან „ძირითადმა“ დასავლეთმა საკუთარ თავს უღალატა,

---

ახლა რუსეთი ხდება ჰუმანიზმის „მესამე რომი“,

[89]თავისი სტრუქტურით პოლიტიკური მითი მისი წინამორბედის, ე.წ. საკრალური მითების

ღვიძლი პირმშოა.

[90]მტრის ხატის კონსტრუირებაზე თანამედროვე უნგრეთის შიდაპოლიტიკურ ბატალიებში იხ. BuzzFeedNews, The Unbelievable Story Of The Plot Against George Soros, 2019. https://bit.ly/2WTsn5J

ისევე როგორც ადრე იყო ქრისტიანობის „მესამე რომი“[...] ის გახდა ასეთი ბასტიონი [...] და არ უნდა დავივიწყოთ სიტყვა „კატეხონი.[91] კატეხონი ეს არის შემაკავებელი. ჩვენ დღეს ნამდვილად ვიმყოფებით ქაოსში გადავარდნისა და ყველაზე პირქუში მომავლის ზღურბლზე [...] და ეს არ არის, უბრალოდ, უღმერთობა, ესაა ანტი-ღმერთობა. რუსეთი არის [ყველაფერ ამის] შემაკავებელი და სანამ ის იქნება, ის [ამ უბედურებას] შეაკავებს. და მესამე, რუსეთი ყოველთვის არის ტრანსცენდენტური იმანენტურში, ეს არის ღმერთი აქ, მიწაზე [...] რუსებს ორგანულად აქვთ კაცობრიობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მახასიათებლები, რუსები ყოველთვის იქნებიანყველაზე მთავარის - ახალი იდეებისა და ცხოვრების წესის მწარმოებლები. და ეს ცხოვრების წესი ახლა ისეა საჭირო, როგორც არასდროს, რადგან ეს [სამყარო] სრულდება. ეს არის არსებული პარადიგმების დასასრული. ჩვენ ახლა ისეთ გზასაყარზე ვიმყოფებით, რომელზეც არ ვყოფილვართ ნეანდერტალელიდან კრომანიონელზე გადასვლის ეპოქის შემდეგ [...] და ამ გზასაყარზე რუსები არიან ერთადერთი გადამრჩენლები და ერთადერთი კატეხონი.“[92]

„დღეს რთულია იმის განსაზღვრა, სად არის ევროპული ცივილი-ზაცია. რეალური, კლასიკური, ტრადიციული ცივილიზაცია არის რუსეთში. რუსეთი კი არ ტოვებს ევროპას, ეს ევროპა ტოვებს ევროპას. ერთნაირსქესიანთა ქორწინება, ოჯახის (ინსტიტუტის) ნგრევა, უარის თქმა ქრისტიანულ მემკვიდრეობაზე [...] მაშინ, როცა ევროკავშირს შეეშინდა, ჩაეწერა, რომ ევროპის კავშირი და გაერთიანებული ევროპა ეფუძნება ქრისტიანულ ფასეულობებს... რა ევროპაზე ვლაპარაკობთ, მე, უბრალოდ, მეცინება.”[93]

---

[91]კატეხონი არის ბიბლიური კონცეფცია, რომელიც ამ კონტექსტში იხმარება, როგორც ანტიქრისტეს შემაკავებელი ძალა.

[92]ციტატა აღებულია რუსი პოლიტოლოგის, სერგეი კურგინიანის გამოსვლიდან ტელეარხ „როსია 1“-ის გადაცემაში „საღამო ვლადიმირ სოლოვიოვთან“, 2018 წლის 1 ნოემბერი.

https://www.youtube.com/watch?v=nAIU1isLNvw

[93]ანდრანიკ მიგრანიანის, რუსი პოლიტოლოგის, ციტატა აღებულია მისი დებატებიდან ილიაუნის პროფესორთან და პარტია „ევროპული საქართველოს“ წევრთან, დავით დარჩიაშვილთან, RTVI, 2019, 22:00, http://bit.ly/2GvwFu8

ეს ციტატები ერთგვარი ლოგიკური შეჯამებაა იმ მეტაფიზიკურ-პოლიტიკური დისკურსის, რომელიც განუწყვეტლივ გადმოდის რუ- სეთის სახელმწიფო ტელეარხებიდან (ისევე, როგორც სხვა მედიასაშუალებებიდან) და საზოგადოებრივი კომუნიკაციის ერთგვარ მატრიცას აყალიბებს არა მარტო რუსეთის შიგნით, არამედ გარკვეულწილად მის საზღვრებს გარეთაც. კრემლის საჯარო პოლიტიკაც სწორედ ამ მატრიცაზე ეწყობა, რაც ყველაზე თვალსაჩინოა უკრაინასა და სირიაში მიმდინარე ტრაგიკული მოვლენების ფონზე.

რუსეთი, როგორც ქრისტიანული სამყაროს გადამრჩენელი, რო-მელიც ერთადერთია, ვინც, არც მეტი არც ნაკლები, სამყაროში ანტი- ქრისტეს გაბატონებას ეწინააღმდეგება (ამას შეიძლება პირობითად, და აუცილებლად ბრჭყალებში, „კატეხონის მითი“ დავარქვათ) - ეს არის პოლიტიკური მითოლოგიის კლასიკური მაგალითი, იმ ფუნდამენტური მითების მსგავსი, როგორიცაა, მაგალითად, ზემოთ ნახსენები „არიული რასისა“ და „პროლეტარული რევოლუციის“ მითები.

„კატეხონის მითში” აშკარაა ძველი, „მოსკოვის, როგორც მესა- მე რომის”[94] მითის ერთგვარი რეინკარნაცია, რომელსაც არა მარ- ტო წმინდა რელიგიური, არამედ კონკრეტულად პოლიტიკური და- ტვირთვაც ჰქონდა.[95]

ოღონდ თუ „მესამე რომი“ უღმერთოებისგან „ჭეშმარიტი ქრის- ტიანობის“ დაცვის სადარაჯოზე იდგა, დღევანდელი რუსეთი, რო- გორც კატეხონი, გლობალურ ლიბერალიზმს ებრძვის, როგორც „ფუნ- დამენტური ბოროტების“ განსახიერებას. ზემომოყვანილი ციტატაც სწორედ ამ ანტილიბერალური დისკურსის კონტექსტში იყო ნათქვამი.

როგორ ვხედავთ, აღნიშნული მითოლოგიური ნარატივი პირდაპირ ასახავს ევროპულ პოპულისტურ დისკურსს. ეს სტრუქტურა იმით

[94]ეს კონცეფცია პირველად მე-16 საუკუნის დასაწყისში ფსკოვის ერთ-ერთი მონასტრისბერმა ფილოფეიმ ჩამოაყალიბა, შემდეგ კი მან მოსკოვის მთავრებისა და მეფეების პოლიტიკურ არსენალში გადაინაცვლა. Toumanoff, 1955.

[95]Успенский, Борис Андреевич. Избранные работы. Т. 1. Семиотика истории. Семиотика культуры. 1994.

არის ეფექტიანი, რომ გააჩნია პოტენციალი რუსულ ორბიტაზე ლამის ნებისმიერი ქვეყნის ფართო სოციალური ჯგუფი მოაქციოს - ამ ლოგიკით ხომ „ლებერალური ელიტის“ „მძიმე უღელი“ შეიძლება ყველა ქვეყანაში მოიძებნოს, და არა მარტო პოსტსაბჭოეთსა და აღმოსავლეთ/ცენტრალურ ევროპაში, არამედ, მაგალითად, აშშ-სა და დასავლეთ ევროპაშიც. სწორედ ამას უკავშირდება რუსული პროპაგანდის გაცხოველება დასავლეთის ვექტორზე.

თუ ადრე საბჭოთა კავშირის გავლენა საგარეო ასპარეზზე ძირითადად მემარცხენე რადიკალებს ემყარებოდა, ახლა ეს პარადიგმა შეიცვალა, მაგრამ არა კლასიკური, არამედ ულტრამემარჯვენე, პოპულისტური შეფერილობის, კონსერვატიზმის მიმართულებით.

ქვემოთ მოკლედ მიმოვიხილავთ იმ მსოფლაღქმას, რომელიც ზემოთ ნახსენებ პოლიტიკურ მითს ემყარება და ერთგვარად მის ზედნაშენს წარმოადგენს. ამასთანავე, უკვე ჩანს იმის სიმპტომები, რომ ის კონკრეტულ პოლიტიკურ აქტივობად იქცა.[96] მითოლოგიური მსოფლაღქმა ასე გამოიყურება: პოლიტიკური სპექტრის დაყოფა მემარჯვენეებად და მემარცხენეებად უკვე მოძველდა, რადგანმემარჯვენე და მემარცხენე ელიტებს შორის დამყარდა ერთგვარი კონსენსუსი და ამის შემდეგ დაიწყო „წმინდა ლიბერალიზმის“ დომინირება. ის, კლასიკური გაგებით, არც მემაჯვენეა და არც მემარცხენე, არამედ მემარჯვენე მოდელიდან აღებული აქვს ეკონომიკური ღირებულებები - თავისუფალი ბაზარი, ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვა, მემარცხენე მოდელისგან კი - მორალისგან გათავისუფლება, ოჯახისა და ტრადიციების ნიველირება,
„ეკლესიის ზიზღი“, „სხვადასხვა გარყვნილების ლეგალიზაცია“ და „პოსტმოდერნიზმი“. ეს არის სწორედ ის, რაც არა მარტო რუსეთს, არამედ მთელ მსოფლიოს „ქაოსში ჩავარდნითა და ყველაზე პირქუშის

[96]ეს ნარატივი, შეიძლება ითქვას, ყველაზე „გულწრფელად“ რუს პალეოკონსერვატორ ფილოსოფოსს, ალექსანდრ დუგინს აქვს ერთ-ერთ ბოლო ვიდეობლოგში ჩამო_

ყალიბებული. დუგინი ცნობილია თავისი რეაქციული, რევანშისტულ-იმპერიული შეხედულებებით, მათ შორის კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებაში. „დუგინის ექსპერტიზა“. 7 ნოემბერი, 2018. https://www.youtube.com/watch?v=DUdF-pOTo9I

მოსვლით“ ემუქრება, ეს არის „ანტი-ღმერთობა“ და კაცობრიობის დასასრული. ამასთანავე, ეს სულაც არ არის რიგითი მოვლენა, არამედ გლობალურ პარადიგმატულ ცვლილებას წარმოადგენს, რომელიც „აჩვენებს იმ პოლიტოლოგიურ სურათს, რომელიც ჩვენ თვალწინ დასავლეთში იქმნება“.

ეს ახალი იდეოლოგიური პარადიგმა უპირისპირდება, ერთი მხრივ, სოციალურ სამართლიანობას, მეორე მხრივ კი - ეკლესიას, ოჯახსა და ტრადიციებს.

> „[...] ერთმანეთს შეუხამეს მემარცხენე პოლიტიკა და მემარჯვენე ეკონომიკა. შესაბამისად, დაიწყეს ტრადიციული ფასეულობების მატარებელი ადამიანების ექსტრემისტებად და ფაშისტებად, სოციალური სამართლიანობის მომხრეების კი კომუნისტებად და სტალინისტებად შერაცხვა... ეს არის ჯორჯ სოროსის, ღია საზოგადოებისა და ჰილარი კლინტონის ტიპური იდეოლოგია... მათ მოახდინეს ტრადიციული ფასეულობების მქონე ყველა ადამიანის დემონიზება, მათ შორის მათიც, ვინც ემხრობა დედის, მამისა და შვილებისგან შემდგარ ოჯახს. ასეთი ოჯახი თანამედროვე ლიბერალურ დისკურში შერაცხულია ფაშისტებად.“[97]

(ეს არ არის, ასე ვთქვათ, მარგინალური ციტატა, რომელიც თანამედროვე რუსული პროკრემლისტური დისკურსიდან ამოვარდნილი იქნებოდა. ამავე და მსგავს მოსაზრებებს ავითარებს მრავალი სხვა პოლიტოლოგი, სოციოლოგი თუ საზოგადო მოღვაწე, რომელთაც თითქმის ექსკლუზურად აქვთ ათვისებული რუსეთის სახელმწიფო ტელევიზიების ყველა საზოგადოებრივ-პოლიტიკური თუ ანალიტიკური გადაცემა, მრავალი სხვადასხვა რადიო-არხი და ურიცხვი ბლოგი და ვლოგი სოციალურ ქსელში) .

ამ მსოფლაღქმის თანახმად ხდება ტრადიციული კონსერვატორებისა და სოციალური სამართლიანობის მომხრეების მარგინალიზაცია, რომლებმაც ან მართვის ბერკეტები დაკარგეს, ან არსებულ

ლიბერალურ ელიტას შეერწყნენ, ანაც პოლიტიკურ ავანსცენას

[97] იქვე

მოსწყდნენ და საზოგადოებრივ ტრიბუნას ჩამოსცილდნენ. ეს ელიტა საბაზისო დონეზე ეწინააღმდეგება არა მარტო კონკრეტული ხალხისა თუ ხალხების ინტერესს, არამედ ზოგადად კაცობრიობის არსებობას უქმნის საფრთხეს (ტაქტიკურ დონეზე, კრემლის პროპაგანდის მიზნებიდან გამომდინარე, ეს საფრთხე შეიძლება დაემუქროს „მართლმადიდებლობას“, „ქრისტიანულ ევროპას“, „სამყაროს“, „ტრადიციებს’, „ოჯახის ინსტიტუტს“ და ა.შ.), „ლიბერალური ელიტა“ გლობალისტურია, მოწყვეტილია ხალხს და არ გააჩნია სამშობლო.

თუმც დარჩა ხალხი, რომელსაც ჯერ კიდევ შერჩა ერთგვარი პოლიტიკური თვითორგანიზების უნარი. ამ უნარის გამოხატულება კი არიან ის პოლიტიკოსები, რომლებმაც უარი თქვეს ძველ იდეოლოგიებზე და დაეყრდნენ უშუალოდ ხალხს. მათ კნინობითად დაარქვეს „პოპულისტები“. ისინი ერთგვარ ანტისისტემურ პოლიტიკოსებად და პოლიტიკურ მოძრაობებად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც იგებენ არჩევნებს და იგებენ სწორედ იმიტომ, რომ ხალხის ნებას გამოხატავენ.

ამავე მითოლოგიური აღქმის თანახმად, წარმატების მისაღწევად აუცილებელია პოპულისტების ორი - მემარჯვენე და მემარცხენე ფრთის გაერთიანება.[98] ამ გაერთიანების დოქტრინა „კვაზი-მემარ- ჯვენე“ და „კვაზი-მემარცხენე“ ელიტების სარკისებრი ანარეკლი უნდა იყოს - ანუ, ერთი მხრივ, ტრადიციულ ღირებულებებს, ოჯახის ინსტიტუტს, წესრიგსა და რწმენას (მემარჯვენე პოპულიზმი), მეორე მხრივ კი, სოციალურ სამართლიანობასა და ანტიელიტურობას (მემარცხენე პოპულიზმი) უნდა ეფუძნებოდეს.

ამ კონტექსტში 2018 წლის 4 მარტის საპარალმენტო არჩევნები იტალიაში ერთგვარ ეპოქალურ მოვლენად განიხილება, რომელმაც შეიძლება გლობალურ დონეზე მნიშვნელოვნად შეცვალოს პოლიტიკური ლანდშაფტი, რადგან ამ არჩევნებზე მემარცხენე[99] და მემარჯვენე პოპულისტებმა გაერთიანება - კოალიციური მთავრობის

[98]მაგალითად, ასეთ ძალებს ანტისისტემურ მემარცხენე პოპულისტურ ფლანგზე წარმოადგენს სარა ვაგენკნეხტის Die Linke გერმანიაში, მემარჯვენეზე კი- მარინ ლე პენის

Rassemblement National („ეროვნული კრება“, ყოფილი „ეროვნული ფრონტი“) საფრანგეთში და Freiheitliche Partei Österreichs („ავსტრიის თავისუფლების პარტია“) ავსტრიაში.

შექმნა შეძლეს და გაიმარჯვეს. შესაბამისად, ახალი პოლიტიკური დაპირისპირება გლობალურ დონეზე უკვე გადადის სხვა პარადიგმაში, რომელიც არის არა მემარცხენეებისა და მემარჯვენეების დაპირის-პირება, არამედ გაერთიანებული - მემარცხენე და მემარჯვენე პო-პულისტების დაპირისპირება ლიბერალურ ელიტასთან.

„როცა ისინი გაერთიანდნენ და ჩამოაყალიბეს მთავრობა, მათ დაგვანახეს ევროპის შესაძლო მომავალი,[100] მსოფლიოს შესაძლო მომავალი“, რადგან მხოლოდ მემარჯვენე პოპულისტებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი ელექტორალური ბაზა გაცილებით უფრო ფართოა და თანაც მზარდი, პოლიტიკური ელიტის დამარცხების ძალა არ შესწევთ. და ეს რომ მოახერხონ, ისინი მემარცხენე პოპულისტებთან ალიანსში უნდა შევიდნენ, ხოლო იმისთვის, რომ ეს ალიანსი შედგეს, აუცილებელია ამ ძალის წარმომადგენლებმა უარი თქვან ანტიფაშიზმსა და ანტიკომუნიზმზე, რაც გლობალური ლიბერალური ელიტის ინსტრუმენტს წარ- მოადგენს და რომლითაც ის ამ ორ ფრთას შორის შუღლს აღვივებს. სწორედ აგრერიგად გაერთიანებულ ძალას შეუძლია წინ აღუდგეს
„გარყვნილებისა და მსხვილი ფინანსური კაპიტალის მსოფლიო გლობალურ დიქტატურას“.

ამ მითოლოგიური ნარატივის თანახმად, მსოფლიო პოლიტიკაში მიდის ბრძოლა ორ დიდ ძალას შორის - ერთ მხარესაა ხალხი, რომლის ინტერესის გამტარებლად მემარცხენე და მემარჯვენე პო- პულისტები გვევლინებიან, მეორე მხარეს კი არის „გლობალური ლიბერალური ელიტა“, შესაბამისად, თითოეულმა ადამიანმა ამ ორ ძალას შორის უნდა გააკეთოს არჩევანი.

რუსეთს, როგორც ერთადერთ ქვეყანას, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩავარდნია ხელში „ლიბერალურ ელიტას“, ეპოქალური მისია აკისრია - მთელ მსოფლიოში ხელი შეუწყოს ამ მოძრაობას და გააძლიეროს იგი. მართალია, დროის მცირე მონაკვეთში, 1990-იან წლებში, პრეზიდენტ ბორის ელცინის მმართველობისას, რუსეთს
„გარე ძალები“ მართავდნენ, მაგრამ პრეზიდენტმა ვლადიმირ

[99]იგულისხმება მატეო სალვინის Lega Nord („ჩრდილოეთის ლიგა“) და ლუიჯი დი მაიოს Movimento 5 Stelle-ს („5 ვასკვლავის მოძრაობა“).
[100]დუგინი, 2018.

პუტინმა მოახერხა თავი დაეღწია ამ გავლენისათვის და ქვეყანაში „სუვერენული დემოკრატია“ დაემყარებინა.[101]

ეს დოქტრინა იმითაა საყურადღებო, რომ ხაზს უსვამს არ მარტო ზოგადად რუსეთის, როგორც სახელმწიფოს მნიშვნელობას, არამედ მისი მმართველი ელიტის, უპირველეს ყოვლისა კი, პრეზიდენტ პუ- ტინის ისტორიულ მისიას. შესაბამისად, ის ფრიად ეფექტური ინს- ტრუმენტია არა მარტო საერთაშორისო არენაზე საბრძოლველად, არამედ თავად რუსეთის შიგნითაც დემოკრატიული ოპოზიციის რე- პრესირებისათვის და კრემლს, ფაქტობრივად, დაუბალანსებელი, ტოტალიტარული ძალაუფლებით აღჭურავს.

„კატეხონის მითის“ კიდევ ერთი თავისებურება, ასე ვთქვათ, გეოგრაფიული უნივერსალურობაა, რადგან შეიძლება მისი გამო- ყენება არა მარტო მართლმადიდებელ ქვეყნებში, და არც მარტო ქრისტიანულ ქვეყნებში, არამედ მუსლიმურ სახელმწიფოებშიც და ზოგადად ყველგან, თუმცა მისი მთავარი სამიზნე მაინც ტრადიციულად მართლმადიდებელი ქვეყნებია.

> „მართლმადიდებლობა (ამერიკელების მიერ) განიხილება როგორც სახიფათო ალტერნატივა, რომელიც მათ ფსევდო- ღირებულებებს ეწინააღმდეგება. მათ უნდათ მისი გახლეჩვა, განადგურება და იყენებენ (კონსტანტინოპოლის პატრიარქ) ბართლომეს, რომელიც კონტროლირებადია და ეკუმენიზმითაა დაავადებული... მე მივმართავ მართლმადიდებელ უკრაინელებს, საშინელებაა ის, რომ თქვენი ქვეყანა ამ აპოკალიფსურ პროცესში თავის როლს თამაშობს”.[102] (მიხეევი, 2018).

[101]ეს ტერმინი პირველად პრეზიდენტ პუტინის თანაშემწემ- ვლადისლავ სურკოვმა გამოიყენა თავის საჯარო გამოსვლაში რუსეთის მმართველი პარტია „ერთიანი რუსეთის“ კადრების მომზადების ცენტრში 2007 წლის 22 თებერვალს (სხვა ვერსიით, 7 თებერვალს). იხ. გამოსვლის სტენოგრამა აქ: https://web.archive.org/web/20060418035317/http://www.ed-inros.ru/news.html?id=111148

[102]სერგეი მიხეევი, ცნობილი რუსი პოლიტოლოგი, ყირიმის რესპუბლიკის მეთაურთან არსებული საექსპერტო საბჭოს წევრი. 2014 წლიდან, ლიეტუვას მოთხოვნით, აკრძალული აქვს შესვლა ევროკავშირის ტერიტორიაზე. ციტატა აღებულია მიხეევის გამოსვლიდან რუსეთის სახელმწიფო ტელეარხ ერ-ტე-ერის გადაცემაში “საღამო ვლადიმირ სოლოვიოვთან”, 2018

წლის 17 დეკემბერი, 89:00, https://www.youtube.com/watch?v=- JecF5Tdfpsk

მართლმადიდებელ ქვეყნებში პროპაგანდა შეიძლება დაეფუძნოს მართლმადიდებლური ღირებულებების დაცვას, დასავლეთ ევროპასა და ამერიკაში - ზოგადად ქრისტიანობის დაცვას, მუსლიმურ სამყაროში კი - „ანტი-ღმერთობისგან“ დაცვას. ამავე მითის თანმდევი და მასთან შესისხლხორცებული „სუვერენული დემოკრატიის“ დოქტრინა კი ერთგვარი იმუნიტეტია საერთაშორისო წესრიგის, სამართლისა და დემოკრატიაზე უარის სათქმელად. სწორედ ამის გამოხატულებაა ის გარემოება, რომ კრემლის პოლიტიკას ძირითადად ავტოკრატი ან, უფრო პოლიტკორექტულად რომ ვთქვათ, ავტოკრატიული მიდრეკილებების მქონე ლიდერები უჭერენ მხარს როგორც ევროპაში, ასევე, ამერიკასა და აზიაში.

ანტილიბერალური პოპულიზმი საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში, მარგინალურ ჯგუფებსა და მედიაში

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მოსახლეობაში ღიად პრორუსული იდეები პოპულარული არ არის, პრორუსული სენტი- მენტების მქონე პარტიები თავიანთი იდეების ღია დეკლარირებას, სულ მცირე, ბოლო ათეული წელია, ვერ ახერხებენ, თუმცა თუ აქამდე ეს პოლიტიკური ძალები უპირატესობას ანტიდასავლურ პროპაგანდას ანიჭებდნენ, ამჟამად ვექტორი ანტილიბერალური პოპულიზმისკენ არის გადახრილი. ისინი შეუფარავად უწყობენ ხელს იმ აღქმის დამ-კვიდრებას და ისეთი პოლიტიკური მითების გავრცელებას, რომ- ლებიც საქართველოში რუსეთის ხელისუფლების პოლიტიკური დღის წესრიგის გაძლიერებას უწყობს ხელს.

საქართველოს მეინსტრიმულ პოლიტიკურ ველზე ყველაზე ნათ- ლად გამოკვეთილი პრორუსული სენტიმენტებით ნინო ბურჯანაძის „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“ გამოირჩევა. პარტიის პროგრამაში არ არის მკაფიოდ გამოკვეთილი საგარეო პრიორიტეტები, არ არის მოხსენიებული ნატო-ში ან ევროკავშირში

გაწევრიანება არც პოზიტიურ და არც ნეგატიურ კონტესტში, თუმცა ხაზგასმულია სუვერენიტეტის დეფიციტი.

პარაგრაფში „საქართველო შიდა და გარე საფრთხეების წინაშე დგას“[103] პირველ და მეორე პოზიციას იკავებს თეზისები: „მკვეთ- რად არის შესუსტებული საქართველოს დამოუკიდებლობა და სუვე- რენიტეტი“; „სახელმწიფო პრაქტიკულად ვერ ახერხებს საკუთარი სუვერენული პოლიტიკის დაგეგმვას და გატარებას“.

უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხზე მოძრაობის ლიდერის პოზიცია გარკვეულწილად თანხვედრაშია. „თუ საქართველოს ეკლესია უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას ცნობს, რუსეთის საპატრიარქო აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობას ავტო- მატურად აღიარებს.“[104]

2016 წლის საპარლამენტო კენჭისყრის წინასაარჩევნო პროცესში ამ პარტიის მთავარი გზავნილი საქართველოს უბლოკო სტატუსი, ანუ ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრებაზე უარის თქმა იყო. ბურჯანაძის პარტია ამ სტატუსის კონსტიტუციურად შეტანის დაპირებას იძლეოდა. ეს, ფაქტობრივად, იყო ამ პარტიის ანტიდასავლურობის მანიფესტი. მისი პოზიციით, საქართველო უნდა იყოს ნეიტრალური სახელმწიფო, რომელიც არც პროდასავლური და არც პრორუსული, არამედ პროქართული იქნება, რაც თავისთავად იზოლაციონისტურია დასავლეთთან მიმართებით.

ასევე, სერიოზული დატვირთვა ჰქონდა იმას, რომ ნინო ბურჯანაძე იყო პირველი მაღალი დონის ქართველი პოლიტიკოსი, რომელიც 2008 წლის ომის შემდეგ ჩავიდა მოსკოვში და შეხვდა პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს.

კიდევ ერთი პოლიტიკური გაერთიანება, რომელსაც ხშირად პრორუსული დღის წესრიგის გატარება მიეწერება, არის „სა- ქართველოს პატრიოტთა ალიანსი“. „დემოკრატიული მოძრა-ობისგან“ განსხვავებით, დეკლარირების დონეზე მისი პოლიტიკური

[103]ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული საქართველო, პროგრამა 2016. http://bit.ly/2Dj4uf1

[104]ნინო ბურჯანაძის ბრიფინგი. 8 იანვარი, 2019. http://bit.ly/2UD1vot. იხ. ასევე, Бурджанадзе о признании автокефалии: Грузии нельзя действовать себе во вред. 1 თებერვალი, 2019. http://bit.ly/2UHk0bv

პლატფორმა არ ეწინააღმდეგება ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, თუმცა ერთი საყურადღებო კომენტარით:

„ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს გაწევრებას ევროკავშირში. ამას გარდა, ჩვენ პოზიტიურად ვართ განწყობილნი ნატო-ს წევრობის მიმართაც და მივესალმებით, თუ/როცა ნატო საქართველოს სრულ-უფლებიან წევრად მიღების გადაწყვეტილებას გამოიტანს, თუმცა, ნატო-ს წევრი ქვეყნების განცხადებების თანახმად, არსებობს მთელი რიგი მიზეზებისა, რომელთა გამოისობითაც ნატო ჩვენს მიღებას დღესდღეობით ვერ შეძლებს. ამ ფაქტის აღიარება მტკივნეულია... [მაგრამ] ჩვენ ამ რეალობას ვაცნობიერებთ. სხვა პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებით, ჩვენ არც საკუთარი თავის მოტყუებას ვაპირებთ და არც ქართული საზოგადოების, რადგან მოსახლეობაში არარეალური და ცრუ იმედების გაღვივება არასწორ და უღირს საქციელად გვესახება.“[105]

პარტიის პროგრამა&ხედვა გაჯერებულია როგორც ნაციონალ-კონსერვატიული, ასევე, მემარცხენე პოპულისტური ნარატივებით.

ამის საილუსტრაციოდ საკმარისია პარტიის საარჩევნო გაზეთში გა-მოქვეყნებული მასალების რამდენიმე სათაური: „ჩვენ უნდა დავრჩეთ ქართველებად“; „ID-ბარათები: ინფორმაციის ერთ მონაცემთა ბანკ- ში თავმოყრა ჩვენი უფლებების დარღვევაა!“; „ქართული მიწა-წყა- ლი - ქართველ ხალხს!“; „მამაკაცის საპენსიო ასაკი 60 წლით უნდა განისაზღვროს, მანდილოსნისა კი - 55 წლით!“; „სახელმწიფომ აუცი_ ლებლად უნდა აუნაზღაუროს ზარალი მეანაბრეებს! სახელმწიფო უნდა დაეხმაროს იპოთეკარებს!“; „დავით თარხან-მოურავი: პირდაპირ, ღიად ვამბობ, რომ თურქეთს აფხაზეთის და აჭარის მიტაცების ინტერესი აქვს!“

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად საქართველოს მმართველი და მთავარი

ოპოზიციური პოლიტიკური ძალების დისკურსი არ ემთხვევა

[105]საქართველოს პატრიოტთა ალიანსი. ჩვენი ხედვა & პროგრამა. საგარეო პოლიტიკის

ნაწილი. აღსანიშნავია, რომ ტექსტი ალიანსის ვებსაიტის მხოლოდ ინგლისურ სექციაში იძებნება. ქართულ სექციაში მის ნაცვლად განთავსებულია 2016 წლის საარჩევნო გაზეთი. თარგმნილია ავტორის მიერ. http://patriots.ge/our-vision-program/. წვდომა 2 თებერვალი, 2019.

ანტილიბერალურ აღქმას, თუმცა ისინი ამ იდეებისადმი გარკვეულ ლოიალობას იჩენენ და/ან მათ ინსტუმენტად იყენებენ პოლიტიკურ ბრძოლაში.

ამავე დროს ანტილიბერალური პოპულისტური გზავნილებით არა მხოლოდ პრორუსული სენტიმენტების მქონე პოლიტიკოსები გამოირჩევიან. ამ იდეების პოპულარობიდან გამომდინარე, ტაქ- ტიკური მიზნების მისაღწევად, მეტ-ნაკლები ინტენსივობით ამ თემაზე საუბარობენ სხვა ძალებიც .

ამ თვალსაზრისით 2018 წელს წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობისას განსაკუთრებით საქართველოს მესამე პრეზიდენტი და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი მიხეილ სააკაშვილი გამოირჩეოდა. 2018 წლის ნოემბერში საკუთარი ფეისბუქგვერდის მეშვეობით გავრცელებულ ვიდეომიმართვაში ის ამბობს: „ბანკებმა ხელთ იგდეს ოჯახების ქონება, ბიზნესები, ფინანსები და მთლიანად სახელმწიფოს მართვა [...] ისინი არ არიან ბანკირები, ისინი არიან კლასიკური, ძველი ყაიდის ყველაზე უარესი მევახშეები“.[106]

სააკაშვილი განსაკუთრებით შეუვალი იყო კანაფის პლანტაციების გაშენებასთან და მსუბუქი ნარკოტიკული საშუალებების ლეგალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებში (ეს უკანასკნელი ანტილიბერალური პოპულისტური ძალების დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი საკითხია, ლგბტ-ისა და იმიგრაციასთან დაკავშირებულ თემებთან ერთად).

„ჩემს დროს საქართველო ხდებოდა რეგიონული ჰაბი - ბიზნესის, კულტურის, განვითრების, ლოგისტიკის, ახალი ტექნოლოგიების. ივანიშვილმა ყველაფერი ეს ჩამოაშორა და საქართველოს ქცევა უნდა ნარკოჰაბად, ნარკოკარტელის ქვეყანად.“[107]

მეტიც, ექსპრეზიდენტი მოულოდნელად ეკლესიის დამცველადაც

მოგვევლინა.

[106]http://liberali.ge/news/view/35798/saakashvili-saqartveloshi-ar-arian-bankebi-isini-me-vakhsheebi-arian

[107]http://www.tabula.ge/ge/verbatim/136719-saakashvili-vambobdi-rom-legalizacia-schirdebo-dat-qveknis-narkohabad-gadasaqcevad

„გუშინ მოღალატე ზურაბიშვილი თავს დაესხა ეკლესიას და მია- ნიშნა კონკორდატის გადახედვაზე. მიმაჩნია, რომ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობაში ბევრი ხარვეზია, მაგრამ მოღალატე დედაკაცის მხრიდან შანტაჟი არის უზნეო და ანტისახელმწიფოებრივი ქმედება.“[108]

ანალოგიური რიტორიკით გამოირჩეოდა 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე კოალიციის „ძალა ერთობაშია“ კანდიდატი გრიგოლ ვაშაძეც.

რაც შეეხება მმართველ გუნდს, „ქართული ოცნება“ მხოლოდ რიტორიკით არ შემოიფარგლა. 2017 წელს მემარჯვენე ძალების, ასევე აშკარად რადიკალური დაჯგუფებების წნეხის ქვეშ, მმართველი გუნდი დათანხმდა საქართველოში მიწის უცხოელებზე გაყიდვის კონსტიტუციით აკრძალვას.[109]

ამასთან ერთად, საკონსტიტუციო კონსულტაციების ბოლო ეტაპზე, იმავე ძალების ზეწოლით, კონსტიტუციაში შეიტანა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ოჯახი მხოლოდ კაცისა და ქალის თანაცხოვრებას ნიშნავს.[110]

ასევე პარტიის კონსერვატიულ ფრთაში დროდადრო შეიმჩნევა ანტიდასავლური დისკურსი. „ალიასთან“ 2018 წლის 2-8 ივლისის ნომერში „ქართული ოცნების“ დეპუტატი ზაზა პაპუაშვილი ამბობს: „რომელ ქვეყანაშიც უნდა ჩავიდე, ეროვნული მახასიათებელი ქვეყანასა და მის მოსახლეობას რაღაცნაირად ეტყობა. მე კი მეჩვენება, რომამ რაღაც ვითომ ევროპული ფასეულობებით, ვითომ ამ გაუგონარი, უკიდეგანო და უსაზღვრო აღვირახსნილი ლიბერალობითა და ლიბერტარიანობით, ჩვენი ბიოგრაფიის წაშლა გვინდა, საკუთარი თავი გვძულს, თითქოს გვრცხვენია და ვიღაცას უნდა დავემსგავსოთ.“[111]

---

[108] http://www.tabula.ge/ge/verbatim/137066-saakashvili-moghalate-zurabishvili-tavs-daesxa-eklesias

[109] https://imedinews.ge/ge/theme/94/saqartveloshi-mitsis-utskhoelebze-gakidva-konstitutsiit-aikrdzaleba-es-kargia-tu-tsudi

[110] https://matsne.gov.ge/ka/document/view/3656689?publication=0

[111] http://notophobia.ge/geo/view-media/3824

აღსანიშნავია, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს რადიკალურმა ულტრამემარჯვენე ძალებმა. 25 ნოემბერს, მეორე ტურის წინ, „პატრიოტთა ალიანსმა“ თბილისში, თავისუფლების მოედანზე მასობრივი აქცია გამართა, რომელიც ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული. რამდენიმეათასიან აქციაზე მონაწილეები იყვნენ როგორც თბილისიდან, ასევე საქართველოს რეგიონებიდან. აქციები ლოზუნგით „არა ნაციზმს“ თბილისამდე ბათუმსა და რუსთავშიც გაიმართა. ამ აქციაზე „ალიანსმა“ მეორე ტურში ღიად დაუჭირა მხარი სალომე ზურაბიშვილს. აქციის მასშტაბიდან გამომდინარე, ზოგიერთი მიმომხილველი მიიჩნევს, რომ რადიკალური ძალების მხარდაჭერა ზურაბიშვილის გამარჯვებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა.

„[ბიძინა ივანიშვილმა] პირველ ტურში [...] ფიასკო განიცადა, არითმეტიკულად მან არჩევნები წააგო, ამის მერე სხვადასხვა ტექნოლოგიებით მოხდა ულტრაკონსერვატიული ფლანგისა და ანტიმიშას გააქტიურება მაქსიმალურად, ისტერიულად, მასობრივი ფსიქოზი გადავიდა რადიკალურ ფორმაში - მასობრივ ისტერიაში და არჩევნები მოიგო არა ბიძინა ივანიშვილმა, არამედ ირმა ინაშვილმა.“[112]

ქართული პოლიტიკური სპექტრის ყველაზე რეიტინგული პარტიების პროგრამებში კონსერვატიული, ანტილიბერალური პოპულისტური იდეები ნაკლებად გვხვდება, თუმცა ვერბალურად თუ კონკრეტული ქმედებით (მათ შორის ნორმატიული ხასიათის) ისინი გარკვეულწილად ამჟღავნებენ მიდრეკილებას პოპულისტური იდეების მიმართ, რასაც სისტემური ხასიათი არა აქვს.

ამავდროულად, როგორც შიდა ქართლსა და კახეთში ჩატარებულმა გამოკითხვამ გვაჩვენა, ანტილიბერალურ პოპულისტურ იდეებს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აქვს და მათზე მოთხოვნაც არსებობს. ამასთან, გამოჩნდა, რომ მოქმედი პოლიტიკოსებისა და პოლიტიკური

პარტიებისადმი ნდობა მინიმალურია.

[112]გია ხუხაშვილის ინტერვიუ "რუსთავი 2"-თან. 14.01.2019.

ამ ჭრილში საინტერესოა გორსა და თელავში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფების ფორმატში აღქმული საკითხი. ყველა ჯგუფში დავსვით კითხვა
- „თუ არის საქართველოში ისეთი პიროვნება, რომელიც, თქვენი აზრით, კარგი ლიდერი იქნებოდა ქვეყნისთვის? ვის ისურვებდით, რომ ქვეყნის მმართველობაში ჩაერთოს?“ აღსანიშნავია, არც ერთი ფოკუს-ჯგუფის არც ერთ მონაწილეს არ დაუსახელებია რომელიმე კონკრეტული პიროვნება. აღნიშნულ მოვლენათა თანხვედრა მეტყველებს იმაზე, რომ პოლიტიკური სპექტრი სათანადოდ ვერ პასუხობს მოსახლეობის მოთხოვნას. შესაბამისად, ჩნდება მაღალპროცენტიანი თავისუფალი ელექტორალური სივრცე, რომლის ათვისებაც, კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, დიდწილად დამოკიდებული იქნება ჩვენ მიერ გამოკითხულ მოქალაქეებში მოთხოვნად, მეინსტრიმული მედიებისგან მარგინალიზებული, ანტილიბერალური იდეების ლობირებაზე, რაც ლატენტურად არსებობს მოსახლეობის საკმაოდ ფართო მასაში. ამ იდეათა შეთავაზება წარმატებით შეიძლება მოხდეს როგორც ახალი პოლიტიკური ძალის, ისე უკვე არსებული პარტიების რადიკალური შეხედულებების მოდიფიცირების პირობებში.

ანტილიბერალური ჯგუფები

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ერთიანი სანდო სისტემა საქართველოში ონლაინ რესურსების რეიტინგის შესასწავლად [113], თამამად შეიძლება იმის თქმა, რომ ანტიდასავლური ონლაინ მედიარესურსების ხვედრითი წილი საქართველოს მედია-ბაზარზე ნაკლებად შთამბეჭდავია. მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კვლევაში[114] ჩამოთვლილი ანტიდასავლული მედიასაშუალებებიდან ყველაზე რეიტინგული reportiori.ge და marshalpress.ge იშვიათად ხვდებიან top.ge-ს[115] „ახალი ამბების“ კატეგორიის ტოპ-ათეულში.

[113]საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „ვის ეკუთვნის ქართული მედია“, 2018, გვ.7, https://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/vis_ekutvnis_kartuli_media.pdf.

[114]იქვე.

[115]ვლევის ავტორებს არაერთხელ სმენიათ ამ მთვლელის კრიტიკა იმ კუთხით, რომ მისი

მონაცემების მანიპულირება შესაძლებელია. ჩვენ ვერ ვიმსჯელებთ ამ საკითხზე, თუმცა მიგვაჩნია, რომ ზუსტი სტატისტიკის თუ არა, ამ რესურსზე დაყრდნობით ზოგადიტენდენციის გამოკვეთა სავსებით შესაძლებელია.

ამის პარალელურად შეიმჩნევა ანტილიბერალური ჯგუფების გააქ- ტიურება სოცქსელში. Geo pepe, „ქართული ძალა“, „ქართული მარ- ში“, „წინააღმდეგობა“, „ზნეობა“, „ქართული იდეა“ - ამ გვერდების მომწონებლების რაოდენობა, CRRC-ის კვლევით, 2016-2017 წლიდან იზრდება.[116]

მათი საჯარო პოსტების ტონი ნეგატიურობით გამოირჩევა. რამ- დენიმე გვერდს კი გამოკვეთილად ანტილიბერალური განწყობა აქვს. ესენია „ალტ ინფო“, „კარდუ“, „ქართული იდეა“, რომელთა თემატიკა ძირითადად ფოკუსირებულია ანტი-ლგბტ, ანტიიმიგრაციულ რიტო- რიკაზე (მაგალითად, 2018-ში მათი სამიზნე განსაკუთრებით ხშირად ფეხბურთში საქართველოს ნაკრების ვიცე-კაპიტანი გურამ კაშია ხდე- ბოდა-ხოლმე). ეს გვერდები ხშირად თარგმნიან ანტილიბერალურ ახალ ამბებს ამერიკისა და ევროპის ანალოგიური შეფერილობის საიტებიდან. ისინი უარყოფით კონტექსტში საუბრობენ როგორც რუ- სეთზე, ასევე დასავლეთზე, ამიტომ არ შეგვიძლია ტოლობის ნიშანი დავსვათ ანტიდასავლურსა და პრორუსულს შორის. რამდენიმე გვერდირელიგიური რაკურსის წინა პლანზე წამოწევით განიხილავს სხვადასხვა საკითხს, თუნდაც ისეთს, როგორიცაა, მაგალითად, აბორტი.

ერთ-ერთი კონსერვატიული და ულტრანაციონალისტური სახალ- ხო ორგანიზაცია საქართველოში „ქართული მარშია“. მარშის მონაწილეების მოთხოვნა იყო უცხოელი არალეგალი იმიგრანტების დეპორტაცია საქართველოდან და ქვეყნის საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრება.[117] 31 ოქტომბერს, ლგბტ თემის მხარდამჭერი სამკლავურის გაკეთების გამო, გურამ კაშიას საქართველოს ეროვნული ნაკრებიდან მოკვეთა მოითხოვეს.[118] 2018 წლის 19 მარტს კი „ქართული მარშის“ აქტივისტებმა მოაწყვეს საპროტესტო აქცია სატელევიზიო კომპანია „რუსთავი 2“-ის შენობასთან. აქტივისტებმა განაცხადეს, რომ ჟურნა- ლისტი გიორგი გაბუნიას სიტყვები გადაცემა P.S.-ში იესო ქრისტეს შესახებ შეურაცხმყოფელი იყო მართლმადიდებლური ეკლესიის მრევ-

[116]http://bit.ly/2D2Jt82

[117]http://netgazeti.ge/news/207453/

[118]http://netgazeti.ge/news/230249/

ლისთვის. აქციის დროს „ქართული მარშის“ წევრები თავს დაესხნენ ტელევიზიის ეზოში შესულ მანქანას, რომელშიც გიორგი გაბუნიაც იჯდა და „რუსთავი 2-ის“ ჟურნალისტებს ფიზიკურად გაუსწორდნენ.

საკუთარი ოფიციალური გვერდი აქვს მოძრაობას - „ქართული იდეა“.[119] მის მიზნებსა და ამოცანებში შედის პოლიტიკაში ეკლესიის როლის გაზრდის ხელშეწყობა, ქვეყნის დეოკუპაციის მიზნით რუსეთთან პირდაპირი მოლაპარაკების დაწყება, მიწის, წყლის, ტყისა და სახელმწიფო სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების გასხვისებაზე უარის თქმა.

არასამთავრობო ორგანიზაცია - ეროვნულ-სოციალისტური მოძ- რაობა „საქართველოს ეროვნული ერთობა“ - წევრები გამოირჩევიან ანტილიბერალური ნარატივით.[120] მათ ფეისბუქგვერდს ხუთი ათა- სამდე მომწონებელი ჰყავს. გამოდიან ანტიდასავლური შინაარსის განცხადებებით. შეადგინეს პეტიცია, რომელიც ცდილობს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ საქმიანობის აკრძალვას.[121] მათი წევ-რები აქტიურად მონაწილეობდნენ და თავად ხელმძღვანელობდნენ ანტილიბერალური ხასიათის აქციებს. [122]

რაც შეეხება „ქართულ ძალას“, ორგანიზაცია 2015 წელს ირაკლი მოდებაძემ, ნიკო ფრანგიშვილმა, ირაკლი მიქელაძემ და ნიკოლოზ ბურნაძემ დაფუძნეს. ეს უკანასკნელი აშშ-ის მოქალაქეა და როგორც გაერთიანების წარმომადგენელი, საჯაროდ ყველაზე ხშირად ჩანს. როგორც თავად უთითებენ სოციალურ ქსელში შექმნილ გვერდზე, ესაა მემარჯვენე ნაციონალისტური/ კონსერვატიული იდეოლოგიის პლატფორმა.[123]

თბილისში საპროტესტო მსვლელობაში ,,ქართულ ძალასთან” ერთად

მონაწილეობდნენ სხვა ულტრანაციონალისტური ძალები - „ბერგმანი,

[119]http://itkompania.ge/qartuliidea.ge/

[120]https://www.youtube.com/watch?v=jhjK2ralh7o

[121]https://manifest.ge/main/item/1283

[122]https://1tv.ge/news/saqartvelos-erovnuli-ertoba-rustavelis-gamzirze-msvlelobas-martavs/

[123]https://www.amerikiskhma.com/a/georgia-neo-nazis-marched-in-tbilisi-center/3528473.html

„ედელვაისი“, „დინამო ულტრასი“, „სკინები“. გამოირჩეოდნენ აგრესიით - სავაჭრო ობიექტებში, სასტუმროებში, ბარებსა და კაფეებში ისროდნენ მაშხალებს, დააზიანეს სარეკლამო ბანერები და ინვენტარი. ქართული ძალის ლიდერი ნიკოლოზ ბურნაძე ერთ-ერთი იყო დაკავებულებს შორის. ის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს, თუმცა სასამართლო პროცესის დასრულებამდე აშშ-ში დაბრუნდა. როგორც ერთ-ერთ ვიდეომიმართვაში ამბობს, სასამართლოზე გამოუცხადებლობის გამო ძებნილთა სიაშია შეტანილი. მათ მიერ ორგანიზებულ აქციებში ახალგაზრდები ნიღბებით მონაწილეობდნენ, ეცვათ შავი ფერის ტანსაცმელი, ატარებდნენ საქართველოს ძველ სამფეროვან დროშას. ღონისძიების დაგეგმვისას იყენებენ სოციალურ ქსელს, სადაც 2016 წელს სექტემბერში აქციის ორგანიზებისას თქვეს, რომ მონაწილეები თავად აგროვებდნენ 5-10 ლარს ამ მსვლელობის მოსაწყობად. [124]

შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ დღესდღეობით ზემოჩამო-თვლილი ძალები მარგინალურ ნიშაში რჩებიან და საქართველოს საზოგადოებრივ დისკურსზე ამ ეტაპზე გადამწყვეტი ზეგავლენისმოხდენა არ შეუძლიათ. კიდევ უფრო მწირია ღიად პრორუსული საზოგადოებრივი ორგანიზაციების რიცხვი, მათი გავლენა კი - კიდევ უფრო ნაკლები. ამასთანავე, ეს ჯგუფები სრულიად მოკლებულია არა მარტო მეინსტრიმული მედიის მხარდაჭერას, არამედ საერთოდ მედიატრიბუნაც კი არ გააჩნიათ. შედეგად, ამ ორგანიზაციათა უმრავ- ლესობა ფუნქციას კარგავს, ზოგმა კი უკვე შეწყვიტა აქტივობა. შე- საბამისად, ძნელია ქვეყანაში ანტილიბერალური განწყობის ზრდა ძირითადად მათ აქტივობას[125] დავუკავშიროთ.[126]

[124]https://www.facebook.com/events/1760713614171167/

[125]https://fpc.org.uk/from-a-pro-russian-to-a-pro-georgian-narrative/

[126]ცხადია, აქ არავითარ შემთხვევაში არ იგულისხმება, რომ ვაკნინებთ იმ ძირგამომთხრელ და

სახიფათო ზეგავლენას, რასაც ღიად თუ შეფარვით პრორუსული დაჯგუფებები საქართველოს რეალობაში ასრულებენ.

ოპერატიული მითები საქართველოში

ზემოთ მოკლედ იყო საუბარი იმ ფუნდამენტურ მითზე, რომელიც პუტინის რუსეთს წარმოაჩენს როგორც სამყაროს გადამრჩენელს „ანტი-ღმერთობისგან“, როგორადაც ლიბერალურ დემოკრატიას გვი- სახავენ. ოპერატიულ დონეზე ეს ქოლგა-ნარატივი მრავალ ტაქტიკურ მითში გარდაისახება. არსებითად, მათი რაოდენობა შეზღუდული არ არის, თუმცა საქართველოსთან კონტექსტში გვინდა რამდენიმე მათგანი გამოვყოთ, კერძოდ ისინი, რომელთაც საყურადღებოდ მი- ვიჩნევთ თავიანთი აქტუალობიდან გამომდინარე (აქვე დავამატებთ, რომ ეს სულაც არ არის ამ ოპერატიული მითების ამომწურავი ნუსხა).

თითოეულ მათგანს თავისი მედიუმი და სამიზნე აუდიტორია ჰყავს. ამ მითების საფუძველზე იქმნება და კულტივირდება პოლიტიკურ აღქმათა მთელი პლასტი, რომელთა მიზანია, ერთი მხრივ, რუსეთის (ან მისი ხელმძღვანელის) მესიანური როლის დამკვიდრება და, მეორე მხრივ, დასავლეთის პოლიტიკური სისტემისა და ღირებუ- ლებების დაკნინება. ისინი დიდწილად მოსახლეობაში არსებულ კონსერვატიულ შეხედულებებს და ირაციონალურ შიშს ეფუძნებადა მათით საზრდოობს. სწორედ ამ ფობიებითა და რადიკალური კონსერვატიზმითაა განპირობებული მათი ემოციური მუხტიც. ამას- თანავე, კიდევ ორი ფაქტორი, რაც ამ მითებს აერთიანებს, არის მათი არადემოკრატიული და ანტილიბერალური ხასიათი და ისიც, რომ ჩვენ მიერ გამოკვლეული სოციალურ ჯგუფები მათ მიმართ გარკვეული ხარისხის (თუმცა არა აბსოლუტური) მიმღებლობით გამოირჩევიან.

ამ მითების გენერირება, ისტორიულად არსებულ მსოფლაღქმაზე დაყრდნობით, კრემლთან იდეოლოგიურად (და არა მარტო) და- ახლოებული ინტელექტუალების მიერ ხდება და რაც შემდეგ ცირ- კულირებს ჯერ ბლოგოსფეროში, შემდეგ კი, შესაბამისი იდეოლო- გიური ფილტრისა და დამუშავების შედეგად, რუსეთის ძირითადი ტელეარხების პოლიტიკურ დისკურსში ხვდება, სადაც ერთგვარ აპრო-ბირებას გადის. ამ

ბარიერის გადალახვის შემდეგ კი ხდება მისი, ასევთქვათ, პოლიტიკურ სფეროში შემოტანა და პოლიტიკურ აქტივობად

გარდასახვა. ამ მითების ფუნქცია, შესაბამისი აუდიტორიისთვის როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, პოლიტიკური სამყაროს ერთიანი სურათის - ერთგვარი „უსტანოვკის“ მიცემაა, რომელიც პოტენციურ ადეპტებს ქაოტურ დისკურში „გზის გაგნებაში“ დაეხმარება.

ქვემოთ, განვიხილავთ რამდენიმე ტაქტიკური დანიშნულების ოპერატიულ მითს, რომლებიც მეტ-ნაკლები ეფექტურობით მუშაობს საქართველოში. ამავე დროს, ამ მითოლოგიური დისკურის გაცნობა სასარგებლოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ადგილზე მი- სი დიაგნოსტირების საშუალება გვეძლევა როგორც ქართულ პოლიტიკურ ასპექტში, ასევე მედიასა და ბლოგოსფეროში.

<u>მითი 1:</u> ლიბერალური დასავლეთი ებრძვის ქართულ მართლმადიდებლურ რწმენას და ტრადიციებს[127]

ეს მითი არის ანტიდასავლური ძალების პროპაგანდის ლამის მთავარი არგუმენტი, რომელსაც ერთნაირი ინტენსივობითა და წარმატებით მიმართავენ როგორც პოლიტიკოსები, ისე სასულიერო პირები და საზოგადოებისთვის ცნობილი ადამიანები, რომელთაც აქტიურ პროპაგანდას უწევს ანტიდასავლური/პრორუსული მედია და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამ თემაზე არსებული პოლემიკა ხშირად ჰომოფობიითა და სიძულვილის ენით არის გაჟღენთილი. ის ხშირად მიმართულია სოციალური, ეროვნული თუ ეთნიკური უმცირესობების წინააღმდეგ.

> „ის, ვინც თავისი აზროვნებით მართლმადიდებელი არ არის, ჩვენ მისგან მაგალითს ვერ ავიღებთ; სულიერად მკვდარ ადამია- ნებს ვერ მივემსგავსებით... ხშირად “გვიქადაგებენ” დასავლური ცხოვრების იმ მხარეს, სადაც გაუფასურებულია ადამიანურიღირებულებები; იქ თითოეული ადამიანი მხოლოდ თავის თავზე

[127]კვლევის ამ ნაწილში ნაწილობრივ გამოყენებულია „ლიბერალური აკადემიის“ 2016 წლის კვლევა „რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში“. გვ. 44-48. http://www.ei-lat.ge/images/doc/politikis%20dokumenti.pdf

ფიქრობს. მათთვის სამშობლოს ცნება არ არსებობს; მათი გონება მატერიალური კეთილდღეობისკენაა მიმართული. სული კი მკვდარია.“[128]

სამწუხაროდ, ამ მითის განვრცობით საქართველოს ეკლესიის კონსერვატიული ფრთის წარმომადგენლები გამოირჩევიან. ძნელია იმის თქმა, საერთოდ, კლერიკალების რა ნაწილს შეადგენენ ისინი, არიან უმრავლესობაში თუ უმცირესობაში, თუმცა საგულისხმოა, რომ ბევრი მაღალი რანგის სასულიერო პირი ქადაგებებში თანმიმდევრულად ავითარებს თეზისს რუსეთთან ერთობისა და დასავლეთთან მსოფლმხედველური და მორალური შეუთავსებლობის შესახებ.

ეს ფაქტორი განსაკუთრებით საყურადღებოა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ორ რეგიონში ჩატარებული გამოკითხვით, ერთი მხრივ, ეკლესია კვლავ რჩება ყველაზე სანდო ინსტიტუტად, მეორე მხრივ კი, მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში ღრმადაა გამჯდარი წარმოდგენა, თითქოს დასავლეთი საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს. კერძოდ, კახეთში 46% ფიქრობს, რომ აშშ საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს, ევროკავშირზე ასე ამბობს 42%, ხოლო რუსეთზე - 39%. შიდა ქართლში ეს მაჩვენებლი, შესაბამისად, არის 42%, 33% და 33%. ის გარემოება, რომ ამერიკა, ევროკავშირი და რუსეთი მეტ-ნაკლებად თანაბარ საფრთხედ აღიქმება, უკვე ერთგვარი საგანგაშო სიგნალია.

მიუხედავად ზემოთქმულისა, საქართველოს ეკლესიის მმართველი ორგანოს - საპატრიარქოს საერთო პოზიცია ქვეყნის ევროპულ არჩევანის მხარდამჭერია. 20 დეკემბერს, ევროკომისიის მიერ ვიზალიბერალიზაციაზე გამოქვეყნებული პოზიტიური ანგარიშის შემდეგ, საქართველოს ეკლესიის მეთაურმა, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ თავის რეზიდენციაში საქართველოში ევროკავშირის ელჩსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს უმასპინძლა და ღიად დაეთანხმა ამ

გადაწყვეტილებას. მანამდეც მან არაერთ საჯარო გამოსვლაში დაუჭირამხარი საქართველოს პროდასავლურ საგარეო-პოლიტიკურ კურსს.

[128]საქართველო და მსოფლიო. მეუფე იობი რუისისა და ურბნისის მიტროპოლიტი: დღეს რასაც პოლიტიკას ვეძახით, ცბიერებასა და ტყუილზეა დაფუძნებული. 17.05.2011.

მითი 2: რუსეთშია საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გასაღები

ამ მითის აპოლოგეტები ცდილობენ, დაარწმუნონ მოსახლეობა, რომ რუსეთის გარეშე საქართველოს ეკონომიკას განვითარების პერსპექტივა არ გააჩნია (აღსანიშნავია, რომ ზუსტად ანალოგიური მითი უკრაინის წინააღმდეგაც აქტიურად გამოიყენება), ევროკავშირი საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განადგურებას და ქვეყნის საკუთარი პროდუქციის გასაღების ბაზრად გადაქცევას ცდილობს.

ჩვენმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ კახეთის და შიდა ქართლის მოსახლეობის 40%-მა ქართული პროდუქციის გასაღებისთვის ყველაზე რეალურად რუსეთის ბაზარი მიიჩნია, 22%-მა - ევროკავშირის ქვეყნების და მხოლოდ 5%-მა - თურქეთის. ამასთანავე საყურადღებოა, რომ, მართალია, გამოკითხულთა ნახევარზე მეტი (51%) ამბობს, რომ ყველაზე ძლიერი ამერიკის ეკონომიკაა, მაგრამ ეკონომიკური სიძლიერით რუსეთისა და ევროკავშირის ქვეყნების სიძლიერის აღქმა კახეთსა და შიდა ქართლში თითქმის ერთნაირია (14-14%).

გარდა სუბიექტურისა, ამ მითს გარკვეული ობიექტური ფაქტო- რებიც უმაგრებს ზურგს და ეს ქართული ეკონომიკის რუსეთზე მიჯაჭვულობის მაღალი ხარისხია. ბოლო მონაცემებით, 2018 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოდან საექსპორტო პროდუქციის 13% რუსეთში გავიდა, რაც მხოლოდ აზერბაიჯანში გასული საქონლის ღირებულებას ჩამორჩება.[129] მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მთლიან ქართულ ექსპორტში კახეთში წარმოებულ პროდუქციას 79- 82% უკავია,[130] აქედან ღვინო ერთ-ერთი ყველაზე დიდი საექსპორტო საქონელია საქართველოსთვის და მხოლოდ შარშან - იანვარ- ნოემბერში რეკორდული, 179მლნ აშშ დოლარის შემოსავალი

[129]http://www.geostat.ge/?action=page&p_id=133&lang=geo&fbclid=IwAR3GVC93oC6B1dBg-

j2XnM5cOSKzMRiSjATNHpl7KBPMmBjE4Zo8Y1wl_3H4

[130]http://www.mrdi.gov.ge/sites/default/files/kaxetis_regionis_ganvitarebis_strategia_2014-2021_clebistvis_0.pdf

მოიტანა, საიდანაც თითქმის 65% რუსულ ბაზარზე მოდის.[131] შესაბამისად, დიდია კონკრეტულად კახეთის დამოკიდებულება რუსულ ბაზარზე.

ამასთან, ფულადი გზავნილების მხრივაც რუსეთი უპირობოდ ლიდერობს. მაგალითად, 2018 წელს რუსეთიდან უფრო მეტი თანხა გადმოირიცხა საქართველოში, ვიდრე მეორე-მესამე ადგილზე მყოფი იტალიიდან და საბერძნეთიდან ერთად.[132]

მითი 3: რუსეთი არის ისტორიული მტრისგან, ისლამური სამყაროსგან დაცვის ერთადერთი საშუალება

ეს მითი განსაკუთრებით სახიფათოა, რადგან მისი გაღვი- ვების ობიექტური წინაპირობა - იმიგრაცია ისლამური ქვეყ- ნებიდან განუხრელად იზრდება. ის ერთგვარი გამოძახილია მსგავსი ფობიებისა, რაც ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპასა და, წარმოიდგინეთ, ავსტრალიაშიც კი ანტილიბერალური დისკურსის ლამის მთავარ წინაპირობას ქმნის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოში ისლამოფობიას თავისი, ასე ვთქვათ, ისტორიული წინამძღვრები აქვს, რაც არა მარტო აბსტრაქტული ,,ისტორიული წარსულითაა» განპირობებული, არამედ მისით გაჯერებულია ქართული პოპულარული კულტურა, მათ შორის ლიტერატურა და კინო. ფობიებს ფლუიდური ხასიათი აქვს და შეიძლება გამოიხატებოდეს, როგორც ზოგადად ისლამოფობიაში, ასევე თურქოფობიაში, ან ირანოფობიაში. აღსანიშნავია, რომ ,,ისლამურ საფრთხეს» მკაცრად განსაზღვრული თემატური საზღვრები არ გააჩნია და თვისობრივად საკუთარ თავშივე მოიცავს ქსენოფობიურ სენტიმენტებს ზოგადად აზიური წარმომავლობის ადამიანების მიმართ. ამ მხრივ, ის ერთგვარად რასიზმის ელფერსაც იძენს, თუმცა ისეთი სტრუქტურული სიმტკიცე არ აქვს, როგორც კლასიკურ რასიზმს. შიდა ქართლსა და კახეთში ჩატარებული რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა ამ სენტიმენტების არსებობას

ცალსახად ადასტურებს.

---

[132]https://www.nbg.gov.ge/index.php?m=304

მაგალითად, გამოკითხულთა მხოლოდ 25% ეთანხმება მოსაზრებას, რომ „თურქების უმრავლესობა კარგი ადამიანია“ (აქედან 4% სრულად ეთანხმება, 21% კი- ნაწილობრივ); ჩინელებთან მიმართებით ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია - 16% (3%, 13%). ამავე დროს, 85% (39%, 46%) მიიჩნევს, რომ „ქართველების უმრავლესობა კარგი ადამიანია“. რუსებთან დამოკიდებულებაში ეს მაჩვენებელია 59% (12%, 47%). ანალოგიურად, კითხვაზე, ეთანხმებით თუ არა მოსაზ- რებას, რომ „რუსების უმრავლესობას საქართველოსთვის კარგი სურს“, 25% პასუხობს, რომ სრულად (4%) ან ნაწილობრივ (21%) ეთანხმება; თურქებთან მიმართებით ეს მაჩვენებელი მხოლოდ 11%- ია (3% და 8%), ხოლო ჩინელებთან კიდევ უფრო დაბალი - 7% (1%
და 6%).

ეს შედეგი იმაზე მიანიშნებს, რომ საქართველოს ამ ორ რეგიონში ფეხმოკიდებულია სერიოზული ეთნოცენტრისტული სენტიმენტები, რაც შეიძლება შესაბამისი პროპაგანდის პირობებში გარკვეულ ულტრანაციონალისტურ ქმედებაში გადაიზარდოს. ამგვარ განწყობას გორსა და თელავში ჩატარებული ფოკუს-ჯგუფებიც ადასტურებს.

ამ შეხვედრებზე გამოჩნდა, რომ საკმაოდ შთამბეჭდავია მათი რიცხვი, ვინც საფრთხედ აზიის ქვეყნებიდან ჩამოსულ პირებს აღიქვამს, მაგრამ დასავლეთისგან განსხვავებით, ამ პირების მიმართ არა მხოლოდ კულტურულ, არამედ დემოგრაფიულ საფრთხესაც გრძნობენ, რაც დასავლეთთან დამოკიდებულების გამოხატვისას არგახმოვანებულა.[133]

მითი 4: რუსეთის/მისი მმართველობის უძლეველობის მითი

ამ მითის თანახმად, სამყარო ორპოლუსიანია, რომელსაც ორი ზესახელმწიფო – ამერიკა და რუსეთი მართავს. რუსეთი დაუმარცხებელია, მან შეიძლება ბრძოლა წააგოს, გარკვეული

[133] იხ. გვ. 27

პერიოდით უკან დაიხიოს, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამარჯვებულია. მან აიღო ბერლინი, მანამდე პარიზი და თუ საჭირო გახდა, ახლაც ძალუძს, იგივე გაიმეოროს; ამასთანავე, რუსული იარაღი საუკეთესოა მსოფლიოში, მისი ჯარი კი ყველაზე ბრძოლისუნარიანია. უნდა აღინიშნოს, რომ კრემლი ბოლო რამდენიმე წელია, ამ მითს აშკარად ააქტიურებს, რაც, სავარაუდოდ, შიდა პრობლემებსა და დასავლური სანქციებით გამოწვეულ მძიმე ეკონომიკურ სიტუაციას უკავშირდება.

2018 წლის მარტში პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა წარმოად- გინა რამდენიმე ახალი იარაღი, რომელიც, მისი მტკიცებით, საერ- თაშორისო არენაზე „ახალ რეალობას“ ქმნის. ესენია: კონტინენტ- თაშორისი ბალისტიკური რაკეტა „სარმატი“, ბირთვული ძრავის მქონე ფრთოსანი რაკეტა, რომლის ფრენის რადიუსი „ფაქტობრივად განუსაზღვრელია“, „ზემძლავრი“ წყალქვეშა ტორპედო, უახლესი ზე- სწრაფი რაკეტა „კინჟალი“ და ზესწრაფი სარაკეტო სისტემა „ავან- გარდი“, რომელსაც მოწინააღმდეგის ყველა თავდაცვითი სისტემის გარღვევა შეუძლია.[134] 2018 წლის დეკემბერში რუსეთმა განაცხადა, რომ წარმატებით განახორციელა „ავანგარდის“ მორიგი გამოცდა. [135]

ვერ ვიტყვით, რომ დასავლეთი ამ ცნობებს ერთგვარი განცდით შეხვდა. იმის გათვალისწინებით, რომ ინფორმაცია ამ ახალი შეიარაღების შესახებ დიდწილად გასაიდუმლოებულია, ევროპელი და ამერიკელი სპეციალისტებისთვის ძნელია იმის მტკიცება, რამ- დენად რეალურია ეს ინფორმაცია. ერთი მხრივ, კრემლის რენომედან გამომდინარე, დიდია იმის ალბათობა, რომ ეს ვლადიმირ პუტინის მორიგი ბლეფი იყოს, მეორე მხრივ კი, თუ ეს განცხადებები ჭეშ- მარიტების მარცვალს შეიცავს, საჭიროა სასწრაფო კონტრზომების მიღება. ასეთი გაურკვევლობა, ერთგვარი ინფორმაციული ნაპრალი, არის სწორედ ის ნოყიერი ნიადაგი, რომელიც აუცილებელია პოლი- ტიკური მითის კულტივირებისათვის.

---

[134]https://www.bbc.com/russian/features-43255578

[135]https://www.cnbc.com/2018/12/26/the-kremlin-says-it-conducted-another-success-

ful-test-of-a-hypersonic-weapon.html

როგორც ჩვენ მიერ შიდა ქართლსა და კახეთში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევა ადასტურებს, ეს მითი შემაშფო- თებლად ფართოდ არის გავრცელებული ქართულ საზოგადოებაში. კერძოდ, კითხვაზე, ვინ უფრო ძლიერია სამხედრო თვალსაზრისით, გამოკითხულთა 42%-მა ამერიკა დაასახელა, 40%-მა კი - რუსეთი (ამასთანავე, კახეთში ეს მაჩვენებელი 44%-42%-ზე იყო რუსეთის სასარგებლოდ). მესამე ადგილზე ევროკავშირი გავიდა მიზერული 5%-ით, მეოთხეზე კი - ჩინეთი სრულიად უმნიშვნელო 1%-ით.

ამ მითის ერთ-ერთი ვარიანტია პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის, როგორც სუპერლიდერის, მითი, რომელმაც დაამყარა წესრიგი თავის ქვეყანაში და ახლა მსოფლიო წესრიგისთვის იბრძვის; დასავლეთს სუსტი, უნიათო ლიდერები მართავენ, რომლებსაც არ შეუძლიათ თანამედროვე მსოფლიოს წინაშე არსებულ პრობლემებთან გამ- კლავება, მათგან გამორჩეულია რუსეთის ლიდერი მოხერხებით, სიმტკიცითა და პრინციპულობით.

გორსა და თელავში ჩატარებულ ფოკუს-ჯგუფებში ჩვენ ამ მითისადმი დამოკიდებულება გადავამოწმეთ. როგორც აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ ვლადიმირ პუტინის მიმართ შეხვედრების მონაწილეთა განწყობა მკვეთრად ნეგატიურია, როცა ვთხოვეთ, შეეფასებინათ რუსეთის პრეზიდენტი როგორც პოლიტიკოსი, მათმა უმრავლესობამ ის დაახასიათა, როგორც ძლიერი ადამიანი და თავის ხალხისთვის კარგი პრეზიდენტი. რაც შეეხება საქართველოში ამგვარი მმართველისარსებობას, ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა თითქმის ნახევარმა მიიჩნია, რომ პუტინის მსგავსი პრემიერ-მინისტრი საქართველოს წაადგებოდა.[136]

თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ კვლევამ დემოკ- რატიული ინსტიტუტების მყიფე მხარდაჭერა და ქარიზმატულ ლი- დერზე მოთხოვნილება გამოავლინა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში არსებობს წინასწარგანწყობა,

ერთგვარი დაკვეთა პოპულისტ, არასისტემურ ლიდერზე.

[136]იხ. გვ. 16

* * *

ზემოაღნიშული საკითხებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკუთარი პოლიტიკური ინტერესების გასატარებლად რუსეთის პოლიტიკური ელიტაახალ რეალობას კი არქმნის, არამედერთგვარად მავნებლობს ლიბერალური დემოკრატიისთვის დამახასიათებელი სუბიექტური თუ ობიექტური გამოწვევებით, ცდილობს გააძლიეროს და სათავისოდ გამოიყენოს ისინი. ამას კი ახერხებს პოლიტიკური მითოლოგიით, რომელიც ირაციონალურ, ხშირად ქვეცნობიერ შიშებს ემყარება და ადამიანური ემოციებით მანიპულირებს. პოლიტიკური მითები ანტილიბერალური პოპულიზმის მსოფლაღქმაზე იგება, სადაც რუსეთი ერთგვარად გადამრჩენელის, „კატეხონის“ როლს თამაშობს, რომელიც ლიბერალური „ანტი-ღმერთობის“ საპირწონეა.

ინფორმაციული ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კი სოციალური ქსელების განვითარებამ კრემლის პროპაგანდას საქმე გაუმარტივა, რადგან ის შედარებით ნაკლები ინტელექტუალური და მატერიალური რესურსების გამოყენებით აუდიტორიის მოკლე შეტყობინებებით ბომბარდირების საშუალებას იძლევა, რაც ეფექტიანობით კონვენციურ (და შედარებით უფრო „ძვირ“) მედიებს არ ჩამოუვარდება. უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდეთ იმ გამოწვევების განეიტრალებას, რობლებიც კრემლს „შიშის რეგისტრით“ ოპერირებისთვის ნოყიერ ნიადაგს უქმნის. პირველ რიგში, საუბარია მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე, ასევე, აზიის ქვეყნებიდან მზარდ ემიგ-რაციაზე. ამ ნიუანსთა გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ არსებობს ამ მიმართულებით რუსეთის პოლიტიკის გააქტიურების საფრთხე.

დასკვნა

შიდა ქართლსა და კახეთში ჩატარებულმა მოსახლეობის წარმომადგენლობითმა გამოკითხვამ, ასევე ფოკუს-ჯგუფებმა და მონაცემთა ანალიზმა აჩვენა, ერთი მხრივ, პროდასავლური განწყობის დომინირება, მეორე მხრივ კი - მოწყვლადობა კონსერვატიული იდეებისადმი. ეს იდეები ანტისისტემურ, ანტიიმიგრანტულ, ანტიდემოკ-რატიულ და ანტილიბერალურ ხასიათს ატარებს, ამასთანავე, მაღალია მოთხოვნა ქარიზმატული ლიდერის მიმართ.

გამოკითხვამ გამოავლინა, რომ მოსახლეობის საგარეო პოლი- ტიკური პრიორიტეტები გარკვეულ კავშირშია კონსერვატიულ შეხე-დულებებთან. ზოგადად, რაც უფრო კონსერვატიულ შეხედულებებს ავლენს ადამიანი, მით უფრო ნაკლებადაა პროდასავლურად გან- წყობილი და პირიქით.

ზოგადად, პროდასავლური სენტიმენტები უფრო ხშირად გვხვდება კახეთში, ახალგაზრდებში, უმაღლესი განათლების მქონე, სოციალური ქსელების ხშირად მომხმარებელ იმ ადამიანებში, რომლებსაც საზ- ღვარგარეთ მეგობრები ჰყავთ და არ ჰყავთ მოძღვარი.

ღიად პრორუსული განწყობა გამოკითხულ აუდიტორიაში პოპუ-ლარული არ არის. მეტიც, უმეტესი ნაწილი პროდასავლური ორი-ენტაციის მატარებელია, თუმცა სწრაფვას დასავლეთისკენ და დასავლური ინსტიტუციებისკენ თანმიმდევრულობა აკლია. მა-გალითად, მიუხედავად იმისა, რომ საკვლევი აუდიტორია აშშ-ს მთავარ მეგობრად ხედავს და უსაფრთხოების ყველაზე დიდ გარანტად ნატოში გაწევრიანებას მიიჩნევს, იგი მაინც ისევე ხედავს საფრთხეს აშშ-სა და ევროკავშირში, როგორც - რუსეთში.

გამოიკვეთა ასევე, რომ ვერც ქვეყნის შიგნით არსებული პოლი_ ტიკური ლანდშაფტი და ვერც არსებული პოლიტიკური ლიდერები სათანადოდ ვერ პასუხობენ შიდა ქართლისა და კახეთის მოსახლეობის მოთხოვნას, რაც პოტენციურად პოპულისტური პოლიტიკური ძალის ნიშას წარმოადგენს.

კვლევამ აჩვენა, რომ განსაკუთრებით დიდია მოთხოვნა რადიკალური რიტორიკით აღჭურვილ პოპულისტ პოლიტიკურ ძალაზე, მემარჯვენე-კონსერვატიულ ფლანგზე, და შედარებით ნაკლები - მემარცხენე ფლანგზე. თუმცა თუ პირველი თავის პროპაგანდაში მემარცხენე ლოზუნგებსაც დაუშვებს, ამან შეიძლება ერთგვარი სინერგიული ეფექტი იქონიოს და მისი ელექტორალური მიმზიდველობა ერთიორად გაზარდოს.

ასევე შესაძლებელია, რომ პოპულისტურ პოლიტიკაზე მოთხოვნამ მეინსტრიმულ პარტიებს ეპიზოდური რადიკალური ანტილიბერალური ნაბიჯებისკენ უბიძგოს ან ძირეულად გადახაროს მათი პოლიტიკური დღის წესრიგი ამ მიმართულებით.

ღიად პრორუსული განწყობა ჯერ კიდევ პოპულარულია საზოგადოების გარკვეულ წრეებში, თუმცა პოლიტიკური დომინირების პოტენციალი მათ ამ ეტაპზე არ აქვთ. თუ ახლო წარსულში პრორუსული სენტიმენტები საზოგადოებრივ დისკურსში ანტიდასავლური რიტო- რიკით იყო შენიღბული, ახლა ის მკაფიო ანტილიბერალური ხასიათისაა, ანუ მოხდა პრორუსული მსოფლაღქმის ტრანსფორმაცია ჯერ ანტიდასავლურ, შემდეგ კი ანტილიბერალურ ნარატივში.

შესაბამისად, არსებობს ლატენტური პრორუსული მსოფლმხედ-ველობის წარმოჩენის საფრთხე, რომელმაც შესაძლოა, გამო-კვეთილად ანტილიბერალური, პოპულისტური მოძრაობის ფორმა მიიღოს და, შესაბამისი სტრუქტურული ხელშეწყობის პირობებში, პოლიტიკურ ველზე მნიშვნელოვანი პოზიციებიც მოიპოვოს. განსა-კუთრებით სახიფათოა, თუ ასეთ ხელშეწყობას ეს მოძრაობა რუ-სეთიდან მიიღებს, ფინანსური თუ ინსტიტუციური სახით.

ამ პროცესის კონტურები უკვე იკვეთება მსოფლიოში, განსაკუთრებით ევროპაში მიმდინარე მოვლენებში, სადაც ყოველ მომდევნო არჩევნებზე პოპულისტური მოძრაობები, როგორც მარცხენა, ასევე მარჯვენა ფლანგზე, სულ უფრო მეტ წარმატებას აღწევენ. ბევრმა მათგანმა

უკვე აშკარად დატოვა მარგინალური ნიშა და მეინსტრიმულ პოლიტიკაში გადაინაცვლა, რასაც 20 ან თუნდაც 10 წლის წინათნაკლებად თუ ვინმე წარმოიდგენდა.

განსაკუთრებით სახიფათოა ანტილიბერალური, ობსკურანტული ძალების გააქტიურება საინფორმაციო საშუალებებით, კერძოდ
- სოციალურ ქსელებში. ამ ეტაპზე ობსკურანტული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალები, სწორედ მათი რეტროგრადული ხასიათიდან გამომდინარე, მედიური დაფარვის ინტენსივობით სა- თანადო კონკურენციას ვერ უწევენ კონვენციურ პოლიტიკურ ძალებს. თუმცა ამ მხრივ ვითარება იცვლება, სულ უფრო მეტი ადამიანი ეუფლება სოციალური ქსელით ოპერირების უნარ-ჩვევას, რამაც უახლოეს პერსპექტივაში დემოკრატიული საზოგადოება შეიძლებამნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენოს.

ეს გამოწვევა იმ მექანიზმს უკავშირდება, რითაც კრემლი საკუთარი დღის წესრიგის გატარებისას მოქმედებს - ეს არის პოლიტიკური მითებით მანიპულაცია, რაც ანტილიბერალური პოპულიზმის ნარატივზე იგება, ქვეცნობიერ შიშს ემყარება და ადამიანების ემოციებით მანიპულირებს. ამ მექანიზმის გამოსაყენებლად არ არისსაჭირო ,,ძვირი» მედიური აპარატის შენახვა, შედეგის მისაღწევად სავსებით საკმარისია კარგად გაწვრთნილი ინტერნეტ-ტროლების მცირე კონტინგენტი.

უახლოეს მომავალში არ უნდა ველოდეთ იმ გამოწვევების განეიტრალებას, რაც კრემლს „შიშის რეგისტრით“ ოპერირებისთვის ნოყიერ ნიადაგს უქმნის. პირველ რიგში, საუბარია მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებზე, ასევე აზიის ქვეყნებიდან მზარდ ემიგრაციაზე. ამ საკითხების გათვალისწინებით, მივიჩნევთ, რომ არსებობს ამ მიმართულებით რუსეთის პოლიტიკის გააქტიურების საფრთხე, რაც დამატებით კვლევას საჭიროებს.

<u>დანართი 1</u>

შიდა ქართლსა და კახეთში მოსახლეობის გამოკითხვის მეთოდოლოგია

2018 წლის 26 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე CRRC-საქართველომ ჩაატარა შიდა ქართლისა და კახეთის მოსახლეობის გამოკითხვა მათი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების და მოსახლეობაში კონსერვატიული შეფასებების გავრცელების შესწავლის მიზნით. სულ გამოიკითხა 1318 რესპონდენტი, აქედან 693 შიდა ქართლში და 625 - კახეთში.

გამოკითხვის შედეგები წარმომადგენლობითია შიდა ქართლისა და კახეთის რეგიონების ქართულენოვანი სრულწლოვანი მოსახლეობისთვის, ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის გარდა. ქართულენოვანში იგულისხმება არა ეროვნებით ქართველი, არამედ ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენელი, რომელიც ქართულ ენაზე საუბრობს. მონაცემების გაანალიზება, აგრეთვე, შესაძლებელია ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით.

შერჩევა და გამოპასუხება

შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებული იყო 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის განახლებული საარჩევნო უბნების სია. რესპონდენტების შერჩევა მრავალსაფეხურიანი კლასტერული შერჩევით მოხდა. კვლევა ჩატარდა ორ რეგიონში - კახეთში და შიდა ქართლში. გამოიყოორი სტრატა - კახეთი და შიდა ქართლი. პირველ ეტაპზე სტრატებში რეგისტრირებული ამომრჩევლების რაოდენობის პროპორციულად, შემთხვევითი წესით შეირჩა პირველადი შერჩევის წერტილები - საარჩევნო უბნები, სადაც 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მიხედვით ქართულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობის წილი არანაკლებ 75% პროცენტია. საარჩევნო უბნებში სამიზნე

შინამეურნეობების შერჩევა სამარშრუტო შერჩევით მოხდა.

GRRC-საქართველოს ინტერვიუერები ეწვივნენ შერჩეულ შინა- მეურნეობებს და მათი თანხმობით ჩაიწერეს ყველა ინტერვიუ. უშუა- ლოდ რესპონდენტების შერჩევა კიშის ცხრილით მოხდა.[137] ოჯახის შერჩეული წევრის უარის შემთხვევაში მისი ჩანაცვლება არ ხდებოდა.

<u>გამოპასუხების დეტალური განაწილება მოცემულია ცხრილში 1.</u> რაც შეეხება გამოუპასუხებლობის ძირითად მიზეზებს, შემთხვევათა უმეტესობაში (128 კონტაქტი) ოჯახის წევრმა, ვინც კარი გააღო, უარი განაცხადა ინტერვიუერის შინ შეშვებაზე. 101 შემთხვევაში ინტერვიუერმა რესპონდენტი შეარჩია, მაგრამ ოჯახის ეს წევრი სახლში არ იყო. 53 შემთხვევაში ინტერვიუერებს შინამეურნეობა სა- მივე კონტაქტის დროს დაკეტილი დახვდათ, ხოლო 35 შემთხვევაში რესპონდენტმა უარი განაცხადა გამოკითხვაში მონაწილეობაზე.მხოლოდ 19 შემთხვევაში ვერ ჩატარდა ინტერვიუ იმ მიზეზით, რომ რესპონდენტმა ქართული არ იცოდა.

<u>ცხრილი 1:</u> გამოპასუხება რეგიონების მიხედვით

	ჩატარებული ინტერვიუების რაოდენობა	გამოუპასუხებლობა	გამოპასუხების დონე
შიდა ქართლი	693	176	80%
კახეთი	625	237	73%
სულ	1318	413	76%

ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემები დაკორექტირებულია მო- სახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით გა- მოთვლილ წონათა შესაბამისად, ასევე - ცალკეულ ჯგუფში გა- მოუპასუხებლობის დონის მიხედვით, ამერიკის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ასოციაციის (AAPOR) სტანდარტების შესაბამისად.[138]

---

[137]კიშის ცხრილის მეთოდი უნგრელ-ამერიკელმა სტატისტიკოსმა ლესლი კიშმა შეიმუშავა. ეს მეთოდი აღწერილია მის წიგნში: Leslie Kish. 1965. Survey Sampling. John Wiley & Sons, Inc. ესაა შერჩეული შინამეურნეობის წევრებს შორის რესპონდენტის შერჩევის ყველაზე სანდო

მეთოდი.

[138]http://www.aapor.org/Standards-Ethics/Best-Practices.aspx

გამოკითხვის შედეგების საშუალო ცდომილება 95%-იანი სანდოობით, მთელი პოპულაციის (ამ შემთხვევაში შიდა ქართლისა და კახეთის ქართულენოვანი სრულწლოვანი მოსახლეობა) მასშტაბით +/-2.7%-ს არ აღემატება, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ შედარებით მცირე ჯგუფების პასუხების განხილვისას ცდომილება უფრო მაღალი იქნება. კახეთის მოსახლეობისთვის საშუალო ცდომილება შეადგენს +/-3.9%-ს, ხოლო შიდა ქართლის მოსახლეობისთვის - +/-4.2%-ს.

კითხვარი და ინტერვიუს ჩატარების ენა

კითხვარი შემუშავდა ქართულ ენაზე „ლიბერალური აკადემია თბილისის“ წარმომადგენლებთან თანამშრომლობით.[139] ინტერვიუ- ები ჩატარდა ქართულ ენაზე. ჩატარებული ინტერვიუების საშუა- ლო ხანგრძლივობა 22 წუთი იყო. პროექტში 31 ინტერვიუერი მონა- წილეობდა.

კითხვარის პირველი ნაწილის მეშვეობით შეგროვდა ინფორმაცია მოსახლეობის დემოგრაფიული მახასიათებლების, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის და რელიგიურობის შესახებ. მეორე ნაწილში თავმოყრილი იყო კითხვები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იყო მოსახლეობის ტოლერანტობის დონის განსაზღვრა განსხვავებული ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლების მიმართ. შემდეგ ნაწილში თავმოყრილი კითხვების მეშვეობით გაირკვა საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები და დამოკიდებულება ტრადიციების მიმართ. კითხვარის ბოლო ნაწილი ეძღვნებოდა მოსახლეობის პოლიტიკური შეხედულებების შესწავლას.

[139] კითხვარი და ბარათები წარმოდგენილია დანართში 2 და დანართში 3

<u>დანართი 2</u>

ფოკუს-ჯგუფის მეთოდოლოგია

<u>საკვლევი თემა:</u> კონსერვატიული შეხედულებების გავლენა საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების აღქმაზე

საველე სამუშაოების თარიღები და ლოკაციები:
გორი, 8 დეკემბერი, 2018; თელავი, 9 დეკემბერი, 2018.

ფოკუს-ჯგუფების შერჩევა

თითოეულ ქალაქში მონაწილეები განაწილდა 4 ჯგუფად: ასაკის, სქესის, დასაქმების, განათლების, სოციალური ქსელის გამოყენების ინტენსივობის და რუსული ენის ცოდნის მიხედვით. სულ ჩატარდა 8 ფოკუს-ჯგუფი. თითოეული ჯგუფი 8 მონაწილისგან შედგებოდა.

ჯგუფების დაკომპლექტების დროს უპირატესობა მივანიჭეთ მონაწილეთა დაყოფას სქესის მიხედვით - საზოგადოების თავისებურებიდან გამომდინარე, შერეულ ჯგუფში დისკუსიას პრობლემა რომ არ შეჰქმნოდა ქალების გახსნილობის მხრივ. ასაკის მიხედვით დაყოფით შევეცადეთ ჯგუფებში გადაგვენაწილებინა ადამიანები, რომლებსაც სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი ჰქონდათ გატარებული საბჭოთა პერიოდში და ახალგაზრდები, რომლებსაც საბჭოთა პერიოდი არ ახსოვთ. ასაკოვანი რესპონდენტები რუსულის არმცოდნე, საშუალო, ტექნიკური ან სპეციალური განათლებით შევარჩიეთ, რადგან მივიჩნიეთ, რომ უმაღლესი განათლების მქონეთა უმრავლესობა, რომლებიც საბჭოთა პერიოდში კარგ თანამდებობას და სოციალურ სტატუსს ფლობდნენ, დიდი ალბათობით, მოწყვლადი იქნებოდნენ ანტილიბერალური აღქმის მიმართ. ახალგაზრდები შევარჩიეთ უმაღლესი განათლებით, დასაქმებულები, ეკონომიკურ კონტექსტს მათზე გავლენა რომ არ მოეხდინა. სამაგიეროდ, უნდა სცოდნოდათ რუსული ენა და ამით განგვესაზღვრა, რა შესაძლო გავლენა ექნებოდა ენის და, შესაბამისად, საინფორმაციო სივრცის

გავლენის ფაქტორს მათ წარმოდგენაზე.

კიდევ ერთი პირობა სოციალური ქსელის მოხმარების ინტენსივობა იყო. როგორც CRRC-ს მიერ ჩატარებულმა რაოდენობრივმა კვლევამ აჩვენა, სოციალური ქსელის ხშირი მოხმარების ფაქტორი, ისევე როგორც განთლება, ენის ცოდნა და საზღვარგარეთ მეგობრის ყოლა, გავლენას ახდენს ახალგაზრდებში პროდასავლური სენტიმენტების გაღვივებაზე. ასაკოვანი მოსახლეობიდან კი ის ნაწილი შევარჩიეთ, რომლებიც თითქმის არ მოიხმარენ სოციალურ ქსელს. ენის ცოდნისადა სოციალური ქსელის მოხმარების ინტენსივობის მიხედVვით, ხანდაზმულთა ჯგუფში ვეცადეთ წარმოგვეჩინა ის განწყობა, რუსული საინფორმაციო ზემოქმედების გავლენის გარეშე რომ არსებობს მათაღქმაში.

ჯგუფი	სქესი	ასაკი	დასაქმება	განათლება	სოც. ქსელის მოხმარება	რუსულის ცოდნა (საკუთარი შეფასებით)
I	ქალები	45-60	არასტაბილური; თვითდასაქმებული; პერიოდული	საშუალო; ტექნიკური; სპეციალური	მინიმალურად ან საერთოდ არ მოიხმარს[140]	იციან სუსტად ან არ იციან
II	კაცები	45-60	არასტაბილური; თვითდასაქმებული; პერიოდული	საშუალო; ტექნიკური; სპეციალური	მინიმალურად ან საერთოდ არ მოიხმარს	იციან სუსტად ან არ იციან
III	ქალები	25-40	დაქირავებული მუშაკი	უმაღლესი; არასრული უმაღლესი	აქტიური მომხმაებელი[141]	საკმაოდ კარგად იციან
IV	კაცები	25-40	დაქირავებული მუშაკი	უმაღლესი; არასრული უმაღლესი	აქტიური მომხმაებელი	საკმაოდ კარგად იციან

საკვლევი კითხვები:

თქვენი ოჯახის წევრი რომ ქორწინდებოდეს უცხოელზე, რომელი ეროვნების ადამიანთან დანათესავება გირჩევნიათ? ვისთან არ გინ-დათ

[140] აქ: მინიმალურად მოხმარება ნიშნავს, რომ ადამიანი კვირაში არაუმეტეს 2 საათს უთმობს სოციალურ ქსელ(ებ)ს.

[140] აქ: ყოველდღიურად მოიხმარენ სოციალურქსელ(ებ)ს.

რომელია თქვენთვის საყვარელი მედიასაშუალებები? რომელი არხები სჯობს, ქართული, რუსული თუ უცხოური?

მსოფლიოში ჩვენ გარდა 11 მართლმადიდებლური სახელმწიფოა. სად ცხოვრობენ ყველაზე მორწმუნე, ნამდვილი მართლმადიდებლები?

რა აზრისა ხართ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინზე? გინდათ, რომ პუტინის მსგავსი პრეზიდენტი გვყავდეს ჩვენც?

არის თუ არა საქართველოში ისეთი პიროვენება, რომელიც, თქვენი აზრით, კარგი ლიდერი იქნებოდა ქვეყნისთვის? არა აქვს მნიშვნელობა ახლა სად მოღვაწეობს - პოლიტიკაში, კულტურაში, მეცნიერებაში თუ სადმე სხვაგან. ვის ისურვებდით, რომ ქვეყნის მმართველობაში ჩაერთოს?

რომელია მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სახელმწიფო? რაში გამოიხატება მისი სიძლიერე?

რომელი სახელმწიფოა საქართველოს მთავარი მტერი? ვისი უნდა გვეშინოდეს და რატომ?

რუსეთმა რომ დაგვიბრუნოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, ზურგი ვაქციოთ დასავლეთს და შევეკრათ რუსეთს?

თქვენს საქმიანობაში ეკონომიკური წარმატებისთვის აქვს თუ არა მნიშვნელობა იმას, თუ რომელ სახელმწიფოსთან იმეგობრებს საქართველო?

მოულოდნელად, საქართველო განადგურების, გადაშენების საფრთხის ქვეშ რომ აღმოჩნდეს, იყოს შიმშილი, ჰუმანიტარული კატასტროფა, ვინ დაგვეხმარება ყველაზე მეტად, რომელი სახელმწიფოსგან ან გაერთიანებისგან ელოდებით თანადგომას სამხედრო ან ჰუმანიტარული თვალსაზრისით?

ბიბლიოგრაფია

Bennet, W. Lance. Myth, Ritual, and Political Control. Journal of Communication, 30. 1980.

Blumenberg, Hans. Work on Myth. MIT Press. 1985.

Bottici, Chiara; Challand, Benoit. The Myth of the Clash of Civilizations. Routledge. 2010.

Breckler, Steven J. Empirical validation of affect, behavior, and cognition as distinct components of attitude. Journal of Personality and ઘocial Psychology 47, no. 6 (1984): 1191.

Cassirer, Ernst. The Myth of the State. New Haven: Yale University Press. 1946.

Edelman, Murray. Myths, Metaphors and Political Conformity. Psychiatry, 30.3. 1967

Edelman, Murray. Language, Myths and Rhetoric. Trans-Action, 12. 1975

Flood, Christopher G. Political Myth: A Theoretical Introduction. Garland, 1996.

Fukuyama, Francis. The End of History and the Last Man. Free Press. 2006.

Galston, William A. The Populist Challenge to Liberal Democracy, Yale University Press, 2018.

Glynos, Jason; Mondon, Aurelien. The political logic of populist hype: The case of right-wing populism's 'meteoric rise' and its relation to the status quo. Routledge, 2018.

Germani, Gino. Authorianism. Fascism and National Populism, Transaction Books, New Jersey, 1978.

Inglehart, F. Ronald, Norris, Pippa. Trump, Brexit, and the Rise of Populism: Economic Have-Nots and Cultural Backlash and Cultural Backlash. Harvard Kennedy School. 2016.

Katayoun, Kishi and Kelsey, Starr J. Many Central and Eastern Euro-

peans see link between religion and national identity, 2010. http://www.pewresearch.org/fact-tank/2017/11/03/many-central-and-eastern-europeans-see-link-between-religion-and-national-identity/

Kelemen, R.D. A Dark Age for European Democracy? Foreign Affairs, 2016.

Laclau, Ernesto. On Populis Reason, Verso, 2005.

Mair, Peter. Populist Democracy vs Party Democracy. In: Mény Y., Surel Y. (eds) Democracies and the Populist Challenge. Palgrave Macmillan, London, 2002.

Mudde, Cas, Rovira Kaltwasser, Cristóbal. Populism and (liberal) democracy: a framework for analysis, Cambridge University Press, 2012

Mudde, Cas. Populist radical right parties in Europe, Cambridge University Press, 2007.

Scarbrough, Elinor. Political Ideology and Voting. An Exploratory Study. Oxford: Clarendon Press, 1984.

Seliger, Martin. Ideology and Politics. London: Alien and Unwin, 1976.

Sorel, George. Reflexions on Violence. Collier, 1961.

Taguieff, Pierre-André. Political Science Confronts Populism: From a Conceptual Mirage to a Real Problem. Telos Press Publishing, 1995.

Toumanoff, Cyril. Moscow the Third Rome: genesis and significance of a politico-religious idea. The Catholic Historical Review, 1955

Tudor, Henry. Political Myth. Macmillan. 1973.

Успенский, Борис Андреевич. Избранные работы. Т. 1. Семиотика истории. Семиотика культуры. 1996.

Цуладзе, Автандил Михайлович. Политическая мифология. Эксмо, 2003.